წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი“-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

ორშაბათი, 1 თებერვალი 1932 წ.
ყოველდღიური გაზეთი
№ 26 (3280) ფასი 5 კაპ.

გაიხსნა მე-17 საკავშირო პარტკონფერენცია

ავაშენოთ სოციალიზმი მეორე ხუთწლედში

მთელი ფრონტით გაშლილი ბოლშევიკური სოციალისტური შეტევა, ხუთწლედის მძლავრი ტემპები, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდება, საწარმოო ძალების ბუმბერაზული ზრდა პირდაპირ ჩვენ თვალწინ სცვლიან საბჭოთა კავშირის სახეს. გაშლილი ბოლშევიკური შეტევის პირველი ხუთწლედის სამ წელს შედეგად მოჰყვა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრება, საბჭოთა კავშირში. მეორე ხუთწლედი არის კლასების მოსპობის ხუთწლედი, სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედი.

„მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის გამომწვევ მიზეზების საბოლოოდ მოსპობა, კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა ეკონომიკიდან და ადამიანთა შეგნებიდან, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ, აქტიურ მშენებლებად“ (თეზისები ამხ. მოლოტოვისა და კუიბიშევის მოხსენებებისათვის).

მეორე ხუთწლედში მოისპობა კაპიტალისტური ელემენტების უკანასკნელი ნაშთები ჩვენს ეკონომიკაში. საბოლოოდ და სამუდამოდ აღმოიფხვრება კაპიტალიზმის ყველაზე უფრო ღრმა ფესვები.

მთელი მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, ყველა მისი დარგების გადაყვანა უახლესი ტექნიკის ბაზაზე — საბჭოთა კავშირის მეორე ხუთწლედის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. „მაქსიმუმი 10 წლის განმავლობაში, ჩვენ უნდა გავირბინოთ ის მანძილი, რომლითაც ჩამოვრჩით კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებს“. ასეთია უმთავრესი ამოცანა, რომელიც დასახა ამხ. სტალინმა და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების საფუძველზე, მოწინავე ტექნიკის დაუფლებისათვის მედგარი ბრძოლის საფუძველზე. მეორე ხუთწლედმა უნდა გაარგუნოს გადამწყვეტი გამარჯვება ამ გზაზე. სამჯერ და სამნახევარჯერ იზრდება მანქანათმშენებლობის პროდუქცია, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციის დამთავრებაში. ასი მილიარდი კილოვატ - საათი ელექტრო-ენერგიის გამომუშავება, ნაცვლად 17 მილიარდი კილოვატ - საათისა, პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს, 22 მილიონი ტონა თუჯი, 250 მილიონი ტონა ქვანახშირი, ნაცვლად 90 მილიონისა, 1932 წელს, 25—23 ათასი კილომეტრი რკინის გზა—ასეთია მეორე ხუთწლედის სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის ბოლშევიკური ტემპების მოელვარე მაჩვენებლები. ტექნიკური დონის მხრით საბჭოთა კავშირი პირველ ადგილს დაიჭერს ევროპაში და ტექნიკურად და ეკონომიურად დაეწევა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს მთელ რიგ დარგებში. საბჭოთა კავშირი სამუდამოდ მოუღებს ბოლოს ტექნიკურ ჩამორჩენილობას და იგი მანქანებისა და მოწყობილობის შემომტან ქვეყნიდან გადაიქცევა მათ მწარმოებელ ქვეყანად. საწარმოო ძალების უმაგალითო სწრაფი ზრდა, საწარმოო სიმძლავრის უდიდესი ზრდა, მთელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ქმნის საფუძველს მშრომელთა მასების კეთილდღეობის დონის აწევის გადაჭრით დაჩქარებისათვის. მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლით მომარაგების 2—3-ჯერ გადიდება 1932 წელთან შედარებით — მეორე ხუთწლედის ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანს ნაქები კაპიტალისტური ცივილიზაციის მსოფლიოში მშრომელი მასების გაღატაკების შემაძრწუნებელი ზრდის ფონზე. მეორე ხუთწლედი საბოლოოდ სცვლის საბჭოთა ქვეყნის სახეს.

სოფლის მეურნეობის გაბედული სრული ტექნიკური რეკონსტრუქცია, მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის ლიკვიდაციის ძირითადათ დამთავრება ჯერ კიდევ მეორე ხუთწლედის დასაწყისში, უახლესი ტექნიკით შეიარაღებულ მსხვილ სასოფლო - სამეურნეო საწარმოთა მძლავრი ზრდა ნამდვილად გადააქცევენ სასოფლო - სამეურნეო შრომას ინდუსტრიალური შრომის ერთ-ერთ სახედ. იქმნება პირობები იმისათვის, რომ საბოლოოდ მოისპოს ქალაქისა და სოფლის დაპირდაპირება, რაც გამოწვეულია კაპიტალიზმით.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს მოეპოვება ყველა შესაძლებლობანი, ძალები, სახსრები და რესურსები სოციალისტური საზოგადოების აშენების ბუმბერაზული გეგმის ძლევამოსილად შესრულებისათვის მეორე ხუთწლედში.

მაგრამ უდიდესი, დაუშვებელი, მიუტევებელი, ოპორტუნისტული შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მეორე ხუთწლედის გამარჯვება შესაძლებელია თავისთავად, ძალლონის მოუკრებლად, უბრძოლველად, რომ სოციალისტური საზოგადოება შეიქმნება თვითმდინარებით.

გზის გაკაფვა უკლასო საზოგადოებისაკენ წარმოუდგენელია გაფართოებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე. ტყუილა კი არ აღნიშნავდა ლენინი განუწყვეტლივ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული ფორმა, ბრძოლის, რომელიც ბევრი მხრით კიდევ უფრო გააფთრებული ხდება. „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის არსებობს პერიოდი, როდესაც პირველი უნდა გადაიქცეს მეორედ, რევოლიუციონური გზით. მას შეესაბამება პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, როდესაც სახელმწიფო შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურას“ (მარქსი).

მხოლოდ სოციალიზმში კულაკის „შეზრდის“ ჰარმონიული თეორიების ოპორტუნისტულ გმირებს შეუძლიათ ილაპარაკონ კლასობრივი ბრძოლის „გაქრობაზე“ პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ნამდვილად კი „კლასების მოსპობა პროლეტარიატის . გააფთრებული კლასობრივი ბრძოლით — ასეთია ლენინის ფორმულა“ (სტალინი).

ჯერ კიდევ არა-სავსებით განადგურებულ კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგობის ულმობელი დაძლევა, გადამწყვეტი ბრძოლა წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიის გამოხატულებასთან და ნაშთებთან, მედგარი ბრძოლა გლეხობის ღარიბ და საშუალო მასების სოციალისტური გარდაქმნისათვის, ათეულ მილიონ კოლმეურნის სოციალისტური აღზრდისათვის — კლასობრივი ბრძოლის ყველა ეს ფორმები რჩება ხანგრძლივ პერიოდის მანძილზე

მეორე ხუთწლედის გზაზე კლასობრივი ბრძოლა არ ქრება და არ ისპობა. მეორე ხუთწლედში ჩვენ განვაგრძობთ უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან, კონტრ - რევოლიუციონური ტროცკიზმის რეციდივებთან.

პარტია აძლიერებს ბოლშევიკურ ცეცხლს სიბილის, მოდუნების, „დიდსულოვნობის“, მანილოვობის, ანტიბოლშევიკური შემარიგებლობის და დამპალ ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

პირველ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს ამ ბრძოლაში წარმოადგენს პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულება ოთხ წელიწადში, 1932 წლის გეგმის ბოლშევიკური შესრულება.

დაკვრითი მუშაობით უნდა უზრუნველვყოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, სამრეწველო პროდუქციის ზრდა 35 პროც.-ით; 9 მილიონი ტონა თუჯი (დამატებითი ერთი მილიონი ტონა შემხვედრი გეგმით), 6,77 მილიარდი მანეთის მანქანათმშენებლობის პროდუქცია, 90 მილიონი ტონა ქვანახშირი — მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანებია.

მაგრამ რაოდენობითი მიღწევები ჰკარგავენ ღირებულებას, თუ ისინი არ არის დაკავშირებული ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტად შესრულებასთან; ბოლშევიკური ბრძოლა მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირება 7 პროც.-ით, შრომის ნაყოფიერების გადიდება 22 პროც.-ით— გეგმის უმნიშვნელოვანესი ელემენტები და მისი შესრულების პირობებია.

მიმდინარე წელი უნდა იქნეს საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გაფართოვებისა და გაღრმავების და კაპიტალისტური მსოფლიოსაგან მისი ტექნიკურ - ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების წელი.

ამხ. სტალინის ექვსი პირობა გარკვევით მიგვითითებს გამარჯვების სწორ გზაზე.

საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც ამზადებს საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმას, გაბოროტებული სიძულვილით ადევნებს თვალს ჩვენს წარმატებებს. მაგრამ ყოველი ჩვენი გამარჯვება აღტყინებისა და აღფრთოვანების ახალ ტალღას იწვევს საერთაშორისო პროლეტარიატისა და ყველა ჩაგრულთა რიგებში.

ამჟამად ჩვენ განსაკუთრებული სიცხადით ვხედავთ, რომ „მთავარ ზემოქმედებას საერთაშორისო რევოლიუციაზე ვახდენთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით. კაპიტალისტებს არ შეუძლიათ გაჩუმდენ და დაჰფარონ რაიმე. ამიტომ ისინი უფრო მეტად აღნიშნავენ ჩვენს სამეურნეო შეცდომებს, ჩვენს სისუსტეს. ამ ასპარეზზე ბრძოლა გადატანილია მსოფლიო მასშტაბით“. (ლენინი).

მაშ, ვანვამტკიცოთ ბოლშევიკურად საბჭოთა კავშირის — საერთაშორისო რევოლიუციის ბუმბერაზული მამოძრავებელი ძალის აუღებელი ციხე-სიმაგრის სიმძლავრე.

ლენინის დროშით, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით შევასრულებთ პირველ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში, ავაშენებთ სოციალიზმს მეორე ხუთწლედში.

„პრავდა“, 30 იანვარი.

გაიხსნა მე-17 საკ. კ. პ. (ბ) პარტკონფერენცია

მოსკოვი, 30 იანვარი. 30 იანვარს, საღ. 5 საათზე და 15 წუთზე, კრემლის სასახლის ანდრიას დარბაზში გაიხსნა მე-17 საკავშირო პარტკონფერენცია.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დავალებით კონფერენციას ხსნის ამხ. **მოლოტოვი**, რომელსაც მხურვალე ტაშით ხვდებიან.

ამხ. მოლოტოვის სიტყვა

— **ამხანაგებო,** ახლანდელი კონფერენცია შეიკრიბა ისტორიულ მიჯნაზე: 1932 წელი არის პირველი ხუთწლედის დამთავრების და მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მომზადების წელიწადი. პირველ ყოვლისა ამით განისაზღვრება კონფერენციის ამოცანები. ახლა უკვე სჩანს, რომ ძლევამოსილად სრულდება მე-16 პარტყრილობის დირექტივა ხუთწლედის ოთხ წელიწადში დამთავრების შესახებ. ჩვენი მრეწველობა ბოლშევიკური ტემპებით ვითარდება. იზრდება ახალი ქარხნების, ფაბრიკების, მაღაროების და ელექტროსადგურთა რიგები, მუშაობას იწყებენ ინდუსტრიალიზაციის ახალ-ახალი და უფრო და უფრო მძლავრი სამანქანათმშენებლო მამოძრავებელნი. საბჭოთა ინდუსტრია, აქედან მძიმე ინდუსტრია, მტკიცედ დადგა ფეხზე. მიმდინარე წელს მისი ამოცანები განსაკუთრებით დიდია და მოითხოვენ ჩვენი მუშაობის სათანადოთ გარდაქმნას და მუშათა მასების ბოლშევიკურ მობილიზაციას. პირველი ხუთწლედის წარმატებებმა თავისი უაღრესად მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს კოლექტივიზაციის ძლევამოსილ ზრდაში სოფლად. ამ უკანასკნელ წლებში, საბჭოთა მეურნეობების გაშლილ მშენებლობასთან ერთად, სოციალისტურმა ფორმებმა სოფლად გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. ამგვარად, ყველა სიძნელეების მიუხედავად, **ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი, ძირითადი ლენინური საკითხი „ვინ-ვის“ გადაჭრილია კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის სასარგებლოდ.** ესაა ჩვენი უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. ეს გამარჯვება განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია უმაგალითო მსოფლიო კრიზისის, უმუშევრობის და სიღატაკის ზრდის ფონზე, რაც მოწმობს კაპიტალიზმის აღსასრულის მოახლოვებას.

კონფერენციამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მეორე ხუთწლედის ამოცანების შესახებ. სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი წინაპირობაა მიმდინარე წლის სამეურნეო ამოცანების მთლიანად შესრულება. ნება მომეცით გამოვსთქვა რწმენა, რომ მეორე ხუთწლედის მიმართაც, რომელიც შეიცავს სოციალიზმის მშენებლობის, მშრომელი მასების ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების გაშლილ პროგრამას, ჩვენს პარტიაში, მუშათა კლასში, მშრომელთა მილიონიან მასებში ადგილი ექნება ისეთსავე ერთსულოვნებას და სიმტკიცეს მძიმე მომენტებში და გამარჯვების ისეთსავე რწმენას, რომლებმაც უზრუნველყვეს პირველი ხუთწლედის ძლევამოსილი გაშლა.

ამასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე იმ ფაქტებისა და ტენდენციების მიმართ, რომელნიც უფრო და უფრო მეტი სიძლიერით იჩენენ თავს საერთაშორისო მდგომარეობაში, განსაკუთრებით მსოფლიო კრიზისის გაღრმავებისა და იმპერიალიზმის ბანაკში წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ნათელია — ესაა მშვიდობიანობის პოლიტიკა. ყველა ხედავს, რომ ჩვენ მთლიანად გართული ვართ მშვიდობიანი მშენებლობით ჩვენს ქვეყანაში და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ ახალ იმპერიალისტურ თავდასხმებს სოციალიზმისაკენ მიმართული პროვოკაციები. შორეული აღმოსავლეთის ამბები ჩვენგან მოითხოვენ სერიოზულ სიფხიზლეს და სათანადო მზადყოფნას ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მებრძოლი საზღვარ-გარეთელი ბურჟუაზიული წრეების მხრით. მანჯურიაში, უცხოეთის მფარველობით, გაძლიერებით აგზავნიდნენ თეთრგვარდიელების ნაშთებს. თეთრგვარდიელები მანჯურიასა და პარიზში აშკარად ადგენენ გეგმებს, რომელთა მიხედვით საბჭოთა კავშირისაგან ჩამოცილებულ უნდა იქნას შორეული აღმოსავლეთი და უცხოეთის დახმარებით შეიქმნას „საბუფერო სახელმწიფო“ შორეულ აღმოსავლეთში, ჩვენთვის 1918-1919 წლების ინტერვენციით ცნობილი ისეთი საერთაშორისო არამზადების მონაწილეობით, როგორიცაა გენერალი ჟანენი და მისი ხროვა. სწორედ ახლა ტყუილად კი არ გამგზავრებულან ჩეხო-სლოვაკიაში თეთრგვარდიელთა ისეთი ბელადები, როგორიცაა მილიუკოვი და კერენსკი. პრაღაში, როგორც ჩვენ კარგად ვიცით, მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომლებთანაც მათ შეუძლიათ შეთანხმების მიღწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ახალი პროვოკაციების შესახებ. ჩვენ ბოლშევიკები არ ვიქნებოდით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ საფრთხეს საბჭოთა კავშირისათვის ან პასიურ მაყურებლად დავრჩებოდით. ჩინეთის ამბები, კერძოდ შანხაიში უკანასკნელად მომხდარი ამბები, საკმაოდ მჭერმეტყველურად გვიჩვენებენ, რომ იმპერიალისტები ახლანდელ პირობებში ახალ ომებს ამზადებენ. ახლანდელი მომენტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სულ უფრო ისპობა საზღვარი მშვიდობიან მდგომარეობასა და ომს შორის, ომს იწყებენ და აწარმოებენ ომის აშკარად გამოცხადების გარეშე. უფრო მეტი; აწარმოებენ ომს, გენერლების ქუსლით სთელავენ დიდი ხალხის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ნაციონალურ უფლებებს; ამავე დროს კი საერთაშორისო კონფერენციების საზეიმო პირობებში სიტყვებს ამბობენ განიარაღებისა და მშვიდობიანობის შესახებ. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს როგორც საჭიროა, თუ ფხიზლად ვიქნებით და თავს არ მოვიტყუილებთ არავითარი სიტყვით და ვერავითარი ზოგადი რეზოლიუციით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ჩვენ საქმით უნდა გამოვიჩინოთ არა მარტო პროლეტარული გმირობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში, არამედ ნამდვილი სიფხიზლეც და საჭირო მზადყოფნაც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვაში. თავის არსებობის პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლება ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე ამჟამად, მაგრამ გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილად. ამის შემდეგ ჩვენ ახალ-ახალ გამარჯვებას ვაღწევდით, ისტორიაში უმაგალითო ტემპებით ვანვითარებდით სამეურნეო მშენებლობას და მოვამზადეთ სოციალიზმის ძირითადი ამოცანის განხორციელება—კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების სრული ლიკვიდაციის ამოცანის განხორციელება. **ეს გამარჯვებები ლენინიზმის საფუძველზე მოვიპოვეთ. ჩვენი გამარჯვებების გარანტია იყო ლენინური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. ამხ. სტალინის მეთაურობით** (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის). ეს გარანტია ახლაც გვაქვს და იგი დღითი-დღე მტკიცდება. ჩვენი პარტიის მძლავრი ზრდა, მისდამი ნდობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებში, მსოფლიო კომუნიზმის საქმის ზრდა, მის მხარეზე საერთაშორისო პროლეტარიატის სულ უფრო მეტი მასების გადასვლა — ყოველივე ეს ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარია (**მქუხარე ტაში**). ჩვენი პარტიის ისტორია გვიჩვენებს (გამოტოვებულია)... ნიშნავს შეურიგებელი ბრძოლის წარმოებას გენერალური ბოლშევიკური ხაზისათვის ყოველგვარი ჯურის ოპორტუნიზმის და დამპალი შემარიგებლობის წინააღმდეგ. შემდეგშიაც ჩვენი მებრძოლი რიგები უნდა დავრაზმოთ ლენინიზმის დროშის ქვეშ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, როგორც თეორიის, ისე პრაქტიკული მუშაობის ხაზით. პროლეტარული დიქტატურის პირველი ქვეყნის გამარჯვებებს მით უფრო დიდი მსოფლიო მნიშვნელობა ექნება, რაც უფრო თანამიმდევრობით, უფრო აქტიურად, უფრო შეგნებულად და თავდადებულად წავლენ ბოლშევიკები წინ და მშრომელთ გაუშუქებენ გზას მარქსის და ლენინის კომუნისტური მოძღვრების სინათლით (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებას! (მქუხარე ტაში).

ცენტრალური კომიტეტის დავალებით, მე-17 პარტკონფერენციას გახსნილად ვაცხადებ (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მოლოტოვის სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კონფერენციის ორგანოები.

კონფერენციის პრეზიდიუმი

კონფერენციის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა 41 ამხანაგი: ანდრეევი, ბაუმანი, ბერგავინოვი, ბლიუხერი, ბუდიონი, ვარეიკისი, ვოროშილოვი, გამარნიკი, გიკალო, გოლოშჩეკინი, ჟდანოვი, ვ. ივანოვი, კაბაკოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, კალიგინა, კიროვი, კოსარევი, ს. კოსიორი, კუიბიშევი, ლეონოვი, მანუილსკი, მენჟინსკი, მიქოიანი, მოლოტოვი, ნოსოვი, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე, გ. პეტროვსკი, პოსტიშევი, პტუხა, რუძუტაკი, რუმიანცევი, სტალინი, სულიმოვი, ხატაევიჩი, ჩუბარი, შვერნიკი, შებოლდაევი, შკირიატოვი, ეიხე.

ს ა მ დ ი ვ ნ ო

ამხ. ანტიპოვი, ლ. ბერია, ბუბნოვი, იკრამოვი, კამინსკი, კოლაცკი, ენუქიძე, მირზოიანი, პოლონსკი, რინდინი, რიაბინინი, სტროგანოვი, ჩუდოვი, ტოვსტუხა, ხრუშჩოვი.

სარედაქციო კომისია

ამხ. სტეცკი, პოპოვი, მეხლისი, კრინიცკი, პოზნერი, რუბენი, გრონსკი, ხანჯიანი, ვეგერი და ბერდნიკოვი.

პრეზიდიუმში ამხ. სტალინის გამოჩენას ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან. დელეგატები და დარბაზში ყველა მყოფნი ფეხზე დგებიან და მხურვალედ ესალმებიან პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს.

კონფერენციის დღის წესრიგი

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. მრეწველობის განვითარების შედეგები 1931 წელს და 1932 წლის ამოცანები.
2. დირექტივები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის (1933-37 წლების შესადგენად.

დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ორჯონიკიძეს, რომელსაც მთელი დარბაზი ტაშით ხვდება.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება გრძელდებოდა მთელს საღამოს სხდომაზე. 31 იანვარს, დილის 10 საათზე დაიწყო კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო (ადს).

ამ.-კავკ. საუღელტეხილო ელექტრო რკინის გზა

მოსკოვი, 30 იანვარი. 29 იანვარს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში შესდგა სატრანსპორტო სექტორის გაფართოებული თათბირი ამიერ-კავკასიის მთავარ ქედზე რკინის გზის გაყვანის შესახებ, რაც საჭიროა რ.ს.ფ.ს.რ.-თან ამიერკავკასიის დაკავშირების პრობლემის გადასაჭრელად, თათბირმა აღნიშნა, რომ მეორე ხუთწლედში ელექტრონის საუღელტეხილო გზის გაყვანის საჭიროება არავითარ ეჭვს არ იწვევს. გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ კომისარიატის უმაღლესმა საექსპერტო საბჭომ მთელ რიგ ეკონომიურ გამოკვლევათა საფუძველზე უფრო მიზანშეწონილად და სასარგებლოდ სცნო დარგ-კობგორის ვარიანტი. თათბირის მონაწილეებმა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ ვარიანტს.

თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დარგ-კობ-გორის საუღელტეხილო გზის ვარიანტის ტექნიკური კვლევა-ძიება, რომელიც გასული წლის განმავლობაში სწარმოებდა, შესრულებულია მხოლოდ მინდვრის სამუშაოთა და გამოკვლევის მასალის დამუშავების ნაწილში. გზის საესკიზო პროექტი დამთავრდება მიმდინარე წლის დასაწყისში. მაგრამ წინასწარი ვარაუდი საკმაოდ მტკიცე მაჩვენებლებს იძლევა დარგ-კობ-გორის ვარიანტის სასარგებლოდ. ჩრდილოეთ კავკასიის მხარეც ამ ვარიანტს ემხრობა. ამნაირად, მთელი მასალის საფუძველზე საუკეთესო ვარიანტადაა მიჩნეული საუღელტეხილო გზის სწორედ ეს მიმართულება.

შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომისია აღნიშნავს, რომ 1932 წელიწადი მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ყოველგვარი კვლევა-ძიებისათვის, რამაც უნდა უზრუნველჰყოს გზის მშენებლობის დაწყება 1933 წლისათვის. გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და ენერგეტიული [illegible]ობების გამოკვლევა ეკისრება გზათა სახალხო კომისარიატს (ადს).

ბრძოლა 10 მილიონი ტონა თუჯისათვის 1932 წ.

მოსკოვი, 30 იანვარი. 28 იანვარს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე იხილავდენ შავი მეტალურგიის შემხვედრ გეგმას 1932 წლისათვის. ამხ. **შვერნიკმა** აღნიშნა, რომ გეგმის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა კავშირებმა.

შავი მეტალურგიის მუშების კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ოკოროკოვმა** განაცხადა, რომ შემხვედრი გეგმის ციფრი 10 მილიონი ტონა თუჯი—ტექნიკურად დასაბუთებულია. შემხვედრი გეგმის დამუშავებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქარხნების მუშათა უმრავლესობა, აგრეთვე უცხოელი სპეციალისტები. მიღებულ იქნა 6.752 სარაციონალიზაციო წინადადება. საამქროების ზოგიერთი უფროსის და ადმინისტრატორის ოპორტუნისტული გამოსვლები წააწყდა პარტორგანიზაციების იმ მუშების სასტიკ წინააღმდეგობას.

მეტალურგიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსმა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ზურევიჩმა** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ იმ მეტალურგიულ საწარმოების სრული წლიური საწარმოო სიმძლავრე, რომლებიც 1932 წელს ამუშავდება, უდრის ევროპის ყველაზე ძველი კაპიტალისტური ქვეყნის—ინგლისის მთელ საწარმოო სიმძლავრეს. სულ 1932 წელს ამუშავდება 24 ბრძმედი, 68 მარტენი, 7 ელექტრო-ღუმელი, 7 ბლიუმინგი, 21 სატკეცი დაზგა. მშენებლობის პროცესში იქნება 16 ახალი მეტალურგიული ქარხანა, მაგნიტოგორსკი, კუზნეცკი, ნიჟნე-ტაგილსკი და სხვ. (მოხდება 20 ქარხანაზე მეტის ფართო რეკონსტრუქცია, რომელიც უდრის მთელი ახალი ქარხნების აშენებას).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ ბრძოლა მეტალურგიის შემხვედრი გეგმის შესრულებისათვის 10 მილიონი ტონა თუჯისათვის უნდა გადაიქცეს არა მარტო შავი მეტალურგიის მუშათა კავშირის, არამედ ყველა პროფკავშირების და ყოველი მუშის ღირსების საქმედ. იმ მიზნით, რომ წაქეზებულ იქნას ქარხნები, მაღაროები, რკინის გზის უბნები, ახალმშენებლობანი, მეტალურგიის წინაშე ვალდებულებათა სამაგალითოდ შესრულებისათვის წესდება პრემიები: პროფკავშირების მე-9 ყრილობის სახელობის დროშები, თანხების გაღება 1933 წელში 10 კლუბის მშენებლობისათვის 15 მილიონი მანეთის ღირებულებით, სახსრების გაღება მუშებისათვის ბინების, სასადილოების, აბანოების, სკოლების და სხვ. მშენებლობაზე.

ჩავებათ ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის
მასიურ დათვალიერებაში

მოსკოვი, 30 იანვარი. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. **ორჯონიკიძემ**, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. **შვერნიკმა**, საკავშირო ლ.ა. კომკავშირის ც. კ-ის მდივანმა ამხ. კოსარიოვმა და ტექნიკის დაუფლების სრულიად საკავშირო საზოგადოებამ მოწოდებით მიმართეს ყველა სამეურნეო, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა ნებაყოფლობით დაარსებულ ტექნიკურ საზოგადოებებს.

მთელი რიგი ქარხნების, სამეცნიერო საზოგადოების საბჭოებისა და გაზეთების რედაქციების ინიციატივით ამხ. **სტალინის** მიერ 4 თებერვალს წარმოთქმული ისტორიული სიტყვის წლისთავი „ტექნიკის დაუფლების შესახებ“ აღნიშნული იქნება თებერვალში ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის მასიური დათვალიერების ჩატარებით საწარმოებში. დათვალიერების დროს კონკრეტულად საჭიროა შემოწმებულ იქნას:

1. პარტიის ც. კ-ის წარსული წლის 5 აგვისტოს დირექტივის შესრულება ტექნიკური პროპაგანდისა და მასიური ტექნიკური საზოგადოებრიობის შეგნების შესახებ.
2. მასიური ტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ-მასიური მუშაობის მდგომარეობა საწარმოებში.
3. რამდენად არის დაკავშირებული ტექნიკური პროპაგანდა ბრძოლასთან სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკურად უცხოეთის გავლენისაგან განთავისუფლებისათვის, მუშების სპეციალისტებისა და სამეურნეო მუშაკების შემოქმედებითი ინიციატივის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.
4. სამეურნეო მუშაკების სწავლების მდგომარეობა წარმოებაში მუშაობისათვის თავის გაუწყვეტლად.
5. ტექნიკური გეგმის შედგენა თვითეულ საწარმოში.

მასიური დათვალიერების ამ ფორმებთან ერთად მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო და საკავშირო ლ.ა. კომკავშირის ც. კ-ი წინადადებას იძლევიან:

1. 4 **თებერვალი გამოცხადებულ იქნას ტექნიკის სრულიად საკავშირო დღედ** და ჩატარდეს ამ დღეს ყველა საწარმოებში მუშების სპეციალური კრებები, რომლებიც უნდა მიეძღვნას დათვალიერებას და ტექნიკის დასაუფლებლად წარმოებული მუშაობის წლიური შედეგების გამოყვანას,
2. დათვალიერების ჩატარების დროს აუცილებლად დაცულ უნდა იქნას ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედების მთლიანობა მუდმივი თათბირების მოწყობის საშუალებით გაერთიანებისა და საწარმოთა ტექნიკური პროპაგანდის განყოფილებებთან.
3. დათვალიერების ჩასატარებლად გაწეული შრომის შედეგი საჭიროა განხილულ იქნას მასიური ტექნიკურ კონფერენციებზე, რაც მოწვეულ უნდა იქნას საერთო-საქარხნო და სარაიონო მასშტაბით განსაკუთრებით შემდეგი მაჩვენებლების გამოსარკვევად: 1) ყველა სახის მასიურ ტექნიკურ სწავლებაში სხვადასხვა კატეგორიისა და კვალიფიკაციის მუშების, საინჟინერო-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ჩაბმის საკონტროლო ციფრები 1932 წლისათვის, 2) მასიური მუშაობის ერთიანი გეგმის შედგენა ტექნიკური პროპაგანდის დარგში, 3) თვითეული საწარმოს ტექნიკური გეგმის შედგენა, 4) ტექნიკური (გამოტოვებულია)... გამოშვება საინჟინერო-ტექნიკური მუშაკებისა და მუშების ხაზით, 5) ტექნიკურ საზოგადოებათა მოწყობის გეგმა (ადს).

სოციალისტური საზოგადოების აგების დიად სამუშაოების გეგმები
დავიჭიროთ ყოველ მუშამდე და კოლმეურნემდე

მშრომელთა მასების დარაზმვა ბრძოლაში--ტემპისა და ხარისხისათვის--
პარტორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა ხუთწლედის მეოთხე წელში

ვიწვევთ სოცშეჯიბრებაში
(სტამბა „კომუნისტი“)

სტამბა „კომუნისტთან“ არსებულმა პარტუჯრედმა თავიდანვე ბოლშევიკური ტემპები აიღო მე-17 საკავშირო პარტკონფერენციაზე შესახვედრად.

მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა 7 დამკვრელი ბრიგადა, ლენინურ პარტიაში მისაღებად განცხადება შეიტანა 8 საუკეთესო დამკვრელმა მუშამ, კომკავშირში მისაღებათ განცხადება შეიტანა 20 დამკვრელი ენტუზიასტმა და მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის სახელობაზე დამკვრელათ გამოაცხადეს თავი სალინოტიპო საამქროს მუშებმა.

გუშინ შესდგა სტამბა „კომუნისტთან“ არსებული პარტუჯრედის ღია კრება. კრებამ მე-17 საკავშირო პარტკონფერენციაზე მოსმენილ მოხსენებების და დადგენილებების თვითეულ მუშამდე დაყვანის მიზნით გამოჰყო 6 დამკვრელი ბრიგადა.

ბრიგადებს დაევალათ მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის მასალების თვითეულ საამქროსა და ბრიგადებში დამუშავება.

სტამბა „კომუნისტის“ პარტუჯრედმა მე-17 საკ. პარტკონფერენციაზე მოსმენილ მოხსენებების და დადგენილებების თვითეულ მუშამდე დაყვანის მიზნით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხნების და დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები.

უმაღლეს საფეხურზე ავიყვანთ სოცშეჯიბრსა და დამკვრელობას
(ამხ. სტალინის სახ. ფეხსაცმელების ფაბრიკა)

ამხ. სტალინის სახ. ფეხსაცმელების ფაბრიკის პარტკოლექტივის ბიურო აერთიანებს 6 პარტუჯრედს პარტიის 147 წევრ-კანდიდატით. პარტ. - უჯრედებთან ჩამოყალიბებულია სექტორები და გამოყოფილია პარტჯგუფები და პარტორგები, რომლების მუშაობაც სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

ფაბრიკის სამკუთხედმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა ამხ. სტალინის მითითებების საფუძველზე: ფაბრიკაში ადგილი აქვს ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბრებას, გაუპიროვნების კონკრეტიულ მაგალითებს და სხვა, რის საწინააღმდეგოთაც ჯერ კიდევ არაა მიღებული გადამჭრელი ზომები.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად დაიწყო სამზადისი საკ. მე-17 პარტკონფერენციასთან დაკავშირებით. მე-17 საკ. პარტკონფერენციის აღსანიშნავად სამეურნეო ანგარიშზე გადადის 10 დამკვრელი ბრიგადა, ტარდება სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მიმდინარეობის შემოწმება; პარტიაში მისაღებად განცხადება შეიტანა 15 საუკეთესო დამკვრელმა მუშამ და სხვ.

28 იანვარს შესდგა ტყავტრესტის პარტუჯრედების გაერთიანებული კრება. კრებაზე დამუშავებული იქნა ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა თეზისები — მეორე ხუთწლედის გეგმების შესახებ.

მუშები იწონებენ და ესალმებიან დირექტივებს — მეორე ხუთწლედის გეგმების შედგენის შესახებ და სიტყვას იძლევიან პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებით მზად შეხვდებიან მეორე ხუთწლედს.

ალ. გვ-ძე და შ. ჩ-ლი.

ახალგაზრდა ლენინელთა ხმა
ნავთის ფრონტიდან

„საქართველოს ნავთი“-ს ფრონტზე მომუშავე კომკავშირელები, საკ. კ.პ. (ბ) მე-17 კონფერენციასთან დაკავშირებით თავს აცხადებენ დამკვრელად და სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას საქართველოში ნავთის ახალი საბადოების აღმოჩენის საქმეში.

„საქნავთი“-ს კომკავშირის ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა მე-17 საკ. პარტკონფერენციის სახელობის კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადები და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ იქნა საუკეთესო კომკავშირელთა ბრიგადებთან ერთად ჰაბურღილები: №№ 36, 14, და 16.

ნავთის საძიებელ სამუშაოებზე მებრძოლი ახალგაზრდა ლენინელები თავიანთ პატაკში აღნიშნავენ, რომ ისინი სასტიკ ბრძოლას გამოუცხ.-ბენ შრომა დღეების უმიზეზოთ გაცდენას, უდისციპლინობას, წამგლეჯაობას და აღმოფხვრიან გაუპიროვნებას. „საქნავთის“ საწარმოო საფინანსო გეგმის შესასრულებლად უმაღლეს საფეხურზე აიყვანენ სოც. შეჯიბრება-დამკვრელობას და ამხ. **სტალინის 6 ისტორიული მითითების ცხოვრებაში ურყევად გატარების საფუძველზე 1932 წლისათვის უზრუნველყოფენ 14.500 ტონა ნავთის ამოღებას.**

„პრაქტიკულად არაფერი გაგვიკეთებია-- ვალდებულებები კი მივიღეთ“

თბილისის ტყავის № 1 ქარხნის პარტორგანიზაცია საკ. მე-17 პარტ. კონფერენციას ხვდება თავის მუშაობის არა საკმაოდ გარდაქმნით; უჯრედთან ჩამოყალიბებულმა სექტორებმა ქვედა პარტორგანიზაციების გადარჩევების ჩატარების შემდეგ მუშაობა შესამჩნევად შეასუსტეს, არა აქვთ მუშაობის გეგმები.

პარტჯგუფებსა და პარტორგებს შემუშავებული აქვთ მუშაობის კონკრეტული გეგმა, მხოლოთ შესრულების შემოწმებას არავითარი ყურადღება არ ექცევა.

ქარხანამ 1931 წლის საწ.-საფ. გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ ქარხანამ მეტად დიდი დანაკლისით (გარღვევათ) შეასრულა 1932 წლის იანვრის თვის პირველი ორი დეკადის გეგმა.

რა არის გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი? გეგმას შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი არის: თრიმლის უქონლობა და მუშაობის გარდაუქმნელობა ამხ. სტალინის ექვს ისტორიულ მითითების საფუძველზე.

ქარხნის ყველა საამქროები და ექვსი დამკვრელი ბრიგადა გადასულია სამეურნეო ანგარიშზე, მხოლოთ სუსტადაა დაყენებული ანგარიშიანობა: ქარხანაში ხშირია შემთხვევა, რომ კვალიფიციური მუშა შავი მუშის მოვალეობას ასრულებს, ანდა პირიქით, რის გამოც ეცემა შრომის ნაყოფიერება და მცირდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ქარხანაში 180 მუშა მუშაობს. აქედან სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმულია 90 პროც. შექმნილია 17 დამკვრელი ბრიგადა.

მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ბრიგადებს შორის ფორმალურადაა დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები. მესამე გადამწყვეტი წლის მესამე კვარტალიდან დღემდე არ მომხდარა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლების შესრულების შემოწმება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის პროფორგანიზაციამ გარდაქმნა თავისი მუშაობა —საკ. პროფსაბჭოს და ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე, კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა კი ოპორტუნისტულ თვითმდინარებაზეა დაყრდნობილი, არც პარტუჯრედი უწევს რაიმე დახმარებას და ხელმძღვანელობას მას.

ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ ჩაუტარებია მე-17 საკ. პარტკონფერენციასთან დაკავშირებით. ქარხკომის თავმჯდომარეს, პარტუჯრედის ბიუროს წევრს—ამხ. მირზოევს არც აწუხებს ეს სრულიად და აცხადებს: „მე-17 საკ. პარტკონფერენციის აღსანიშნავათ თბილისის მე-14 პარტკონფერენციაზე მივიღეთ მთელი რიგი ვალდებულებები, მხოლოდ პრაქტიკულად არაფერი არ გაგვიკეთებია“-ო.

უნდა აღინიშნოს, რომ საპნის ქარხნის მუშაობა საერთოდ არ არის გარდაქმნილი— ახალი ამოცანების მიხედვით:

ეს ძირითადი ნაკლია: ასეთ პირობებში ქარხანა ვერ უზრუნველყოფს მიმდინარე წლის დავალებების შესრულებას. საჭიროა ქარხნის მუშაობა, ქარხნის ყველა ორგანიზაციის მუშაობა სასწრაფოდ გარდაიქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მუშაობის შესახებ

საბჭოთა კავშირმა დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება

ამხანაგებო! ჩვენ ანგარიშს გაბარებთ პარტიის მე-16 ყრილობის შემდგომი პერიოდისათვის. რა წარმოადგენს ამ პერიოდის მთავარსა და უფრო დამახასიათებელს? ამ საკითხზე პასუხი გაცემული აქვს ამხ. სტალინს ჯერ კიდევ პარტიის მე-16 ყრილობაზე, როცა მან ჩვენი პარტიის ამოცანის განსაზღვრის დროს უახლოესი დროისათვის სთქვა: „პარტიის მე-14 ყრილობა უმთავრესად იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. პარტიის მე-15 ყრილობა იყო უმთავრესად ყრილობა კოლექტივიზაციის. ეს იყო მომზადება საერთო შეტევისათვის... მე-16 ყრილობა არის მთელი ფრონტით სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა“.

ამხ. სტალინის ამ დებულებამ განსაზღვრა მთელი ჩვენი მუშაობა მე-16 ყრილობის შემდგომი პერიოდისათვის. ამ შეტევის შედეგს კი წარმოადგენს ის უდიდესი გამარჯვება, რაც ჩვენ მოვიპოვეთ შეუპოვარი ბრძოლის საშუალებით საბჭოთა სისტემის გიგანტურ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის. ამხ. სტალინის გამოსვლაში პარტიის მე-16 ყრილობაზე და შემდეგ მის მიერ სამეურნეო მუშაკთა თათბირებზე წარმოთქმულ ორ ისტორიულ სიტყვაში წითელი ზოლივით გატარებულია ძირითადი აზრი: შესაძლებლობა ჩვენ ბევრი გვაქვს, მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე, საჭიროა შესაძლებლობა ვაქციოთ სინამდვილედ. პარტიამ საერთოდ და კერძოდ მოსკოვის ორგანიზაციამ, როგორც პარტიის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა, დიდი მუშაობა ჩაატარეს მთელი ფრონტით გაშლილი შეტევის ლოზუნგის პრაქტიკულად გატარებისათვის. ჩვენს მუშაობაში ამ ლოზუნგის მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს ბრძოლა ხუთწლედის შესრულებისათვის ოთხ წელიწადში. დღეს ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ: ხუთწლედი ოთხ წელიწადში—ეს უკვე რეალური ფაქტია, ხუთწლედი უახლოვდება თავის ძლევამოსილ დამთავრებას (ტაში). პირველ ყოვლისა საკითხი ტემპების შესახებ. თქვენ იცით, რომ საკითხი ტემპების შესახებ ყოველთვის წარმოადგენდა და ეხლაც წარმოადგენს ძირითად ქვაკუთხედს ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ. სინამდვილემ გააცამტვერა ტროცკისტული და მემარჯვენე უკლონისტური ბურჟუაზიული თეორია ჩვენი განვითარების დაღმავალი მრუდის შესახებ. ჩვენ განუწყვეტლად წინ მივდივართ ხუთწლედის გეგმების გადაჭარბებით შესრულების გზით. ამ ერთნახევარი წლის ძირითად გადამწყვეტ შედეგს წარმოადგენს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების დამთავრება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჩავყარეთ მტკიცე საფუძველი, მტკიცე ბაზა სოციალიზმის შემდგომი სწრაფი წაწევისათვის წინ. თავისთავად ცხადია, რომ საძირკველი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მთელს შენობას, მაგრამ საძირკველი ჩვენ მტკიცე ჩავყარეთ. ჩვენ მოგველის კიდევ შეუპოვარი ბრძოლა სოციალიზმის შენობის დასამთავრებლად. შედეგი—მოსკოვის კომიტეტის სწორმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო 1931 წელს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების დამთავრება.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარება და მუშებისა და მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტ. მდგომარეობის გაუმჯობესება

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი შეჩერდა მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლაზე პარტიის მე-16 ყრილობის დირექტივების განხორციელებისათვის სამეურნეო მშენებლობის დარგში. მან დაწვრილებით დაახასიათა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამეურნეო განვითარება უკანასკნელი ერთნახევარი წლის განმავლობაში. საერთო შედეგები ასეთია: მძიმე და მომარაგების სახალხო კომისარიატის სამრეწველო პროდუქცია მოსკოვის ოლქში ორჯერ გადიდდა 3 წლის განმავლობაში, ოლქის მძიმე მრეწველობა გადიდდა სამნახევარჯერ. პროდუქციის საერთო მატება 1931 წელს ოლქში შეადგენდა 22 პროცენტს, მრეწველობის პროდუქცია, რომელიც ხუთწლედის დასაწყისისათვის 2.900 მილ. მანეთს უდრიდა, ხუთწლედის მესამე წლის დამლევისათვის შეადგენს 5 ნახ. მილიარდ მანეთს. მოსკოვის ოლქის მრეწველობის ხვედრითი წონა უკვე ამჟამად შეადგენს საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 24 პროცენტს. ოლქის მთელი მეურნეობის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა გაიზარდა 86 პროცენტამდე. გაიზარდა კაპიტალის დაბანდება და ბიუჯეტი. ხუთწლედის 3 წლის განმავლობაში ძირითადათ შეიცვალა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სახე. მოსკოვი, რომელიც წარმოადგენდა საფეიქრო მრეწველობის ცენტრს, ხდება მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკისა და ქიმიის ცენტრად. თუმცა მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 1 მილიარდი მანეთით მეტად გაიზარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წონა დაეცა 80 პროცენტიდან 62 პროცენტამდე, მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა და ქიმია, მოსკოვის ოლქს სრულიად საკავშირო პროდუქციაში უჭირავს შემდეგი ადგილი: ელექტროტექნიკას—40 პროცენტი, ქიმიას—48 პროცენტი, ავტომშენებლობას—49 პროცენტი. მოწყობილია მთელი რიგი ახალი საწარმოები, რაც საშუალებას გვაძლევს განვთავისუფლდეთ უცხოეთის დამოკიდებულებისაგან. პარტიის მე-16 ყრილობის შემდეგ აგებულ იქნა მთელი რიგი ქარხნები, რომლებიც უკვე ამუშავებულია და რომელთა ამუშავება ახლო მომავალში მოხდება. ამხ. სტალინის სახელობის ქარხანა, ყოფილი „ამო“, უდიდესი ავტოქარხანა მთელს მსოფლიოში, მისი ღირებულება უდრის 127 მილიონ მანეთს, ხოლო სიმძლავრე—წლიურად 25.000 ავტომობილს. „შარიკოპოდშიპნიკ“-ი უდიდესი ქარხანაა მსოფლიოში, რომელიც გამზადებულია ასამუშავებლად. მისი ღირებულება უდრის 106 მილ. მანეთს, ხოლო პროდუქციის გამოშვება—120 მილ. მანეთს წლიურად, ანუ 24 მილიონ ბურთულისა და გორგოლაჭის საკისრის. ქარხანაში იმუშავებს 15.000 მუშა. უკვე აგებულია და გადაცემულ იქნა საექსპლოატაციოდ „სტანკოსტროი“. ქარხნის სიმძლავრე—6000 დაზგა, ანუ წლიურად 48 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქცია. ქარხანა „კალიბრ“-ი გასაზომი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების დასამზადებლად, რომლის ღირებულება უდრის 58 მილ. მანეთს. ქარხანა იძლევა 42 მილიონი მანეთის პროდუქციას წლიურად.

სამეტალურგიო კომბინატი ტულაში, ღირებულება უდრის 285 მილ. მანეთს, წლიურად გამოუშვებს 135.000 ტონა თუჯს. ველოქარხანა, რომელიც პირველ რიგში 1932 წელს გამოუშვებს 50.000 ველოსიპედს, და მთელი რიგი დანარჩენი ქარხნები.

ამას გარდა, 1932 წელს გაგრძელდება დაწყებული მშენებლობა და ოთხი ახალი ქარხნის აგება, რომელთა ღირებულება შეადგენს 45,5 მილიონ მანეთს. ქიმიური მრეწველობის დარგში: ბობრიკოვის ენერგოქიმიური კომბინატი — 450 მილიონ მანეთად ღირებული. ვოსკრესენსკის მინერალური სასუქების ქიმკომბინატი, რომლის მთავარი სამუშაოები უკვე შესრულებულია 1931 წლის. უგრების ქიმკომბინატი, რომლის ცალკე საამქროები და ქარხნები უკვე ამუშავებულ იქნა 1931 წელს. საამშენებლო მასალის დარგში: შუროვის ცემენტის ქარხანა; ცემენტის ქარხანა პოდოლსკში; ცემენტის ქარხანა „გიგანტი“; ლიუბერეცის სილიკატური აგურის ქარხანა 162 მილიონი ცალი აგურის პროდუქციით და სხვ. სამრეწველო - საფინანსო გეგმა ქალაქ მოსკოვში მთლიანად შესრულებულია 97,7 პროცენტით, ოლქში — სულ 87,6 პროცენტით, ამასთან „ა“ ჯგუფის ხაზით გეგმა შესრულებულია 78,5 პროცენტით.

ამხ. კაგანოვიჩი აღნიშნავს, რომ თუმცა გეგმის შეუსრულებლობაზე სერიოზული გავლენა იქონია ტრანსპორტის ცუდმა მუშაობამ პირველსა და მეორე კვარტალებში, მაგრამ არ შეიძლება სულ ამას დავაბრალოთ ჩვენი საკუთარი მუშაობის დეფექტები. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი გარემოება: მესამე კვარტალმა, რომელმაც გასულ წელს მოგვცა პროდუქციის შემცირება, წელს მოგვცა მისი გადიდება. ეს მოხდა იმიტომ, რომ უკანასკნელი წლის მეორე ნახევარი ჩატარდა ამხ. სტალინის 6 მითითების შესრულებისათვის ნამდვილი ბრძოლის ნიშნით. შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი მთელი რიგი მაგალითებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციისათვის წარმატებით ბრძოლამ გამოიწვია გეგმის შესრულება და შრომის უკეთესი ორგანიზაცია.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობაში მოხდა უდიდესი ცვლილებები. ჯერ კიდევ 1926 წელს იმ გუბერნიებს, რომლებიც ამჟამად შედიან მოსკოვის ოლქში, ჰქონდათ ნახევარი მილიონი სახნისი. ეხლა კი თუმცა სახნისს ხმარობენ მიწის შემოსაყრელად და გასამარგლავად, მაგრამ როგორც ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი იგი თითქმის ლიკვიდაციაქმნილია. ოლქის მინდვრებზე მუშაობს 2618 ტრაქტორი. სწორმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო მემარჯვენე პრაქტიკის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრა და „მემარცხენე“ გადახვევების გამოსწორება საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამჟამად კოლექტივებში გაერთიანებულია მთელ მეურნეობათა 52 პროცენტი. კოლმეურნეობები შეიქმნა სისტემატიური ჯანსაღი ზრდის, მათი დახმარების, საორგანიზაციო - პოლიტიკური კადრებით და კრედიტებით განმტკიცების და კოლმეურნეობებში იმ კულაკურ განწყობილებათა გამოხატულებებთან ბრძოლის საფუძველზე, რომლებსაც, კერძოდ, ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობათა მიერ პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე თავიანთი ვალდებულებათა შესრულების დროს.

მომხსენებელს მოჰყავს კარგად და ცუდად მოწყობილ კოლმეურნეობათა მთელი რიგი მაგალითები. უკეთებს რა ჯამს სათესი ფართობების გადიდებას 5.439 ათას ჰექტარამდე 1931 წელს, ნაცვლად 4942 ათასი ჰექტარისა 1929 წელს, ამხ. კაგანოვიჩი გადადის დამზადების საკითხებზე მოსკოვის ოლქში და მიუთითებს, რომ ხდება მოსკოვის ოლქის მომხმარებელი ოლქიდან მწარმოებელ ოლქად გადაქცევის ღირსშესანიშნავი პროცესი. ოლქის სოფლის მეურნეობის საქონლიანობა იზრდება და დამზადების საერთო ჯამში მას თვალსაჩინო ადგილი უკავია.

1931 წლის დამზადება 2-3-4-ჯერ სჭარბობს 1930 წლის დამზადებას. ამხ. კაგანოვიჩი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება მუშებისა და მშრომელების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ მდგომარეობაზე. თუ გასულ წელს, — ამბობს იგი, — ჩვენ აღმოვფხვრით უმუშევრობა, წელს უკვე წავედით წინ და საგრძნობლად გავადიდეთ ერთ ოჯახში მომუშავეთა რაოდენობა. ამით გავზარდეთ მუშის მთელი ოჯახის შემოსავალი. ორი წლის განმავლობაში მოსკოველი მუშის ოჯახში მომუშავეთა რაოდენობა საშუალოდ გადიდდა 40 პროცენტით. ხუთი წლის განმავლობაში მოსკოვის მოსახლეობა ერთ ნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო დაქირავებულ პირთა რიცხვი—ორჯერ და უფრო მეტად — 700.000 კაციით. ამავე დროს ჩვენ გვყავს 300.000-ზე მეტი მუშებისა და მოსამსახურეთა შრომის უნარის მქონე ოჯახის წევრი (თითქმის ყველა ქალები), რომლებიც არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ჩვენი უახლოესი—ერთი წლის, წლინახევრის საბრძოლო პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს, ჩავაბათ მოსკოვის მუშების 100-200 ათასი ოჯახის წევრი წარმოებაში. ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა შესაფერი საყოფაცხოვრებო პირობები, მუშათა ოჯახების მთლიანად მთელი დღე-ღამის განმავლობაში საზოგადოებრივი კვება, დღე-ღამის განმავლობაში მომუშავე ბაგები, საბავშო ბაღები და სამრეცხაოთა ქსელი.

მოსკოვის ოლქში ხელფასი ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში 16-17 პროც., გაიზარდა. მაგრამ ხელფასის ფაქტიური გადიდება საგრძნობლად მეტია. მოსკოვის მუშების ოჯახების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ორი წლის განმავლობაში ერთი მომუშავის ხელფასის საშუალო ზრდა უდრის 24 პროცენტს, ოჯახის მეთაურის — 42 პროც. და ოჯახის წევრთა საშუალო შემოსავალი — 50 პროც. ეს აიხსნება იმით, რომ მატულობს ერთ ოჯახში მომუშავეთა რიცხვი. მოსკოვის მოსამარაგებელი მოსახლეობის კონტინგენტი ერთი წლის განმავლობაში 2 მილიონ 647 ათასიდან გადიდდა 3 მილიონ 336 ათასამდე, ე. ი. 27 პროცენტით. ჩვენ მივაღწიეთ საზოგადოებრივ კვების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ხელმძღვანელ საამქროების ღამის ცვლათა მომსახურების საქმეში. ზოგიერთ სასადილოებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს თვალსაჩინო დეფექტებს: პროდუქტების გაფუჭება, უგემური სადილები, უსუფთაობა, უხეში მოპყრობა, რიგები სასადილოებში; დანაჩანგლები თუმცა არის, მაგრამ მოსადილეებს მათ არ აძლევენ და სხვ.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი შეჩერდა ჯანმრთელობის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე. მან აღნიშნა მოსკოვის მოზარდ და ბავშთა მოსახლეობის სიკვდილიანობის ორჯერ შემცირება ომის წინა დროსთან შედარებით, ეპიდემიურ დაავადებათა საგრძნობი შემცირება, საექიმო პუნქტების ქსელის საგრძნობლად გაფართოება ქალაქებსა და სოფლებში, საავადმყოფო კოიკების რაოდენობა და ბაგებში ბავშთა რიცხვის გადიდება. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ საავადმყოფოებში ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. — რიგები, უსუფთაობა, უხეში მოპყრობა.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევა მშრომელთა კულტურული დონის აწევის მხრივ. მუშფაკებში, ტექნიკუმებში და საღამოს სკოლებში მოსწავლე მუშათა რიცხვის ზრდა, საყოველთაო - სავალდებულო სწავლაში ბავშთა 98 პროც. ჩაბმა და საშუალო სკოლაში მოსწავლეთა რიცხვის 83.000-დან 290.000-მდე გადიდება.

ამხ. კაგანოვიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა მივაღწიოთ სასკოლო განათლების გაუმჯობესებას, ც. კ.-ის მიერ დაბალი და საშუალო სკოლის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებთან შეფარდებით.

ამის შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი გადადის ქალაქის მეურნეობის საკითხებზე, აღნიშნა რა, რომ ამ საკითხზე გაკეთებული იქნება სპეციალური მოხსენებები, იგი მოკლედ შეეხო საქალაქო მეურნეობის დარგში მიღწეულ წარმატებებს, როგორიცაა: ახალი ტრამვაის ხაზის გაყვანა, სახლების რემონტი, საგზაო მშენებლობა და სხვა. ამასთან ერთად ოლქის ქალაქებს ის ადარებს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებს. ეს შედარება ადასტურებს კაპიტალისტური ქალაქების მეურნეობის ჩანაგურების სურათს, საქალაქო ბიუჯეტების გაკოტრებას და ამ ქალაქების გადაქცევას უმუშევართა ქალაქებად იმ დროს, როცა ჩვენში ადგილი აქვს საქალაქო მშენებლობის ისტორიაში უმაგალითო გაფართოებას, რომელიც ემყარება მრეწველობის გიგანტურ განვითარებას და მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა კლასის როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივ ზრდას.

საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები

ამხ. სტალინმა პარტიის მე-16 ყრილობაზე, — ამბობს ამხ. კაგანოვიჩი, — ღრმა ანალიზი გაუკეთა თანამედროვე კრიზისს; მე-16 ყრილობის შემდეგ განვლილმა წელიწადნახევარმა სავსებით დაადასტურა ეს ბრწყინვალე ანალიზი.

ამ წელიწადნახევარში კრიზისი კიდევ უფრო დაშორდა ჩვეულებრივ ძველ კრიზისებს. თანამედროვე კრიზისის ძირითად გარეგნულ განსხვავებას წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა მისი ხანგრძლივობა, წარმოების განსაკუთრებით ღრმად დაცემა, როგორსაც ჯერ არ ქონია ადგილი კრიზისების ისტორიაში, საბითუმო ფასების არაჩვეულებრივად შემცირება, საცალო ფასების ნელ დაცემასთან ერთად, უმუშევრობის უმაგალითო ზრდა. კრიზისმა მიიღო საყოველთაო მსოფლიო ხასიათი. განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა კაპიტალიზმის ცენტრი. ამერიკასა და საფრანგეთშიაც კი, სადაც პარტიის მე-16 ყრილობის პერიოდში კიდევ ჰქონდა ადგილი სამრეწველო პროდუქციის ერთგვარ ზრდას, უკანასკნელ წელს მრეწველობის პროდუქცია შემცირდა 18 პროცენტით, ხოლო ფოლადის — 26 პროცენტით. არასოდეს წინანდელი კრიზისების დროს არ მომხდარა გლეხობის ასეთი მასიური გალატაკება კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, არასოდეს არ ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან სამრეწველო და აგრარული კრიზისები, როგორც ამჟამად. ეხლანდელი კრიზისის ყველა ეს განსხვავება უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ თანამედროვე კრიზისი ვითარდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის საფუძველზე, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომის პერიოდში.

უკანასკნელი წელიწადნახევრის ფაქტებმა საბოლოოდ გააცამტვერეს არა მარტო კაპიტალის ხანგრძლივი და მტკიცე სტაბილიზაციის თეორია, არამედ თეორიაც იმის შესახებ, რომ შესაძლებელია კრიზისიდან თავის დაღწევა „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ საშუალებით. კაპიტალიზმის ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიულ თეორეტიკოსები არასოდეს არ ყოფილან ისე დაბნეული, როგორც ეხლანდელ პერიოდში.

საჭიროა ჩვენს საკუთარ რიგებში დავძლიოთ მემარჯვენე განწყობილება, რომელიც სათანადოთ არ აფასებს და ჩქმალავს თანამედროვე კრიზისის სიღრმეს, ამავე დროს კი გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ „მემარცხენე“ ხასიათის გატაცებას, რომელიც კრიზისის ეხლანდელ პერიოდს გვიხატავს როგორც კაპიტალიზმის საბოლოოდ დამარცხების ხანას. კიდევ უფრო ხაზიანი და საშიშია კაპიტალიზმის ავტომატიური კრახის „თეორიები“. არსებითად ამ „თეორიებს“ მთელი საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ კაპიტალიზმი დაიმხობა თავისთავად კრიზისის გამო, მუშათა კლასის მწვავე შეუპოვარი ბრძოლის გარეშე. ცხადია, რომ იმ ზომებს, რომლებსაც კაპიტალიზმი ღებულობდა და ღებულობს კრიზისისაგან თავის დასაღწევად, ჯერჯერობით არავითარი შედეგები არ მოუტანია. პროტექციონიზმი, რომელიც უმაგალითო მასშტაბით ხორციელდება და რომელიც ღებულობს ცალკე სახელმწიფოთა შორის ნამდვილი საბაჟო ომის სახეს, არა თუ არ იძლევა გამოსავალს, არამედ იწვევს კრიზისის გაღრმავებას, წინააღმდეგობათა გამწვავებასა და მსოფლიო ვაჭრობის ძალზე შემცირებას.

კაპიტალიზმი თავისი ექსპლოატატორული ბუნების მიხედვით კრიზისიდან გამოსავალს ეძებს საშინელი ექსპლოატაციის გაძლიერებით და კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნების მრავალი ათეული მილიონი მუშისა და მშრომელი მასებისათვის უკანასკნელი ძალღონის გამოცლით. ცხადია, რომ თუ ეს მასები პასიურად განაგრძობენ ამ ტვირთის ზიდვას, არ დაირაზმებიან და კაპიტალიზმის ძალას არ დაუპირისპირებენ თავიანთ ძალას, კაპიტალიზმი ერთხანს მოახერხებს მილიონთა ძვლებზე თავისი არსებობის შენარჩუნებას.

მაშასადამე ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ გულზე ხელი დავიკრიფოთ, პასიური ანალიზი გავუკეთოთ კრიზისს და ვიფიქროთ, რომ კრიზისი თავისთავად გამოიწვევს კაპიტალიზმის დაღუპვას, არამედ იმაში, რომ დავრაზმოთ მუშათა კლასის ძალები.

ლენინი ამბობდა: „ყოველ რევოლიუციონურ სიტუაციას აუცილებლად როდი მოჰყვება რევოლიუცია. საჭიროა, რომ ზეფენებმა ვერ შესძლონ ძველებურად ცხოვრება, ხოლო დაბალ ფენებს არ სურდეთ ძველებურად ცხოვრება“. საჭიროა პროლეტარიატის დარაზმვა და პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერება.

კაპიტალიზმი ეხლაც ცდილობს თავი დააღწიოს კრიზისს. კრიზისის მთელი სიმძიმის დაკისრებით მშრომელებისათვის, ახალი იმპერიალისტური ომების მომზადებით, კოლონიალური მსოფლიოს ხელახლა განაწილებით და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის მოწყობით. კომუნისტური პარტიების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დარაზმონ მუშათა კლასი კაპიტალიზმის დასამხობად, მობილიზაცია უყონ პროლეტარიატსა და მის ყველა ორგანიზაციებს მეორე ინტერნაციონალის სოციალფაშისტური პარტიების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისათვის და ამხილონ მათი „მემარცხენე“ მანევრები.

სულ უფრო და უფრო მწვავდება წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, სწარმოებს გაფართოებული ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, ჩინეთის განაწილებისა და მანჯურიის ხელში ჩაგდებისათვის და სხვ. კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარგათ გვახსოვს ჩვენი კლასობრივი სტრუქტურების განსხვავება, უცვლელად და მტკიცედ ვატარებთ სამშვიდობო პოლიტიკას. ჩვენ მიერ უკანასკნელ დროს დადებული თავდაუსხმელობის პაქტები მოწმობენ იმას, რომ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა წარმატებით ტარდება. სხვადასხვა ქვეყნების იმპერიალისტური ჯგუფები თეთრგვარდიელებთან ერთად ცდილობენ ჩაშალონ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა, ისინი ცდილობენ ჩაგვითრიონ ომში და მოაწყონ პროვოკაციული თავდასხმა. მათ თავიანთი პროვოკაციისათვის პლაცდარმად აირჩიეს შორეული აღმოსავლეთი და მოწადინებული არიან გადააქციონ იგი თავისებურ „ბალკანეთად“. ჩვენ ამ პროვოკაციას ვხვდებით ნამდვილი წინადადებებით განიარაღების შესახებ, მაგრამ კაპიტალისტურ მსოფლიოს არ შეუძლია გაატაროს თუნდაც ნაწილობრივი განიარაღება, პირიქით, გაფართოებით იზრდება კაპიტალისტების შეიარაღება და სამხედრო მრეწველობა—ერთად-ერთი დარგი, სადაც ადგილი არა აქვს პროდუქციის შემცირებას. საბჭოთა კავშირი ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თავს დაგვესხმიან, ულმობელ წინააღმდეგობას გავუწევთ ჩვენს მტრებს. ამის თავდებია ჩვენი ბრწყინვალე მძლავრი წითელი არმია (მქუხარე ტაში).

ეხება რა საშინაო მდგომარეობას, ამხ. კაგანოვიჩი ამბობს:

— მთავარია ის, რომ ჩვენ დავამთავრეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი, ე. ი. გაბატონებული, გამსაზღვრელი მდგომარეობა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ეხლა ეკუთვნის სოციალისტურ სექტორს. ამრიგად, ჩვენ გადავსჭერით ლენინის ლოზუნგი — „ვინ-ვის“ მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში საბოლოოდ მოისპო მთელი ის წყობა, რომლის შესახებ თავის დროზე ლაპარაკობდა ლენინი. განსხვავება იმ მდგომარეობასა, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ლენინი, და ეხლანდელ მდგომარეობას შორის გამოიხატება იმაში, რომ მაშინ ჩვენში სჭარბობდა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია, ეხლა ჩვენში სჭარბობს სოციალისტური მეურნეობა, რომელიც მოწესრიგებულია მთლიანი გეგმის მიხედვით. ეს არის ჩვენი ბრძოლის შედეგი.

მეორე ხუთწლედში საბოლოოდ მოისპობა კაპიტალისტური ელემენტები და საერთოდ კლასები. სავსებით აღმოიფხვრება ყველა კაპიტალისტური ელემენტები, მაგრამ მაშინაც ბევრი ნაშთი დარჩება. რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა:

ჩვენ გვაქვს მეურნეობის სოციალისტური ელემენტების აბსოლუტური უპირატესობა ქალაქშიაც და სოფელშიაც. სოციალისტური წყობა სჭარბობს როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრით. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ კიდევ გაგრძელდება სოციალისტური მეურნეობის ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთებთან და აქ უეჭველად კვლავ იქნება სიძნელეები.

ჯერ-ჯერობით ძალაში რჩება ჩვენი მტრების (მავნებლობა, კულაკობა, ბიუროკრატიზმი) გაფართოებული წინააღმდეგობის სხვადასხვა ფორმები.

ჩვენ ძირითადად მოვსპეთ კულაკობა, როგორც კლასი, მაგრამ კულაკური ელემენტები კიდევ არსებობენ, განსაკუთრებით არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, სადაც ჩვენს წინაშე კვლავ სდგას კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანა.

ამ წელიწადნახევარში ჩვენ ბუმბერაზულად წავიწიეთ წინ. პარტიის გადაწყვეტილებანი გვიძლევენ სოციალისტური განვითარების პროგრამას და მიგვითითებენ გზებზე ჩვენი სწრაფი ზრდის სიძნელეების აღმოსაფხვრელად. ამ სიძნელეების აღმოსაფხვრელად უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა ორი გზით: ერთი მხრით საჭიროა ულმობელი ბრძოლა ყველა ჩვენი მტრებისა და მათი დამხმარეების წინააღმდეგ, მეორე მხრით საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა დადებითი შედეგებისათვის, სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის დანერგვისათვის, მთელი ჩვენი სოციალისტური მეურნეობის წინსვლისათვის. აი, ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ეყრდნობა რა ჩვენი საშინაო მდგომარეობის ამ ანალიზს, გამოქვეყნებულ თეზისებში მეორე ხუთწლიანი გეგმისა და მრეწველობის განვითარების შესახებ, ჩვენს წინაშე სახავს მთელ რიგ ძირითად და საჭირო ამოცანებს, რომლებიც ჩვენ უნდა გადავსჭრათ. ეს დოკუმენტები გვინერგავენ ენტუზიაზმს, მხნეობას, რწმენას და სიხარულს იმის გამო, რომ ჩვენ ასე დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ეს დოკუმენტები გვინერგავენ აგრეთვე მზადყოფნას და ნებისყოფას შემდგომი წარმატებების მისაღწევად ბრძოლისათვის, ვინაიდან ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები ბუმბერაზულია და მათი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მთელი ბოლშევიკური ენერგიით ვიბრძოლებთ მთლიანად და სწრაფად გადაჭრისათვის.

რაში მდგომარეობს ძირითადათ მეორე ხუთწლედის ამოცანები ეკონომიური პროგრამის დარგში? უწინარეს ყოვლისა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება და უახლესი ტექნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის. აქედან გამომდინარეობს შესაძლებლობა დავეწიოთ ტექნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს მთელ რიგ სამეურნეო დარგებში. შემდეგ—სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრება სოფლის მეურნეობაში, ამასთან სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა სამსახური უნდა გაუწიონ ყველა კოლმეურნეობებს, რაც არსებითად ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დამთავრებას. ეს ნიშნავს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაყვანას ტრაქტორზე, კომბაინზე და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას. ცხენი დარჩება, მაგრამ ცხენით ვიცდით და მას გამოვიყენებთ მსუბუქი მუშაობისათვის, არსებითად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავამთავროთ მექანიზაცია და მთელი ხვნა შევასრულოთ ტრაქტორებით, მთელი მოსავლის აღება კომბაინებით და სხვ. (ტაში). შემდეგ ჩვენ ძირითადათ უნდა გადავჭრათ მეცხოველეობის პრობლემა. უნდა გავადიდოთ პირუტყვის რაოდენობა და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი.

ჩვენ უნდა მოვამზადოთ საქონლის დანორმილი გაცემის გაუქმება და საქონლის ცენტრალიზებული განაწილების სისტემა შევცვალოთ საბჭოთა ვაჭრობის გაშლით. მეორე ხუთწლედში ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავს ყოველი მშრომელის სულადობრივი მოხმარება გაასამმაგოს, გაადიდოს 300 პროცენტით (ტაში). ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მთელი რიგი საქონელი სამჯერ უფრო მეტი იქნება, ვინაიდან გეგმა ამ დარგში, როგორც სხვა დარგებში, უეჭველად გადაჭარბებით შესრულდება.

მეორე ხუთწლედის დიდ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ტექნიკური კადრების მეცნიერული კვალიფიკაციის აწევა, რაც ჩვენგან კულტურული რევოლიუციის დარგში ლენინის მიერ დასახულ ამოცანის ბოლშევიკურად განხორციელების ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ელემენტს. აი საერთო ძირითადი პრობლემები, რომლებსაც სახავს ჩვენს წინაშე ცენტრალური კომიტეტი მეორე ხუთწლედში.

ამხ. კაგანოვიჩმა დაახასიათა მოსკოვის ოლქის ეკონომიური სიმძლავრე და ბუნებრივი სიმდიდრე, აღნიშნა, რომ მოსკოვის ოლქი უნდა გადაიქცეს მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის და ქიმიის რაიონად. შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი გადავიდა მრეწველობის განვითარების ამოცანებზე.

მრეწველობა

კვალიფიციურ მუშების, ტექნიკურ კადრების და მხნეილი საწარმოო ბაზის არსებობა განსაკუთრებით ხელსაყრელ წინასწარ პირობებს ქმნის ლითონის მრეწველობის და მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის. შემდეგში ჩვენ უნდა განვახორციელოთ ელექტროტექნიკური მრეწველობის (ელექტრო ქალაქის მშენებლობა), ინსტრუმენტალური მრეწველობის (საფრეზო ჩარხები) და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის (ორთქლმავლები, ელექტრომავლები, ვაგონები, თბომავლები) სპეციალური სახეთა განვითარების სპეციალიზაცია. მოსკოვს შეუძლია გადაიქცეს და უნდა გადაიქცეს კიდეც ზუსტი მექანიკის (საათები, რენტგენის აპარატურა, საანგარიშო მანქანები, ლაბორატორიების მოწყობილობა, გეოდეზიის და ავიოხელსაწყო-იარაღები და სხვ.) უდიდეს ცენტრად. მოსკოვს აქვს მეტი შესაძლებლობა, ვიდრე სხვა ქალაქს, გაშალოს ექსპერიმენტალური და საცდელი წარმოების ლაბორატორია. მოსკოვში არის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტები, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრები, საუკეთესო ქარხნები. მას შეუძლია გადაიქცეს საკავშირო ლაბორატორიად, რომელიც მთელს კავშირს მისცემდა ახალ საწარმოებში მაღალხარისხოვანი მუშაობის და მრეწველობის ახალი დარგების დანერგვის გამოცდილებას.

ამხ. კაგანოვიჩი დაწვრილებით ჩერდება მოსკოვის მრეწველობის (კოსოგორის ქარხანა, ტულის ლითონკომბინატი, ქარხნები: „ელექტროსტალ“ და სხვ.) მეტალურგიული ბაზის შექმნის ამოცანებზე და ხაზგასმით აღნიშნავს მადნის ამოღების გაუმჯობესებისა და მექანიზაციის საჭიროებას. ეხება რა ენერგოსათბობის ბაზას, მომხსენებელი ჩერდება მოსკოვის თბოფიკაციის ამოცანებზე, განსაკუთრებით დაწვრილებით—მოსკოვის განაპირა რაიონის ქვანახშირის ბასეინის ამოცანებზე.

— ჩვენ—განაცხადა მან,—ყოველნაირად უნდა განვავითაროთ მოსკოვის განაპირა რაიონის ქვანახშირის ბასეინი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამოცანად დასახა მოსკოვის განაპირა რაიონის ბასეინის მუშაობის მაქსიმალურად გაშლა. ჩვენ უნდა მივიღოთ 35—40—50 მილ. ტონა ნახშირი და თუ მთლიანად არა, საგრძნობლად მაინც განვთავისუფლდეთ მოსაზიდ სათბობიდან. მიმდინარე წელს უნდა მოვაწყოთ 25 ახალი მაღარო, უნდა ამოვიღოთ 6 მილიონი ტონა ქვანახშირი. ამჟამად არის გარდატეხა, მაგრამ ეს გარდატეხა ჯერ კიდევ არაა საკმაო. ტორფის ამოღების საქმეში ჩვენ მიმდინარე წელს თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ. ამოცანა მდგომარეობს ამოღების მექანიზაციის განხორციელებაში. მძლავრი ენერგეტიული ბაზის არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსკოვის ოლქში ქიმიის განვითარებისათვის. ოლქში უმთავრესად უნდა განვითარდეს ძირითადი ქიმიის ხაზით.

ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ვოსკრესენსკის და ბობრიკის ქიმიურ კომბინატებზე. საფეიქრო ფაბრიკებს მოსკოვში ჩვენ არ ავაგებთ, ცენტრალური კომიტეტი იღებს ეხლა სავსებით სწორ კურსს საფეიქრო მრეწველობის გაშლაზე განაპირა მხარეებში, რომლებიც ახლოა ნედლეულთან. სასაცილოა მანუფაქტურის წაღება აქედან შორეულ აღმოსავლეთისათვის 9-10 ათას ვერ. მანძილზე, როცა ჩვენ შეგვიძლია თურქესტან-ციმბირის რკინის გზით ჩავიტანოთ ბამბა ნოვოსიბირსკში და იქ მოვაწყოთ საფეიქრო ფაბრიკები. იგივე ითქმის შუა აზიასა და ამიერ-კავკასიაზედაც. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვაქვს უმნიშვნელოვანესი დიდი ამოცანები საფეიქრო მრეწველობის დარგში. ჩვენ უნდა მოვახდინოთ საფეიქრო მრეწველობის რეკონსტრუქცია, მანქანების რეკონსტრუქცია, უფრო მეტად უნდა მოვახდინოთ საქსოვი და სართავი დაზგების მექანიზაცია და შემოვიღოთ ჩვენს მრეწველობაში ტექნიკურად უახლოესი მანქანები.

ამხ. კაგანოვიჩი ვრცლად ეხება ტექნიკის დაუფლების ამოცანებს, წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის საკითხს, ტექნიკური წესების დაცვას, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გაშლას და გამოგონებათა სარეალიზაციო მუშაობას, მთელი სიგრძე სიგანით სდგება ჩვენი კადრების მომზადების პრობლემა, მათ მიერ ტექნიკისა და მეცნიერების მწვერვალების დაუფლების ამოცანა. უამისოდ შეუძლებელია მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, რომელიც დასახულია ც. კ.-ის დირექტივებში მეორე ხუთწლედის შედგენისათვის. ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ უმაღლეს სასწავლებლებს და ტექნიკუმების ქსელის გაშლის საქმეში; მარტო მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში თითქმის ორჯერ მეტი მოსწავლეა, ვიდრე მთელს გერმანიაში. მივაღწიეთ გარდატეხას სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის დაყენების და უმაღლეს სასწავლებლების სპეციალიზაციის საქმეში. (თუმცა ამ საკითხშიაც ადგილი აქვს გარღვევებსა და კურიოზებს).

მოსკოვს შეუძლია და მან კიდეც უნდა უზრუნველჰყოს კადრებით არა მარტო თავისი თავი. ის სერიოზულად უნდა დაეხმაროს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა კავშირის განვითარების პროცესში მყოფ სხვა რაიონების კადრებით მომარაგების საქმეში, ძალები ჩვენში ბევრია, მხოლოდ უნდა გამოვძებნოთ ისინი, დავაწინაუროთ, ვასწავლოთ მათ.

სოფლის მეურნეობა

მოსკოვის ოლქს შეუძლია და მან უნდა მოგვცეს ხორბლის, სელის და ბოსტნეულის სარეკორდო მოსავალი. აგრეთვე საკლავი პირუტყვის დიდი რაოდენობა. დიდი ყურადღების ღირსია აკადემიკოს ვავილოვის წერილი „ჩრდილოეთის მიწათმოქმედების შესახებ“ (1931 წლის 8 დეკემბრის „იზვესტია“), თუ უკეთესი არა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ თანასწორი ბუნებრივი პირობები გვაქვს აღმოსავლეთ პრუსიასა, დანიასა და სხვებთან, რომლებიც წელიწადში ერთი ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ღებულობენ 27 ცენტნერ ჭვავს მოსავალს და 4.000 ლიტრა რძეს ერთი ძროხისაგან. ერთსაც და მეორესაც ჩვენ ვღებულობთ სამჯერ ნაკლებს.

უახლოეს წლების განმავლობაში ჩვენ დიდი წვლილის მოცემას. თუ გავადიდებთ როთ მიწათმოქმედება ჩვენს ოლქში. ჩვენში ცენტრალური და უმთავრეს საკითხს წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება, აგრეთვე წვლილის გადიდება, ვინაიდან მომხმარებლიდან მწარმოებელ ოლქად გადასვლა ეს ნიშნავს მაღალი მოსავლის და აგრეთვე წვლილის მოცემას. თუ გავადიდებთ ჭვავის 1 ჰექ. მოსავალს 14 ცენტნერამდე, ერთი ჰექტარის მოსავალს 14 ცენტნერამდე, ჩვენ ნათესი ფართობების გაუდიდებლად სრულიად უზრუნველვყოფთ მოსკოვს და ოლქს შავი პურით. მოსავლიანობის გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს თესლბრუნვა.

თითოეულ რაიონს უნდა ჰქონდეს სპეციალიზებული მრავალმინდვრიანი თესლბრუნვა, მრავალწლიანი ბალახებით, სადაც უნდა სჭარბობდეს ხელმძღვანელი კულტურები (ხორბალი, სელი, კარტოფილი). უნდა მოვახდინოთ მიწის დასვენების ლიკვიდაცია და გამოვიყენოთ იგი (უგრეხელა ან საადრეო კარტოფილი) დასათესად, ადვადგინოთ ნიადაგის ნაყოფიერება არა მიწის დასვენების, არამედ ბალახების და გასათოხნი კულტურების საშუალებით. სამხრეთის შავმიწა რაიონებში შავნიადაგიანი მიწის ერთი ჰექტარი იძლევა 7 ცენტნერს, ხოლო ჩრდილოეთის და ბოსტნეულის რაიონებში (ბალახის თესვით) ჰექტარი თითქმის იძლევა 11 ცენტნერს. მოსავლის 15—20 პროცენტით გადიდების დროს ჩვენ ნათესი ფართობის გაუდიდებლად შეგვიძლია სრულიად დავაკმაყოფილოთ მოსკოვის და მისი ოლქის მოთხოვნილება ბოსტნეულზე, ვინაიდან საგარეუბნო ზოლს აქვს მრავალი მიტოვებული და გამოუსადეგარი მიწები, რომელთა ფართობი უდრის 65.000 ჰექტარს. აქ ჩვენ უნდა შევუდგეთ ბოსტნეულის, საადრეო კარტოფილის და კვნტის ფართობების გადიდებას. ამიტომ საჭიროა გაზაფხულისათვის მოეწყოს ამ რაიონებში ორი ახალი სამანქანო სატრაქტორო სადგური, გამოიყოს ასი სატვირთო მანქანა, დასარგავი მანქანები, კარტოფილის დასარგავი და კარტოფილის ამოსათხრელი მანქანები.

მეცხოველეობის დარგში ამოცანა მდგომარეობს „სვინოვოდის“ საკუთ საწარმოთა განვითარებაში, მეღორეობის ფერმების მშენებლობაში, ხორცის პრობლემის, აგრეთვე წვრილი მეცხოველეობის (ცხვარი, თხა) პრობლემის გადაჭრაში. 1931 წელს ჩვენს ოლქში მოწყობილ იქნა 2.600-ზე მეტი საბჭოთა, მეღორეობის და მეფრინველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა 76.000 ძროხით, 46.000 ღორით და 66.000 ჯიშიანი ხბოებით. ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს 22 მილიონი ფუთი სასაქონლო რძის მიღება.

ჩვენ უნდა დავამთავროთ კოლექტივიზაცია 1932—33 წელს. მაგრამ ჩვენ არ უნდა გამოვეკიდოთ კოლექტივ. და ნათესის გაფართოების გაბერილ პროცენტებს და არ უნდა შევქმნათ არა სადი შეჯიბრება. ზეჯითად, სისტემატიურად, გატაცებისა და გადახვევების დაუშვებლად უნდა ვაწარმოოთ მუშაობა მოსკოვის ოლქის მთლიანი კოლექტივიზაციის დასამთავრებლად 1932-1933 წელს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ საქონლიანობის გადიდებას, რაც დამოკიდებულია დიდ მოსავალზე და აგრეთვე ჩვენს მუშაობაზე. დასასრულ მოხსენების ამ ნაწილში ამხ. კაგანოვიჩმა მიუთითა სოფლის მეურნეობაში დანაკარგებთან გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროებაზე. ამასთან ამხ. კაგანოვიჩმა აღნიშნა, რომ აუცილებელია კოლმეურნეთა მასების კულტურული და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სკოლის მოწყობა არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ მოზრდილთათვისაც, ამასთან საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის საქმის რადიკალურად გაუმჯობესება.

მშრომელთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და საქალაქო მეურნეობა

აქ აღვნიშნავ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რადგან საანგარიშო ნაწილში ვილაპარაკე ამ ამოცანებზე. საჭიროა სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ შრომის ორგანიზაციის და დანორმვის საკითხები, საბოლოოდ მოვსპოთ გათანაბრება, გავატაროთ შრომის ზუსტად დანორმვა და მოვაგვაროთ ტექნოლოგიური პროცესი. შრომის სექტორები უნდა განვამტკიცოთ ძლიერი პარტიელებით, წარმოების ძველი მუშებით და კვალიფიციური ინჟინრებით. უახლოეს წელიწად—წელიწადნახევარში მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ყველა შრომის უნარიან წევრთა ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობაში (მარტო მოსკოვში 300.000 კაცზე მეტი) მოითხოვს მთელი დღე ღამის განმავლობაში მომუშავე ბაგების, საბავშო ბაღების და საზაფხულო სკოლების ქსელის გაშლას. მეორე ხუთწლედში მშრომელთა სულადობრივი მოხმარების გასამკეცება სახავს ამოცანას—გავშალოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოება და საბჭოთა ვაჭრობა, მყიდველის მომსახურებისა და საქონლის სახლში მიწოდებისათვის, რადგან არსებული სავაჭრო ორგანიზაციები გულგრილად ეკიდებიან ამ საქმეს. ფართოდ უნდა განვითარდეს საოჯახო საგნების (ავეჯი, სამეურნეო ნივთები) და კულტურულ-სასპორტო ინვენტარის (ფოტო-აპარატი, ველოსიპედი, ბავშვის სათამაშოები და სხ.) წარმოება. მოსკოვში მეტს აღარ ავაშენებთ ახალ ქარხნებს. ახალ ქარხნებს ავაშენებთ ოლქში. ეს განსაზღვრავს ჩვენი ამოცანების ხასიათს საქალაქო მეურნეობის ხაზით მოსკოვსა და მის ოლქში. უნდა ითქვას, რომ მოსკოვის ოლქში ბევრი ქალაქია. ეს მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ქალაქების მეურნეობისადმი. მოსკოვის კომიტეტმა მიიღო დიდი დადგენილება ამ ქალაქების შესახებ. ადგილზე, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოვაგვაროთ საქალაქო მეურნეობა, გავწმინდოთ ქალაქები უსუფთაობისაგან, შევკეთდეს სახლები და სხ. ჩვენ განზრახული გვაქვს შარშანდელთან შედარებით უფრო მეტი სახსრების დაბანდება ოლქის ქალაქებისა და მუშებით დასახლებულ პუნქტების, მათ შორის ბობრიკისა და პოდმოსკოვნი ბასეინის კომუნალურ და საბინაო მშენებლობაში. საშენებლო მასალის ხაზით

ამხანაგებო, ალმაშფოთებელი უმსგავსოების ალმოსაფხვრელად, უნდა მივიღოთ საჭირო ზომები, გამოვიჩინოთ რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და გამოვიყენოთ მოსკოვის გამოცდილება. მოსკოვში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბინები. ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება მივაქციოთ საქალაქო მეურნეობის ყველა დარგს, მაგრამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ბინებს. ამიტომ წელს დიდძალ სახსრებს ვაბანდებთ საბინაო მშენებლობაში.

ახალი საბინაო ფონდის შექმნის დროს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ რაიონების სწორად დასახლებაზე. ჩვენ სპეციალურად გამოვიკვლიეთ ქალაქის სხვადასხვა რაიონებში მდებარე სახლების 17 ახალი კორპუსი: დუბროვკა, შაბალოვკა, პოტილიხა, შმიდტის სახელობის მუშებით დასახლებული პუნქტი და სხვა. გამოირკვა, რომ ერთი რაიონის ახალ სახლებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა მუშაობს მეორე რაიონში. 1262 კაციდან 846 კაცი სწავლობს და მუშაობს სხვა რაიონში, აქედან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ შესაფერი დასკვნები ახლად აგებულ სახლებში ჩასახლების პოლიტიკისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის ქალაქის წყლით მომარაგების საკითხს. ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა დაუყოვნებლივ შევუდგეთ წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციას და გაფართოებას. მე მინდა აქ შევჩერდე მხოლოდ ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობაზე. არხის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ წყლის მომარაგების ინტერესებით, ამ არხის გაყვანა საშუალებას იძლევა აგრეთვე მდინარე მოსკოვი გადავაქციოთ სანაოსნო მდინარედ. მდგომარეობა ასეთია: მდინარე მოსკოვის წყლის დებეტი დღე-ღამეში უდრის 57 მილ. ვედრას. ამჟამად ჩვენ ვხმარობთ უკვე ყოველდღიურად 28 მილიონ ვედროზე მეტს, თუ წყლის მოხმარება გაიზრდება 40-50 მილ. ვედრომდე, შეიძლება შევსვათ მთელ მდ. მოსკოვის წყალი (სიცილი). აი ამიტომ წყლის მომარაგების გადიდების დროს (გადიდება კი საჭიროა, რადგან იზრდება მოსახლეობა, იზრდება მოთხოვნილებაც) უნდა გავადიდოთ მდ. მოსკოვის წყლის რაოდენობაც, ამიტომ საჭიროა მდ. მოსკოვის შეერთება ვოლგასთან.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი შეეხო ვოლგა-მოსკოვის არხის სხვადასხვა პროექტებს და ამოცანათ სახავს, რომ უკვე წელს დაიწყოს ჯებირის მშენებლობა მდ. ისტრაზე, რაც შეადგენს ვოლგა-მოსკოვის საერთო გეგმის შემადგენელ ნაწილს და საშუალებას იძლევა უახლოესი ორი წლის განმავლობაში წყლის მომარაგება გაიზარდოს 15-20 მილ. ვედრომდე და ამოღებულ იქნას მდ. მოსკოვის დონე. საქალაქო მეურნეობის მეორე ვიწრო ადგილს წარმოადგენს ტრანსპორტი.

მიუხედავათ ყოველგვარი ზომების მიღებისა, ტრამვაი მაინც ვერ აუდის ყველა მგზავრების გადაყვანას, რომელთა რიცხვი წლითი-წლობით იზრდება. ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პირდაპირ დასვა მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხი. თავდაპირველად ჩვენ ვფიქრობთ, რომ მშენებლობას დავამთავრებდით 1936 წელს, მაგრამ ამხ. სტალინმა წინადადება მოგვცა მშენებლობა დავამთავროთ უკვე 1935 წელს, ხოლო პირველი რიგის ხაზების ექსპლოატაცია დაიწყოს ბევრად უფრო ადრე. მეტროპოლიტენის საერთო სიგრძე იქნება 80 კილომეტრი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოსკოვში გავიყვანთ გზებს მთელს ქალაქს მიწის ქვეშ. წელს ჩვენ შევუდგებით მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობას 11,5 კილომეტრის სიგრძეზე.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი შეჩერდა მოსკოვში ტრამვაით, ავტობუსებით და მდინარეებით მიმოსვლის დახასიათებაზე და როლზე, აღნიშნა რა საგარეუბნო მიმოსვლის და მოსკოვის კვანძის ელექტროფიკაციისა და რეკონსტრუქციის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, ამხ. კაგანოვიჩი დაწვრილებით შეჩერდა მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდათ არ უნდა გავიტაცოს ძველი შენობების დანგრევამ, რომელთაც ჯერ კიდევ მრავალი წლობით შეუძლიათ გვემსახურონ. ჩვენ გაბედულად უნდა გავწიოთ წინ მოსკოვის რეკონსტრუქციისაკენ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევანელოთ ტემპები. ასეთია ძირითადი ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე მოსკოვის საქალაქო მეურნეობის დარგში.

შინაპარტიული ცხოვრების საკითხები

პარტიული ხელმძღვანელობა

საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მთელი ამოცანების გაშუქების შემდეგ, ამხ. კაგანოვიჩი გადადის პარტიის, როგორც სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელების ძირითადი იარაღის საკითხზე, როგორ ასრულებდა მოსკოვის ორგანიზაცია იმ მთავარ ამოცანებს, რომლებიც დასახა ამხ. სტალინმა პარტიის ხელმძღვანელობის საკითხში, რეკონსტრუქციის პერიოდის ახალ ამოცანებთან შეფარდებით მუშაობის გარდაქმნის საკითხში? უწინარეს ყოვლისა, შევეხებით პროლეტარული დიქტატურის ორგანოების მუშაობის—საბჭოების, პროფკავშირების, ქალთა შორის მუშაობის, კომკავშირის და მასიური მუშაობის გარდაქმნას ახალ ამოცანებთან შეფარდებით. რა გააკეთა მოსკოვის კომიტეტმა საბჭოების ხაზით? როგორ ხელმძღვანელობას უწევდა იგი საბჭოებს? ჩვენ მოვახდინეთ საოლქო აღმასკომის რადიკალური რეორგანიზაცია, საოლქო აღმასკომს ახასიათებდა მთელი რიგი დეფექტები, დეკლარატიული ხელმძღვანელობა და სხვ., იგი არ იცნობდა რაიონებს, პარტიის მოსკოვის კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილებანი, ეს გადაწყვეტილებანი ახასიათებენ მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საოლქო აღმასკომის არა-დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში, რომლებიც ეხება მუშათა ყოველდღიურ საჭიროებას. უკვე მოხდა ხელმძღვანელობის სისტემის რეორგანიზაცია, მთლიანი ოლქის ფარგლებში ქალაქის მმართველ ორგანოები გამოყავით საოლქო მართველ ორგანოებისაგან. ეს საკითხი დასმული იყო ცენტრალურ კომიტეტში. ამხ. სტალინმა პირველად დასვა მოსკოვის განათების, წყლის და საქ. მეურნეობის მდგომარეობის საკითხი. შემდეგ მან დასვა ქალაქის გამოყოფის საჭიროების საკითხი, ე. ი. ქალაქი უნდა დარჩეს ოლქის ფარგლებში, მაგრამ უნდა მოეწყოს საქალაქო აღმასკომი, მოეწყოს პარტიის საქალაქო კომიტეტი. ჩვენი ხელმძღვანელობის განხორციელების დროს ვცდილობდით (გამოტოვებულია)... გავაუმჯობესებია მეურნეობის კონკრეტული ხელმძღვანელობა, ყოველდღიურად მოგვეგვარებია მრეწველობის, რაიონების, სოფლის და კოლექტივიზაციის კონკრეტული ხელმძღვანელობა. მთავარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ როცა რეზოლიუციას ვღებულობთ ჩვენს მოქმედებაში სახელმძღვანელოდ, ჩვენ ყოველდღიურად უნდა გავუწიოთ ხელმძღვანელობა ამ რეზოლიუციის განხორციელების პროცესს, შევამოწმოთ მისი შესრულება და ვიბრძოლოთ რეზოლიუციის ყოველი პუნქტის განხორციელებისათვის. ჩვენ—საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი—ვსწავლობდით ცენტრალური კომიტეტისაგან, საკმარისია მოკლედ შევჩერდეთ იმ საკითხებზე, რომლებიც დასვა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ წელიწადში, რათა დავინახოთ უაღრესად პრინციპიალური ხელმძღვანელობის კონკრეტულ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების კლასიკური ნიმუშები. ეს კონკრეტული ხელმძღვანელობა გამოიხატა იმაში, რომ ჩვენ ვიწვევდით თათბირებს ქვანახშირის, ტრანსპორტის და მეტალურგიის საკითხების შესახებ და ხელმძღვანელობას ვუწევდით ისეთი უდიდესი ქარხნების მშენებლობას, როგორიცაა ჩელიაბშენი, კუზბასი, ნიჟნი-ნოვგოროდის საავტომობილო ქარხანა და სხვა. ყველა ეს საკითხები იდგა ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ჩვენ ვცდილობდით, რამდენადაც კი შეგვეძლო, ყოველდღიურად გაგვეწია ხელმძღვანელობა უდიდესი მშენებლობათათვის, ვახწევდით არა მარტო რეზოლიუციის მიღებას, არამედ მისი შესრულების შემოწმებასაც. ჩვენ განვახორციელეთ ლოზუნგი—ვუხელმძღვანელოთ ახალი წესით. რას ნიშნავს ახალი წესით ხელმძღვანელობა? ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ჩვენს გადაწყვეტილებებში მჭიდროთ დავუკავშიროთ პოლიტიკა პრაქტიკას. მეორე მხრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობა გავუწიოთ ამ გადაწყვეტილებათა ყოველდღიურად გატარებას. მესამე მხრით, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს გადაწყვეტილებანი მივიღოთ საერთო ლოღიკური დასკვნების საფუძველზე, ადგილების გამოცდილების გულმოდგინეთ შესწავლის საფუძველზე, მივმართოთ რჩევისათვის ადგილობრივ მუშაკებს, მოვიწვიოთ თათბირები კონკრეტულ საკითხებზე (ქვანახშირი, კოოპერაცია, ტრანსპორტი და სხვა), შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობა დავუახლოოთ რაიონების და უჯრედების ცხოვრებას, ხელმძღვანელობა გავუწიოთ რაიონებს, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვ. ორგანიზაციების ფრაქციებს. არ უნდა მოვედოთ ყველაფერს, ხელმძღ. უნდა გავუწიოთ არა ბიუროკრატიულად და ღრმად შევისწავლოთ ყოველი საკითხი. ჩვენ გადაწყვეტილებებს ვღებულობდით თათბირ. საფუძველზე, ჩვენ მოსკოვის კომიტეტში ვიწვევდით ღუმელების გამხურებლებს, მეეზოვეებს, ტრამვაის ვაგონების გამყოლთა და მეისრეებს და მათთან ვთათბირობდით. ამხ. სტალინი ხშირად აღნიშნავდა, რომ ყველაზე უკეთესი მრჩევლებია თვითონ მუშები, რომელთაც ეხებათ საქმე, ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ [illegible] კვის რგოლი, გვეხმარებოდნენ მოგვეხდინა იმის განზოგადოება, რასაც ისინი გვიჩვევდა თავიანთი მუშაობის პრაქტიკიდან. მაგრამ თუ თქვენ შეგეკითხებით—გვაქვს თუ არა ჩამორჩენა, უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ გვაქვს. სასაცილო და ბოლშევიკისათვის დაუშვებელი კვეხნა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ უკვე სავსებით განვახორციელეთ კონკრეტული ხელმძღვანელობა. მე გადაჭრით უნდა აღვნიშნო, რომ მთელი რიგი ჩვენი დადგენილებანი და კარგი დადგენილებანი არ არის გატარებული ცხოვრებაში, რადგან შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი გადაწყვეტილება თევზის შესახებ. მივიღეთ საუცხოვო გადაწყვეტილება, რომ ჩვენს ოლქში გაგვეშალა თევზის ხდარა, ამიტომ აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება არ მომხდარა, ამიტომ აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილება არ არის შესრულებული, ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება აგრეთვე მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის დარგში. პროფკავშირების მიმართ ჩვენ ვცდილობდით თანმიმდევრობით გარდაგვექმნა პროფკავშირების მუშაობა, მათი ყურადღება მიგვექცია მთავარზე—კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე, განსაკუთრებით სამ დარგში. ხელფასი, შრომის დანორმვა, ბრძოლა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, წუნდებული საქონელი, ბინა, მისი რემონტი, სასადილოების მომარაგება კოოპერაციის მუშაობა.—აი აქეთკენ მივაპყრობდით მუდამ პროფკავშირების ყურადღებას და, ბუნებრივია, რომ ამ საკითხებიდან დაიწყოთ მათი მუშაობის გარდაქმნის ხელმძღვანელობა.

პროფკავშირებმა და პარტორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობას ქალთა შორის, მათ ჩაბმას საერთო მუშაობაში და არ უნდა გამოჰყონ ისინი, როგორც განსაკუთრებული ჩამორჩენილი კატეგორია.

ამჟამად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომკავშირს. კომკავშირი ბუმბერაზულად გაიზარდა რაოდენობის მხრით. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, რომ მას აქტიური მონაწილეობა მიეღო სამეურნეო ცხოვრებაში, მე უნდა ვსთქვა, რომ იმ 1500-მა კომკავშირელმა, რომლებიც გაიგზავნა პოდ მოსკოვის ბასეინში, გვიჩვენა, რომ კომკავშირი ნამდვილად არის ჩვენი პარტიის თანაშემწე. კომკავშირის აღზრდის საკითხი მეტად მწვავედ სდგას. ჩვენ უნდა ვუთხრათ ამხანაგ კომკავშირელებს: „ნუ გაგიტაცებსთ მხოლოდ რაოდენობითი ზრდა, ნუ იმუშავებთ მექანიკურად, მოახერხეთ კომკავშირელ-ბოლშევიკის აღზრდა, ნუ გამოედევნებით გაბერილ ციფრებს“.

პარტიამ დაუყოვნებლივ უნდა გაუწიოს დახმარება მათ ამ საქმეში. საჭიროა კომკავშირსაც გავუწიოთ კონკრეტული ხელმძღვანელობა. მე პირდაპირ უნდა განვაცხადო აქ, რომ ჩვენ საკმაოდ დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას არ ვუწევთ კომკავშირს. საჭიროა, რომ რაიკომები ყოველდღიურად ყოველ საათობით უწევდნენ ხელმძღვანელობას კომკავშირს. საჭიროა, რომ კომკავშირი გრძნობდეს ყოველდღე კავშირს რაიონთან და მთელ რაიონულ პარტორგანიზაციასთან. (ტაში).

ჩვენს მუშაობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა რაიონების ხელმძღვანელობას ოლქების ლიკვიდაციის შემდეგ, სარაიონო სისტემაზე გადასვლის შემდეგ. წელიწადნახევრის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიის მე-16 ყრილობაზე ოლქების ლიკვიდაციის საკითხის დასმა სავსებით გამართლებულია. ჩვენ მოგვეპოვება საუცხოვო ნიმუშები, რომლებიც მოწმობენ, რომ რაიონებმა მოგვცეს ახალი ადამიანები, საუცხოვოდ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და კარგად მუშაობენ. მოსკოვის ოლქში რაიონებმა ეს დაამტკიცეს დამზადებისა და თესვის საქმეში. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ამ დარგში ბევრი დეფექტები გვაქვს. უმთავრესად დეფექტები მოგვეპოვება სამეურნეო ცხოვრების ყოველდღიურ ხელმძღვანელობაში, კოლმეურნეობათა მშენებლობასა და პარტიის წევრების იდეური აღზრდის საქმეში. შესანიშნავ ნიმუშებს გვაძლევს ზოგიერთი რაიონი, სადაც წინად ცუდათ იყო საქმე და სადაც უმოკლეს ხანში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამავე დროს არის ისეთი რაიონებიც, სადაც ცუდათ არის საქმე დაყენებული. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შემდეგში კიდევ უფრო გავაღრმავოთ რაიონების კონკრეტული სამეურნეო და იდეური ხელმძღვანელობა. მოსკოვი უნდა დაეხმაროს რაიონებს ყოველმხრით, რითაც კი შეუძლია: მატერიალურად, პოლიტიკურად, ლიტერატურით და საპროპაგანდო წრეებით. საჭიროა უფრო მეტი ლექტორების გაგზავნა, საჭიროა უფრო მეტი დახმარების გაწევა რაიონებისათვის. ჩვენ მოსკოვის ოლქის რაიონები უნდა გავხადოთ სანიმუშო რაიონებად და სანიმუშო ხელმძღვანელობა გავუწიოთ მათ. რაც შეეხება მოსკოვის რაიონებს, უნდა ითქვას, რომ მათ უკანასკნელ წელიწად—წელიწადნახევარში უდიდესი მიღწევები აქვთ. 6 რაიონის ნაცვლად ჩვენ მოვაწყვეთ 10 რაიონი; რაიონები დავუახლოვეთ ქარხნებს. მოსკოვის კომიტეტი ცდილობდა ყოველდღიურ მუშაობაში გაეკრიტიკებინა, აღენიშნა და გამოესწორებინა შეცდომები. მე უნდა ვსთქვა, რომ პარტიის მოსკოვის რაიონული კომიტეტები გაიზარდნენ და ისინი ბოლშევიკურად ხვდებიან კრიტიკას. ჩვენი მიდგომა ხელმძღვანელობაში გამსჭვალული იყო თვითკრიტიკით. მოსკოვის კომიტეტი ცდილობდა თავისი მუშაობა აეყვანა მაღალ იდეურ პოლიტიკურ დონეზე და იგი დაეკავშირებინა კონკრეტულ პრაქტიკულ მუშაობასთან. ამიტომ დღეს მოსკოვის კონფერენციაზე შეგვიძლია განვაცხადოთ: ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს მოსკოვის კომიტეტის მუშაობაში და რაიონების მუშაობაში, ჩვენ არ ვმალავთ გატაცებებს, ვხედავთ ამ დეფექტებს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მოსკოვის ორ ანიზაცია—საქალაქო და საოლქო ორგანიზაციები, რომლებიც [illegible] პარტიის გენერალურ ხაზს და შემოქმედებითი მუშაობას სოციალისტური მშენებლობის დარგში, რასაკვირველია ისე არ [illegible] შემდეგიარებული მთლიან მძლავრ რკინისებურ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში, როგორც დღეს არიან (მქუხარე ტაში).

(დასასრული იქნება)

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

წარმოთქმული საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის დახურვის წინ

ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის მერვე ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. დაამთავრა აგრეთვე თავისი მუშაობა სომხეთის კომპარტიის ყრილობამ და სადაცაა დაამთავრებს ყრილობას აზერბეიჯანის კომპარტიაც. ძირითადი, რაც ახასიათებს ამ ყრილობას,—ეს არის ბოლშევიკური შეუპოვრობა იმ შეცდომათა გამოსწორებაში, რაც გამოაშკარავებულ იქნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საშუალებით, ის შეუპოვრობა, რაც მიმართულ იქნა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დაჯგუფებასა და ატამანშჩინაში.

ამ საკითხებს ჩვენს ყრილობებზე შედარებით დიდი დრო დაეთმო, ეს შემთხვევით მოვლენად როდი უნდა ჩაითვალოს. ჩვენ არ ვივიწყებთ, რასაკვირველია, რომ მთავარ საფრთხეს პარტიაში და სოციალისტურ მშენებლობაში წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე. ამიერ-კავკასიაში „მომემარცხენო“ გადახვევები იმდენად გავრცელდა, რომ მათ ლიკვიდაციას განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა მიეცა. აგრეთვე ჯგუფობრივი ბრძოლისა და ატამანშჩინის მონაწილეთა გამოაშკარავებას, უნდა ითქვას, დიდი ყურადღება მიაქციეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებმა. ამ საკითხებს ყრილობა აყენებდა ბოლშევიკური პარტიულობისა და ბოლშევიკური შემჭიდროების თვალსაზრისით, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მუშაობას. ამ საკითხებზე მიუთითებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება. დაჯგუფების და ატამანშჩინის მონაწილეებმა, რომლებიც „იუბილიარები“ იყვნენ ჩვენს ყრილობაზე, ანგარიში უნდა გაუწიონ ამ გარემოებას, მათ დაუყოვნებლივ და საბოლოოდ უნდა ჩამოიშორონ ანტიბოლშევიკური თვისებები, რომ დაუბრუნდნენ ისინი ბოლშევიკური პარტიულობის გზას. საკმარისი არ არის იმის თქმა, რომ ისინი ემხრობიან პარტიის მთლიანობას. ჩვენ არ გვინდა ყოველი მთლიანობა, ჩვენ გვესაჭიროება მთლიანობა ლენინიზმის პრინციპიალურ საფუძვლებზე, ბოლშევიკური პარტიულობისა და ბოლშევიკური შეკავშირებულობის საფუძველზე. ამიტომ ყველა ვინც ამა თუ იმ სახით მიდიოდა ამის წინააღმდეგ, იგი შორს სდგებოდა ჩვენი პარტიისაგან, მან საბოლოოდ კავშირი უნდა გასწყვიტოს თავის გუშინდელ დღესთან, რომ კვლავ გახდეს ნამდვილი ბოლშევიკი.

ეს ყრილობა უნდა იყოს უკანასკნელი ყრილობა, რომელიც გაარჩევს ამგვარ საკითხებს არა იმიტომ, რომ ჩვენ ეს „მოგვბეზრდა“, რა, ჩვენ არასოდეს არ მოგვბეზრდება დავიცვათ ბოლშევიზმ-ლენინიზმის სიწმინდე, არამედ იმიტომ, რომ ამჟამად პარტიული მასები მშრომელთა მთელი არმიის მეთაურობით ჩაბმული არიან სოციალისტურ მშენებლობაში. ისინი ისეთი რწმენით მიემართებიან წინ სოციალიზმის საბოლოოდ აშენების გზით, იმდენად ძლიერნი არიან ისინი ლენინიზმის იდეებით, იმდენად ცხადია პარტიის პოლიტიკის სისწორე და გამარჯვება, რომ პარტიული მასები ვერ ითმენენ თავიანთ რიგებში და ვერ მოითმენენ იმ ელემენტებს, რომლებიც ასაზრდოებენ ჯგუფობრივი ბრძოლის მეთოდებს. ბოლშევიკური პარტიის ერთად-ერთი სწორი პოლიტიკა—ეს არის პრინციპიალური პოლიტიკა. ვინც ამ პრინციპიალური პოლიტიკის წინააღმდეგ მიდის, იგი მიდის ლენინიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, იგი ხელს უშლის სოციალისტურ მშენებლობას და ჩვენს შეტევას ყველა ფრონტებზე.

ვისაც ავიწროებს ჩვენი ბოლშევიკური დისციპლინა, იმას ავიწროებს ნამდვილი ბოლშევიზმიც. იმათ, ვინც ხელთ აიღეს არა ლენინური იარაღი, ეს იარაღი უნდა გააგდონ ხელიდან. ჩვენ არ გვინდა ისეთები, რომლებიც მიდიან ბოლშევიკური დისციპლინის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვესაჭიროება მათი ბატონური ანარქიზმი და წვრილ-ბურჟუაზიული თავაშვებულობა, რასაც ასე ფართოდ მიმართავდნენ დაჯგუფების მონაწილეები. ჩვენ შეურიგებელი მტერი ვართ ატამანშჩინის, რადგან ჩვენ ვართ ლენინური პარტია ერთიანი ნებისყოფით. ჩვენ გვესაჭიროება ბოლშევიკური სიმჭიდროვე ლენინიზმის საფუძველზე, ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობა ბოლშევიკური პარტიულობის ნიადაგზე.

ამხანაგებო, მერვე ყრილობამ შეაჯამა ის უდიდესი შეცდომები გლეხთა საკითხში, რაც დაშვებულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ. ამ შეცდომათა გაკვეთილი საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს შემდგომ წარმატებებს. ეს შეცდომები ჩვენ ბოლომდე უნდა გამოვასწოროთ. ამ შეცდომების გაკვეთილი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სწორი შეურიგებელი შეტევის საწარმოებლად, ხუთწლედის დამამთავრებელ წელიწადში.

ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გავუსვათ ძირითად ამოცანას—ჩვენი კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანას. ეს ძირითადი რგოლი—კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება—ისეთ სიმაღლეზე უნდა იქნას დაყენებული, როგორც სჩვევიათ ბოლშევიკებს, საითკენაც ჩვენ მოგვიწოდებს საკავშირო კომპარტიის ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

ჩვენ თავი უნდა დავანებოთ კოლექტივიზაციის გაბერილი ციფრებისადმი გამოდევნებას. ჩვენ გადაჭრით უნდა გამოვასწოროთ ის შეცდომები, რაც დაშვებულ იქნა დამზადების დარგში. ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ საბჭოთა დამზადების პოლიტიკის გამრუდებას. ამ პოლიტიკას მხედველობაში აქვს არა მარტო სასურსათო ფონდების მიღება პროლეტარული დიქტატურის ქვეყნისათვის, არამედ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებაც სოციალისტურ საფუძვლებზე. აქ გავლებულ უნდა იქნას მკვეთრი ხაზი, შემცდარი ხაზი უკან უნდა მოვიტოვოთ. შეუძლებელია ჩვენს ორგანიზაციაში იყოს ისეთი წევრი, რომელიც ვერ გაიგებს ამ შეცდომებს, იმ შეცდომებს, რაც ჩვენ დავუშვით, ხოლო მათ გამოსწორებას გაიგებს ისე, როგორც ხელის აღებას დამზადებაზე. რასაკვირველია, დამზადება რჩება, როგორც იარაღი საბჭოთა პოლიტიკის, მშენებლობის პოლიტიკისა და სოციალიზმის აშენების პოლიტიკის.

ჩვენს ყრილობაზე ეხებოდნენ სოფლის კულაკურ-შეძლებული მეურნეობათათვის მტკიცე დავალებათა მიცემის საკითხს. რომ ჩვენ კულაკს ვძლევთ და შემდეგშიაც მივცემთ მტკიცე დავალებას, ეს, რასაკვირველია, აქსიომა არის და არავის ეჭვი არ ეპარებოდა და არ შეიძლება შეეპაროს ამ პოლიტიკის სავალდებულო ხასიათსა და მიზანშეწონილებაში. მაგრამ ზოგიერთები აყენებდნენ საკითხს შეძლებულ მეურნეობათა შესახებ და ფიქრობდნენ—საჭიროა თუ არა აგრეთვე მათი კულაკთან ერთად ერთ ფრჩხილში მოთავსება მტკიცე დავალებათა მიცემის მხრივ. ლენინიზმის თვალსაზრისით, ჩვენი პარტიის ყველა სადირექტივო დადგენილებათა თვალსაზრისით, ძნელია მკვეთრი განმასხვავებელი ხაზის გავლება შეძლებულ მეურნეობასა და კულაკურ მეურნეობას შორის. როგორც მეურნეობის ეკონომიურ ტიპებს, ლენინიზმი არ იხილავდა კულაკურ მეურნეობას და შეძლებული, „ძარღვიანი გლეხის“ მეურნეობას, როგორც მოწინააღმდეგე ტიპებს. ამჟამად, მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში, როცა ჩვენში ძირფესვი ეთხრება დიფერენციაციას სოფლად, სოფლის კლასობრივი ურთიერთობაც სხვაგვარად არის მოწყობილი. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შეძლებულმა მეურნეობამ დაჰკარგა იმის შესაძლებლობა, რომ იგი გახდეს კულაკის დასაყრდენ წყაროდ ამიერ-კავკასიის სოფელში. შეძლებული მეურნეობა სასაქონლო პროდუქციას უფრო მეტს ამზადებს, ვიდრე ჩვეულებრივი საშუალო მეურნეობა. შეძლებულ მეურნეობას ჩვენ ვაწყრობით არა ისე, როგორც ნამდვილ კულაკს, ჩვენ არ ვართმევთ მას პოლიტიკურ უფლებებს, აუცილებლად არ ვუხშობთ მათ კოლმეურნეობის კარებს, მაგრამ მტკიცე დავალება შეძლებულ მეურნეობათათვის დამზადების დარგში ისევ რჩება. ეს უდავოა.

მაგრამ ამაში კი არ უნდა ვეძიოთ ადგილებზე მუშაობის „სიძნელეები“, არამედ იმაში, რომ შეძლებულთა რიცხვში აქცევენ ხშირად საშუალო გლეხებს, რომლებიც ჩვენ არავითარ შემთხვევაში შეძლებულებში და, მით უმეტეს, კულაკებში არ უნდა ავურიოთ. ნამდვილად კი ზოგიერთ რაიონებში არჩიეს ნაკლები წინააღმდეგობის გაწევის ხაზი მტკიცე დავალებების მიცემის დროს. მასიური მუშაობა, დარწმუნების მეთოდები შესცვალეს იძულების მეთოდით, მტკიცე დავალების ფარგლების გაფართოებით.

საშუალო გლეხის შეძლებულთა რიცხვში მოქცევით უფრო ადვილია მისი იძულება, რომ შეასრულოს მტკიცე დავალებანი. მაგრამ აქ ტყდება ჩვენი პოლიტიკა გლეხთა საკითხში. დამზადების „სიადვილე“ წამოიჭრა ჩვენს წინაშე იმ სიძნელეების სახით, რაც გამოწვეულ იქნა პარტიის ერთად-ერთი სწორი პოლიტიკის უსწოროდ გატარების შედეგად სოფელში.

ბოლშევიკებმა უნდა გამოასწორონ ეს შეცდომები, გააძლიერონ მასიური პოლიტიკური მუშაობა ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს შორის, ბოლო მოუღონ კულაკური ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის გაცხოველებას, რაც მოხდა ჩვენი შეცდომის შედეგად, უნდა უზრუნველჰყონ ჩვენი განუყოფელი გავლენა ხვალინდელ კოლმეურნეთა მასაზე, განამტკიცონ კოლმეურნეობანი, გააცხოველონ მუშაობა ღარიბებთან.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ არ გამხდარან სანიმუშო სოციალისტურ მეურნეობებად. ისინი არ წარმოადგენენ იმის მაგალითს, რომ მათ მიბაძონ მეზობელმა ღარიბ-საშუალო გლეხთა და კოლექტიურმა მეურნეობებმა.

ჩვენ ამის შემდეგ ვერ მოვითმენთ ასეთ მდგომარეობას. ჩვენი მაშინიზაციაქმნილი და მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე აგებული მებამბეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები უნდა იქცნენ სანიმუშო სოციალისტურ მეურნეობებათ. ჩვენ ვერ მოვითმენთ ისეთ მდგომარეობას, როცა საბჭოთა მეურნეობის მიერ დამზადებული ბამბის თვითღირებულება მრავალჯერ უფრო დიდია გეგმით სავალდებულო ღირებულებასთან შედარებით.

ჩვენ ვერ შევურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა მრავალი ჩვენი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ არ არ გამხდარა მაღალი საქონლიანობის მეურნეობად, ხოლო ზოგიერთმა მეღორეობის საბჭოთა მეურნეობამ „თავი იჩინა“ ახალგაზრდა პირუტყვის გაწყვეტითაც. ჩვენ ამოცანას შეადგენს—დავიცვათ პირუტყვი კულაკისა და მოკულაკის დანიხავგან, უზრუნველვყოთ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის პირუტყვის წესიერი მოვლა.

საკითხთა მეორე ჯგუფი, რომლებსაც იხილავდა ჩვენი ყრილობა, ეს არის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომა ნაციონალურ საკითხში.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის კავბიურო და მისი მემკვიდრე—საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი ყოველთვის იყო ამიერ-კავკასიაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გამტარებელი შტაბი. მაგრამ გასულ წელს ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობამ დაუშვა უხეში შეცდომები ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში.

ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებთან სრული ბოლშევიკური კონტაქტით ახდენს ამ შეცდომების ლიკვიდაციას. ძველმა ხელმძღვანელობამ გადააჭარბა ცენტრალიზაციის ხაზით, რამაც გამოიწვია რესპუბლიკანური ორგანოების გაუპიროვნება სამეურნეო და კულტურული მუშაობის მთელ რიგ დარგებში. ჩვენი ამოცანაა დავუბრუნდეთ სწორ ლენინურ პოზიციებს ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში.

მაგრამ ნიშნავს ეს თუ არა, რომ ხდგას ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის გადასინჯვის რევიზიის ამოცანა, მოასწავებს ის თუ არა, რომ ჩვენ აღებული გვაქვს კურსი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზის შესუსტებაზე, მისი სახალხო კომისარიატების საკონტროლო-ოპერატიული ფუნქციების შეკვეცაზე? რა თქმა უნდა, არა. ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის არა მარტო ნაციონალური მშვიდობიანობის ორგანო, არამედ ამიერ-კავკასიის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შემოწმებული ორგანოც. საკითხი ეხება იმას, რომ აღმოფხვრილ იქნას ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ორგანოებს შორის ფუნქციების სწორი განაწილების დამახინჯება.

1930 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა სწორი, ლენინური ხაზის დამახინჯებას კოლექტივიზაციის გატარებაში, იყო ერთგვარი „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები. საკ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტმა უკან, სწორ პოზიციებზე დააბრუნა თავაწყვეტილი მუშაკები. რესპუბლიკანური ორგანოების გაუპიროვნების შეცდომებზე ხელის აღება, ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის წინანდელი ხელმძღვანელობის უაღრესად ცენტრალიზატორულ პრაქტიკაზე უარის თქმა ოდნავადაც არ ნიშნავს ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის რევიზიას და გადასინჯვას. ჩვენ უბრუნდებით სწორ გზას, შემოწმებულ გზას. ამიერ-კავკასიის ფედერაცია ეყრდნობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. ჩვენი რესპუბლიკები დამოუკიდებელნი არიან, მათ ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნეს ფედერაცია და ისინი ფედერაციის მეშვეობით შედიან საბჭოთა კავშირში, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ გვესმის ბურჟუაზიულ-მენშევიკური აზრით, არამედ ესაა საბჭოთა დამოუკიდებლობა, რომელიც გულისხმობს საბჭოთა რესპუბლიკების მეტად მჭიდრო კავშირს, მთელი ძალღონით გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად—სოციალიზმის ასაშენებლად.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური მიზნების მთლიანობის გამოხატულება. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ასეთი დამოუკიდებლობა ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის პოლიტიკური და სამეურნეო სიძლიერის განმტკიცებას. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სიმტკიცე, სოციალისტური მშენებლობის წარმატება ამ რესპუბლიკებში—არის ამიერ-კავკასიის ფედერაციის სიმტკიცე და წარმატება. და პირიქით. ასე გვესმოდა ჩვენ საკითხი და ასე ვამაგრებდით ამიერ-კავკასიის ფედერაციას, რომელიც ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა შექმნეს ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრძოლაში, რომელსაც ამხ. სერგო მეთაურობდა. და ამიტომ ამ დარგში მოქმედების სწორი ხაზი ხვალინდელი დღისათვის ესაა დავუბრუნდეთ ნაციონალურ პოლიტიკაში ლენინურ ხაზს, რომელსაც ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებთან თანამშრომლობით ატარებდა და, რომელიც დაირღვა მხოლოდ გასულ 1931 წელს.

უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ყურადღება ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ყოველი რესპუბლიკის ნაცუმცირესობის სამეურნეო და კულტურული ზრდის საკითხებისადმი.

ჩვენ ვიცით, რომ სათანადო რესპუბლიკების მშრომელებთან სრული მთლიანობის საფუძველზე, ჩვენი საბჭოთა კავშირის დახმარებით, ამ რესპუბლიკებმა დიდი ნაბიჯი გადასდგეს წინ არა მარტო კულტურული განვითარების გზაზე, არამედ სამეურნეო აყვავების გზაზეც. მაგრამ ჩვენ დამატებით უნდა მივიღოთ ღონისძიებანი ნაცუმცირესობათა სამეურნეო-კულტურული ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად. ეს განსაკუთრებით ეხება მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობას.

ამხანაგებო, ჩვენ შევდივართ ხუთწლედის დამამთავრებელ წელში. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები, რომლებიც მოცემულია საკავშირო მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილებებით, ესაა ჩვენი გეგმა, რომელიც წარმოადგენს უდიდეს გეგმას როგორც რაოდენობრივი გაქანებით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. 1932 წელს ჩვენ ვამთავრებთ პირველ ხუთწლედს. მთავარი ყურადღება ექცევა ლითონს, ქვა-ნახშირს, ტრანსპორტს, მანქანათ-მშენებლობას, ქიმიას და სხვ., ხოლო ამიერ-კავკასიამ დამატებით ყურადღება უნდა მიაქციოს ბამბას, ნავთს, აბრეშუმს, ჩაის, თამბაქოს, ლაფნის ახალ კულტურებს და სხვ.

1932 წელს უნდა ჩავატაროთ ისეთი მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის ხუთწლედის 4 წელიწადში განხორციელებას. ჩვენი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი ბოლშევიკური ტემპების ხარისხობრივ დავალებებთან დაკავშირების საფუძველზე, რათა ბოლშევიკების ტემპებს ახლდეს ბოლშევიკური ბრძოლა ხარისხისათვის. ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მომარაგებასაც—საწარმოო და სასურსათო მომარაგებას. ჩვენ მარტო ცენტრალიზებული ფონდების შემყურენი არ უნდა ვიყოთ, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დამატებითი ადგილობრივი რესურსები გამოვნახოთ.

კიდევ უფრო მეტად უნდა განვამტკიცოთ ჩვენი კულტურული ფრონტი. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო სახელმწიფო ორგანოების ძალღონის, არა მარტო საბიუჯეტო სახსრების მობილიზაცია, არამედ საჭიროა იმ შინაგანი რესურსების მობილიზაციაც, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, საჭიროა კულტურული ფრონტის მუშაკთა აქტივობის მობილიზაცია. კულტურულ რევოლუციას ჩვენში ეძლევა ისეთი გაქანება, რომელიც შეეფერება სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დამთავრებას.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება კომუნალური მეურნეობისადმი, საბინაო მშენებლობისადმი, რომელნიც მიმდინარე წელს უზრუნველყოფილია საგრძნობლად მეტი ფინანსიური საშუალებებით, ვიდრე დღემდე. პირველ რიგში უნდა დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და მშრომელთა მოთხოვნილება.

ასეთია დამამთავრებელი წლის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა.

მათი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენს მუშაობას საფუძვლად დაუდებთ ამხ. სტალინის ექვს მითითებას, რომელნიც უკვე ცნობილნი არიან, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მითითებანი. ამ პირობათა გარეშე, უიმისოთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ ჩვენი მუშაობის ხარისხს და შესრულების თავის დროზე შემოწმებას, მასების შემდგომ მობილიზაციას, მათი ენტუზიაზმის ორგანიზაციას,—უამისოდ ჩვენ ვერ დავძლევთ 1932 წლის დიად, მაგრამ სავსებით რეალურ, სავსებით განსახორციელებელ სახალხო-სამეურნეო გეგმას.

ეს წელი იქნება ხუთწლედის განხორციელების წელი, წელი, რომელსაც საბჭოების ქვეყანა მეორე ხუთწლედთან მიჰყავს.

ამხანაგებო, პირველი გაწვევის ბოლშევიკებს ახსოვთ, თუ როგორ მიაჩნდათ მათ სოციალიზმი საბოლოო, ე. ი. შორეულ მიზნად. ოქტომბრის რევოლიუციის მეთოთხმეტე წლის თავი შეხვდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დამთავრებას. ჩვენი პარტია მე-17 კონფერენციაზე განიხილავს დირექტივებს მეორე ხუთწლედის შედგენისათვის. ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის თეზისებში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, მოცემულია მეორე ხუთწლედის ძირითადი გეზი:

„... მეორე ხუთწლედის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავების და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების სრული მოსპობა კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ეკონომიკასა და ადამიანთა შემეცნებაში, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად“.

აი, ამხანაგებო, ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუციის ხუთმეტი წლის შედეგი. მეორე ხუთწლედში დამთავრდება ეს რევოლიუცია უკლასო საზოგადოების შექმნის ხაზით.

ჩვენს ქვეყანას—ამიერ-კავკასიას — მოეპოვება ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ ჩვენ ფეხდაფეხ მივსდიოთ მთელ საბჭოთა კავშირს სოციალიზმის მშენებლობაში. თუ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს შევუფარდებთ ბოლშევიკურ ტემპებს, თუ დავეყრდნობით მასების ენტუზიაზმს და სწორად გავატარებთ ჩვენი პარტიის ბოლშევიკურ პოლიტიკას, ჩვენ უზრუნველვყოფთ მეორე ხუთწლედის ძლევამოსილად განხორციელებას.

წარმატების ძირითად, გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ბოლშევიკური სიმტკიცე. ამიერ-კავკასიაში პარტორგანიზაციები ეხლა წარმოადგენენ ბოლშევიზმის მთლიან რაზმს. ყრილობების მოწვევის მომენტისათვის, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობის განახლების შემდეგ განმტკიცდა ამ ორგანიზაციების და მათ ხელმძღვანელ ორგანოების მთლიანობა და მონოლიტობა, განმტკიცდა არა პირადი სიახლოვისა და მეგობრობის საფუძველზე, არამედ ბოლშევიკური პრინციპიალობის საფუძველზე, საკავშირო კომპარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხაზის საფუძველზე. აზერბეიჯანის ორგანიზაციაში გამოაშკარავებულ და განადგურებულ იქნა ჯგუფობრიობა და „ატამანშჩინა“. აზერბეიჯანის ორგანიზაციამ მიაღწია თავისი რიგების ბოლშევიკურ კონსოლიდაციას იმის მეოხებით, რომ მას სათავეში ჰყავს ბაქოს ორგანიზაცია, ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ამხ. პოლონსკის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიაში განახლებულია ხელმძღვანელობა ამხ. ბერიას მეთაურობით. ვფიქრობ, რომ ეს ხელმძღვანელობა ძირითადათ დარჩება ამავე სახით ამ ყრილობის შემდეგაც, რომ საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო იქნება იმ ბოლშევიკური პრინციპიალური, ლენინური ხაზის ბუნებრივი გამავრცელებელი, რომელიც გაატარა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებულმა ხელმძღვანელობამ ყოველივე იმის ლიკვიდაციისათვის, რაც მოხდა აქ „ატამანშჩინის“ დროს, უკანასკნელ დროს.

საქართველოს ორგანიზაციას, რომელსაც ჰყავს ასეთი ხელმძღვანელობა, შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ჩვენი პოლიტიკის ძირითადი საკითხები ქალაქად და სოფლად სწორ გამოხატულებას ჰპოვებენ საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებში, კომიტეტის, რომელსაც მეთაურობს ამხ. ბერია.

სომხეთის კომპარტიას მეთაურობს ნაცადი ლენინელი ამხ. ხანჯიანი. სომხეთის პარტორგანიზაციას საგრძნობი მიღწევები აქვს პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების საქმეში, რაც სპეციალურად არის აღნიშნული საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის დადგენილებაში. სომხეთის კომპარტიის რიგების ბოლშევიკურმა შემჭიდროებამ გამოხატულება პოვა გუშინ დამთავრებულ ყრილობაზე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების ხელმძღვანელობის ეს ბოლშევიკური შემჭიდროება, ეს პრინციპიალური მთლიანობა შეადგენს ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის ძალას და დასაყრდენობს. ჩვენ ვიმუშავებთ მთლიანი ფრონტით და არ დაუშვებთ ფედერალიზმის ელემენტებს პარტიული ხელმძღვანელობის დარგში. არავითარი ნახტომები, სახის დაკარგვის არავითარი ცდები. ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ეხლანდელი ხელმძღვანელობა შორსაა წინანდელი ხელმძღვანელობის ასეთი ცდებისაგან. რესპუბლიკებში ბოლშევიკური ხელმძღვანელობა სწრაფად აღმოფხვრის იმათ შეცდომებსაც, რომლებიც ატამანის ჭანგებში მღეროდნენ და, რომელთაც ეხლა სურთ ყველა ეს უმსგავსო შეცდომები ახსნან იმით, რომ მათ უნდოდათ მაღალი ტემპების აღება.

ამხანაგებო, „მაღალი“ ტემპების აღებას გვირჩევდა ტროცკიც, ახალი ოპოზიციაც ცდილობდა პარტიისათვის თავს მოეხვია „მაღალი“ ტემპები. „მაღალი“ ტემპები იყო ავანტიურისტული ტემპები, რომლებიც ძირს უთხრიან პროლეტარიატის კავშირს საშუალო გლეხობასთან. ბოლშევიკურ ტემპებს არ სჭირდება არც დაჩქარება და არც შენელება. ხოლო ვინც ცდილობს თავი გაიმართლოს ბოლშევიკური ტემპების „გამოჩენის“ სურვილზე მითითებით, უნდა მიიღოს ბრალდება არა მარტო იმ მხრით, რომ შეცდომები დაუშვა ჩვენი პოლიტიკის გატარებაში.

ამიერ-კავკასიის შემჭიდროებულ პარტორგანიზაციას საგრძნობლად განმტკიცებული თანაშემწე ჰყავს. ამიერ-კავკასიაში ა.ლ.კ. კ-ის რიგებში ირიცხება 400.0000 წევრი და კანდიდატი. კომკავშირმა დაამტკიცა, რომ მას, პარტიის ხელმძღვანელობით და მისი მითითებით შეუძლია ბრძოლა და კიდეც იბრძვის სამეურნეო ფრონტზე, გვაძლევს დამკვრელობის, სოცშეჯიბრების და ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის პოლიტიკური მომზადების საქმეში. კომკავშირი არ უნდა გამოედევნოს თავისი ორგანიზაციის რიცხვობრივ ზრდას ხარისხის საზიანოდ და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი წევრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას.

ჩვენ გვყავს მომაგრებული პროფკავშირები, რომლებიც დაუახლოვდნენ წარმოებას, მობრუნდნენ პირით წარმოებისაკენ, აწყობენ და ხელმძღვანელობენ სოციალისტური შრომის ახალ ფორმებს. პროფკავშირები—კომუნიზმის სკოლა — უშუალო მონაწილეობას ღებულობენ და რაზმავენ მასებს სოციალისტური მშენებლობისათვის.

სოციალიზმის მშენებელთა არმიაში ქალთა მასები—მუშა-ქალები, კოლმეურნე ქალები, თავიანთი მუშაობის დარგში გვაძლევენ შრომის ენტუზიაზმის ნიმუშს დამკვრელობის და სოცშეჯიბრების საფუძველზე. მეორე ბოლშევიკურმა გაზაფხულმა მინდვრებზე დაგვანახვა თუ რა უდიდეს როლს თამაშობს ქალი საკოლმეურნეო შრომაში, ბამბის მინდვრები მოწმენი იყვნენ მშრომელი ქალის შრომის ენტუზიაზმის. ხშირად მრავალ რაიონებში კოლმეურნე, ღარიბი და საშუალო გლეხი ქალები შრომის ნაყოფიერების მხრივ წინ უსწრებდნენ მამაკაცებს პარტიის მასებთან დამაკავშირებელი ეს ერთად-ერთი ძალა ჩვენი პარტიის ხელშია. ქალთა მასებს შორის მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

ჩვენ გვყავს ისეთი ძალა, როგორც ჩვენი წითელი არმია. ჩვენი არმია, ეს მარტო ინტერვენტების, საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ მომარჯვებული ხიშტები კი არ არის, იგი სკოლაა მუშათა და გლეხთა მასებისათვის. ჩვენს წითელ არმიას რომელსაც უდიდესი წარმატებები აქვს სამხედრო ტეხნიკის და სამხედრო მეცნიერების დაუფლების საქმეში, აქვს კიდევ ის მიღწევა, რომ მან, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, თავისი თვალსაზრისით აღზარდა ნაციონალური ნაწილები. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ყავთ თავიანთი ნაციონალური ნაწილები, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან და ხშირად კი მეტოქეობასაც უწევენ დანომრილ დივიზიებს. ეს ჩვენი უდიდესი საერთო მიღწევაა და პირველ რიგში ეს არის საბჭოთა კავშირის წითელი არმიის და ჩვენი—კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ხელმძღვანელების უდიდესი წარმატება.

ჩვენში საგრძნობლად განმტკიცდა პროლეტარული დიქტატურის ორგანოები — საბჭოთა ორგანოები. ჩვენი საბჭოთა ორგანოები, როგორც ცენტრალური ისე ქვედა საფეხურის ორგანოები, ახდენენ თავიანთ გარდაქმნას და ხდებიან სოციალისტური მშენებლობის აქტიურ იარაღად, პარტიის გენერალური ხაზის აქტიურ გამტარებლებად. ამიტომ საბჭოთა მუშაობის გაძლიერება, მისი გამოცოცხლება ამ მუშაობის სავსებით და მთლიანად დაკავშირება პარტიის გენერალური ხაზის გატარებასთან, სასოფლო საბჭოს პირით მობრუნება სამეურნეო ამოცანებისაკენ და საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ ხდება დამამთავრებელი წლის და მეორე ხუთწლედის ამოცანების ერთ-ერთი გადამწყვეტ პირობად.

ჩვენ ყველა პირობები გვაქვს ამ ამოცანების შესასრულებლად. ამათგან გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ჩვენი საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ც. კ-ის შემოწმებული, მტკიცე და სწორი ხელმძღვანელობა.

ჩვენი ც. კ-ი მთელს ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის შტაბია. იგი არის კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი სექციის ხელმძღვანელი შტაბი. იმ პოლიტიკამ, რომელსაც ატარებს ჩვენი ც. კ-ი, საბჭოების ქვეყანა გადააქცია მიმზიდველ ძალად ყოველივე იმისათვის, რაც კი რევოლიუციონურია მთელი დედამიწის ზურგზე და უზრუნველჰყო სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებები.

ამხანაგებო, ამ წარმატებებით ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ც.კ-ის კოლექტიურ ხელმძღვანელობას, მისი პოლიტბიუროს სახით. პოლიტბიუროს სათავეში ჩვენ გვყავს ჩვენი მშენებლობის მტკიცე მესაჭე ამხ. სტალინი (ტაში).

ამხ. სტალინი — ამხ. ლენინის მოწაფეა და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობაში მისი უშუალო გამგრძელებელი, ლენინის საქმის გამგრძელებელი არა მარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიის დარგშიაც. ჩვენი მშენებლობის ხაზით ამხ. სტალინი ძალიან შორს ხედავს იმ პროცესებს, რომლებიც მხოლოდ ჩანასახში არიან.

ასეთი ხელმძღვანელობით ჩვენს პარტიას შეუძლია აღივსოს უდიდესი ენერგიით იმისათვის, რომ შეუდგეს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას დამამთავრებელ წელს და უზრუნველყოს მეორე ხუთწლედში უკლასო საზოგადოების აშენება.

ჩვენი საბჭოთა კავშირი მიმზიდველ ძალად გადაიქცა მთელი ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთათვის რევოლიუციონური მოძრაობისათვის, როგორც მეტროპოლიებში, ისე კოლონიებში.

როდესაც გვაქვს ასეთი პერსპექტივები და ასეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ჩვენ, ლენინის პარტიის წევრები უნდა გავიმსჭვალოთ იმის შეგნებით, რომ სადაც არ უნდა ვმუშაობდეთ იქნება ეს პარტიული კომიტეტი, საბჭოთა ორგანო, ცენტრი, რაიონი თუ პერიფერია, ჩვენ ვაკეთებთ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საქმეს, რევოლიუციის, რომელიც იკრებს ძალებს ბურჟუაზიასთან უკანასკნელი გადამწყვეტი შეტაკებისათვის და იზრდება იმ ულმობელი კრიზისის ფონზე, რომელიც უკვე მესამე წელიწადია მძვინვარებს ევროპაში, ამერიკასა და კაპიტალიზმის ყველა ქვეყნებში.

ამხანაგებო, ასეთ დროს არ შეიძლება მერყეობა ჩვენს რიგებში, არ უნდა იყვნენ მერყევნი, პარტიის ხაზმა, ლენინიზმის ხაზმა, რომელსაც ასე მტკიცედ ატარებს ჩვენი ც. კ.-ი უდიდესი გამარჯვება მოიპოვა. მემარჯვენე ოპორტუნიზმის ხაზი დამსხვრა, გაცამტვერდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს წინაშე არ იდგეს ეს საფრთხე, ეს საფრთხე რჩება, როგორც მთავარი საფრთხე. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, „მემარცხენე“ გადახრის საშიშროების შესახებ. უკანასკნელი წლის გამოცდილებიდან ჩვენ ვალდებული ვართ გავაკეთოთ დასკვნები, რომ საჭიროა უაღრესი სიფხიზლე „მემარცხენე“ გადახვევების სულ მცირეოდენი გამოხატულების მიმართ.

ორ ფრონტზე ბრძოლა, გადახრებისა და მათთან შემრიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, რჩება ყოველი კომუნისტის, ბოლშევიკური პარტიის წევრის სავალდებულო ამოცანად. ორ ფრონტზე ბრძოლა უფრო მეტი შეუპოვრობით უნდა სწარმოებდეს, ვიდრე აქამდე. იდეოლოგიის დარგშიაც, სადაც ზოგჯერ, ზოგიერთი კომუნისტების დამპალი ლიბერალიზმის მეოხებით ცდილობენ თავის შეფარებას პარტიისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, სადაც ტროცკისტული კონტრაბანდისტები ცდილობენ შეაპარონ მოწამლული და პარტიის საწინააღმდეგოდ მიმართული იარაღი. ფილოსოფიის, ისტორიის, ლიტერატურის და სხვა დარგებში ჩვენ გულდასმით უნდა ვამუშავებდეთ ლენინის ეტაპს, რომელსაც ჩვენ მიერ არ ექცევა სათანადო ყურადღება. აქ ჩვენ მოგველის უდიდესი მუშაობა, რომელიც ორგანიზაციულად დაკავშირებულია იმ მუშაობასთან, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, როგორც ახალი საზოგადოების მშენებლები და ორგანიზატორები.

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას, ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მეორე ხუთწლედს!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ბელადს ამხ. სტალინს!

იაპონიის იმპერიალიზმი იპყრობს შანხაის

ოკუპანტები იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან შეთანხმებით მოქმედებენ

შანხაის იაპონური ხელისუფლება მოქმედობს უცხოეთის წარმომადგენლებთან შეთანხმებით

ტოკიო, 30 იანვარი. გამოქვეყნებულ იქნა მთავრობის დეკლარაცია შანხაიში მომხდარი ამბების შესახებ. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ იაპონიის მთავრობას არა ერთხელ მიუქცევია ნანკინის მთავრობის ყურადღება ანტიიაპონური მოძრაობის შეწყვეტის საჭიროებისათვის. მაგრამ ნანკინის მთავრობას არ მიუღია არავითარი ზომები. ანტიიაპონური მოძრაობა გაძლიერდა, რასაც თან სდევდა იაპონელთა მოკვლის შემთხვევები კანტონში, ძინანში, ფუჯოუში, ანტიიაპონური წერილების გამოქვეყნება და სხვ.

ჩინეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა იაპონელთა მოთხოვნები თავის 28 იანვრის პასუხში. როცა სეტლმენტის მუნიციპალიტეტმა საალყო წესები გამოაცხადა, ჩინეთის რეგულიარულმა ჯარმა სროლა აუტეხა იაპონიის დესანტს. იაპონიის ჯარის მოქმედება არაფრით არ განირჩევა დანარჩენი სახელმწიფოების ჯარის მოქმედებისაგან შანხაის რაიონში. შანხაის იაპონური ხელისუფლება მოქმედებს სეტლმენტის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, უცხოეთის საკონსულოებთან და უცხოეთის ჯარებთან შეთანხმებით შანხაიში.

დასასრულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული არა აქვს გააფართოოს თავისი გავლენის სფერო შანხაიში და დაარღვიოს სხვა სახელმწიფოების ინტერესები (ადს).

ინგლისის, საფრანგეთის გერმანიისა და ბელგიის ელჩებმა ინახულეს იოსიზავა

ტოკიო, 30 იანვარი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის ელჩმა ლინდლეიმ გუშინ ინახულა იოსიზავა, და აცნობა მას, რომ ბრიტანეთის მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს შანხაის ამბებს და ანგარიშს უწევს იმას, რომ ინგლისს დიდი ინტერესები მოეპოვება შანხაიში.

გაზეთი „ძი-ძი“ ამტკიცებს, რომ ლინდლეის დარბაზობას არ ჰქონია არც პროტესტისა და არც გაფრთხილების ხასიათი.

შანხაის ამბებთან დაკავშირებით, იოსიზავა ინახულეს საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის ელჩებმა (ადს).

იმპერიალისტების სამხედრო ფლოტი შანხაის წყლებში

შანხაი, 30 იანვარი. მანილიდან იუწყებიან, რომ ამერიკის ფლოტის სარდალმა მანილიდან შანხაიში გაგზავნა 4 საესკადრო ნაღმოსანი. ამჟამად,—იაპონური ცნობების მიხედვით,—შანხაის რაიონში, იან-ძის მიდამოების ჩათვლით, იმყოფება იაპონელთა 34 სამხედრო გემი, ამერიკელების—15 სამხედრო გემი, ინგლისელების—11 და ფრანგების—5.

შანხაი, 30 იანვარი. გონკონგიდან შანხაიში გაემგზავრა ინგლისის სამხედრო გემი და რამდენიმე გამანადგურებელი. ინგლისის საზღვაო გემების შემადგენლობას მიეცა ბრძანება მუდმივად იყონ გემების ბაქანზე (ადს).

შანხაიში მყოფი იაპონიის გემები საბრძოლველად ემზადებიან

შანხაი, 30 იანვარი. შანხაიში იაპონელ მეზღვაურთა ნაწილი ენერგიულად ამაგრებს იაპონიის კონცესიას, აგებს ბარიკადებს, გაჰყავს მავთულის ხლართები და სხვ.

იაპონიის გემებს ნაბრძანები აქვთ მზად იყონ საბრძოლველად (ადს).

იაპონელი ჯარისკაცები არბევენ ჩინელთა მაღაზიებს

შანხაი, 30 იანვარი. გაზეთების გადმოცემით, იაპონელი ჯარისკაცები არბევენ ჩინელთა მაღაზიებს, ჰკლავენ და ხვრეტენ ნოქრებს, რომლებიც თითქოს ტყვიებს ესროდენ იაპონელებს. ჩაპეისათვის ჰაერიდან ყუმბარების დაშენის დროს, იაპონელებმა სრულიად დაანგრიეს ჩინელების უდიდესი შენობა „კომერშიალ პრის“-ი (ადს).

კანტონის არმიის შტაბის მოწოდება

შანხაი, 30-I. კანტონის მე-19 არმ. შტაბმა, რომლის ნაწილებიც იმყოფებიან შანხაიში, გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მათ განზრახვა აქვთ „ბოლომდე იბრძოლონ იაპონელებთან, ვინაიდან იაპონიის ჯარმა სრულიად უმიზეზოდ შეუტია ჩინეთის გარნიზონს ჩაპეიში“ (ადს).

ოკუპანტები ცდილობენ დინ-ჩოუს ჯარის გაყვანას ხარბინიდან

ტოკიო, 30 იანვარი. როგორც მუკდენიდან იუწყებიან, სი-სიას ჯარმა 29 იანვარს დილით დაიწყო ახალი შეტევა დინ-ჩოუს ჯარის წინააღმდეგ. შემდგომი სამხედრო მოქმედება თავიდან იქნა აცილებული გენერალ მა-ს შუამავლობით. მებრძოლმა მხარეებმა მიიღეს გენერალ მა-ს წინადადება. დინ-ჩოუს ჯარი გაყვანილი იქნება ქალაქის ხაზის გარედ.

როგორც ხარბინიდან იუწყებიან, იაპონიის ხელისუფლება მოლაპარაკებას აწარმოებს დინ-ჩოუსთან მისი ჯარის ხარბინიდან მშვიდობიანად გაყვანის შესახებ. ფიქრობენ, რომ ხარბინში დინ-ჩოუს ჯარს შესცვლიან გირინ-ჩანჩუნის რკინის გზის მცველი რაზმები (ადს.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სამხრეთის უბნის დაზიანება

ბეიპინი, 30 იანვარი. იუწყებიან აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სამხრეთის უბნის სერიოზული დაზიანების შესახებ. ჩინეთის სარდლობის განკარგულებით რკინის გზის ლიანდაგი ბევრ ადგილას აყრილია, მთელი რიგი ხიდები აფეთქებულია. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის იმ თანამშრომლებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ გზის გაფუჭებას, ჩინელი ჯარისკაცები აპატიმრებენ და სცემენ.

ჩინეთის სარდლობის ამ ღონისძიებებს უკავშირებენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის რაიონში მომქმედ ჩინეთის ჯარის სარდლის დინ-ჩოუს ცირკულიარულ წერილს, რომელიც გაიგზავნა ხარბინში მყოფ ყველა უცხოეთის კონსულების მისამართით.

ამ წერილში დინ-ჩოუ აცხადებს, რომ მან გადასწყვიტა წინააღმდეგობა გაუწიოს ძალმომრეობას იაპონიის ნაწილების მხრით, რომლებმაც ხელთ იგდეს მატარებლები თავის ჯარის გადასაყვანად (ადს).

შანხაის ჩინურ ნაწილში სწარმოებს ბრძოლა

შანხაი, 30 იანვარი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ მიიღო იაპონიის მოთხოვნები და იაპონიის გენერალურმა კონსულმა განაცხადა, რომ ამ მოთხოვნებს იგი დაკმაყოფილებულად სცნობს, იაპონიის ჯარის ნაწილები, ჩინელთა მხრით მცირე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, შეიჭრნენ ჩაპეიში (კვარტალი შანხაის ჩინურ ნაწილში).

ქალაქის უმეტესი ნაწილი დაცარიელდა. მაღაზიები დახურულია. ჩინეთის ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი კრებები. ქალაქის ჩინურ ნაწილზე გამოჩნდა იაპონიის ყუმბარმზიდი აეროპლანები, რომლებიც ისვრიან ყუმბარებს. მსხვერპლთა რაოდენობა არ არის გამორკვეული. ხმებია, რომ ჩინელები დიდათ დაზარალდნენ. ჩაპეის მრავალ ადგილას გაჩნდა ხანძარი, რაც გამოიწვია თოფისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლმა, ბრძოლა გრძელდება. იაპონელებს ყოველფეხის ნაბიჯზე წინააღმდეგობას უწევენ შანხაის მოსახლეობა და გარნიზონის ჯარისკაცები. შანხაის ჩინურ ნაწილში მრავალი შენობა დაინგრა. არის ცნობები, რომ ჩინეთის მოსახლეობამ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა (ადს).

შანხაის უცხოელთა უბანი იაპონელებმა სამხედრო ბაზად გადააქციეს

შანხაი, 30 იანვარი. კონსულთა კორპუსმა იაპონიის ხელისუფლებას მიმართა განცხადებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იაპონიის ხელისუფლებამ უცხოელთა უბანი გადააქცია სამხედრო ბაზად, საიდანაც სწარმოებს ყველა ანტიჩინური ოპერაციები. ხონკის რაიონი მთლიანად იმყოფება იაპონიის ვოლონტიორების ხელში, რომელთა რიცხვი 1.000 კაცს უდრის. სამხედრო პატრულები სცემენ ჩინელებს (ადს).

იყენებენ სამხედრო ტეხნიკის ყველა მიღწევებს

შანხაი, 30 იანვარი. სამხედრო მეთვალყურეები სცნობენ, რომ შანხაიში წარმოებული ბრძოლა არაფრით არ განსხვავდება იმპერიალისტური ომის დროს წარმოებულ ბრძოლებისგან. იაპონელები იყენებდენ უახლეს სამხედრო მიღწევებს და სამხედრო და საჰაერო იერიშებს აწარმოებდენ 20 საათის განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, ჩინელებმა იაპონელებს გაუწიეს სასტიკი წინააღმდეგობა, რომელსაც ისინი სრულიად არ მოელოდენ და რომელმაც გაანადგურა მთელი მათი გეგმები. იმის გამო, რომ ნანკინიდან მოელიან დამხმარე ძალებს, იაპონელებმა დაანგრიეს რკინის გზის ხაზი (ადს).

შანხაიში ვაჭრობა ჩაკვდა

შანხაი, 30 იანვარი. მთელი ჩინური ვაჭრობა ჩაკვდა. გაღებულია მხოლოდ ის დუქნები, [illegible] ბრინჯით და ხორცით. ამავე დროს ვაჭრები უარს ამბობენ [illegible] დევაზე და აცხადებენ, რომ უცხოეთის უბნის ხელისუფლებამ ეს უბანი გადააქცია იაპონიის ბაზად ანტიიაპონური სამხედრო მოქმედებისათვის (ადს).

შესწყდა კავშირი ნანკინსა და შანხაის შორის

შანხაი, 30 იანვარი. ნანკინში მობილიზაცია უყვეს და შანხაიში გაგზავნეს ნაციონალური გვარდიის დივიზია შანხაიში მყოფ სამხედრო ნაწილებისათვის დასახმარებლად.

ჯარისკაცები სადგურზე გააცილა მრავალ რიცხოვანმა ხალხმა. მატარებლების მიმოსვლა შანხაისა და ნანკინს შორის შეწყვეტილია. ყველა მატარებლები გამოყენებულია მე-61 დივიზიის ნანკინიდან შანხაიში გადასაყვანად.

შანხაიში სასწრაფოდ გაიგზავნა სამხედრო ინჟენერების რაზმი სანგრების გასაყვანად და ბარიკადების ასაგებად. შანხაისა და ნანკინს შორის შესწყდა სატელეგრაფო, სატელეფონო, სარკინიგზო და საჰაერო კავშირი (ადს).

შანხაიში მოდიან იაპონელთა ახალი საზღვაო ძალები

შანხაი, 30 იანვარი. შანხაიში მოვიდა იაპონელების 13 სამხედრო გემი. ნავსადგურში გადმოსხეს დესანტი 500 კაცის რაოდენობით (ადს).

შანხაი, 30 იანვარი. დღეს შანხაიში მოვიდა იაპონიის სამხედრო ფლოტილია, რომელიც შესდგება 13 გამანადგურებლებისაგან. ფლოტილიასთან ერთად, ჩამოვიდა საზღვაო ქვეითი რაზმი 500 კაცის შემადგენლობით.

კრეისერი „ტაცუტა“ საესკადრო ნაღმოსნების დივიზიონის თანხლებით (ხუთი გემის შემადგენლობით) სასებოდან შანხაიში გაემგზავრა.

ამასთან ერთად იაკოსუკას საზღვაო ბაზიდან სასებოში გაგზავნეს აეროპლანების დასაშვები გემი „ხოშო“, რომელზედაც იმყოფება რამდენიმე აეროპლანი, სამი საესკადრონო ნაღმოსანი და საზღვაო ქვეითი რაზმი (ადს).

იაპონიის რეზიდენტები სტოვებენ ნანკინს

შანხაი, 30 იანვარი. იაპონიის გენერალურმა კონსულმა გამოაცხადა, რომ გენერალური საკონსულოს ყველა თანამშრომლები 29 იანვარს გადავიდნენ სიაგუანში (ნანკინის მახლობლად) მყოფ სამხედრო გემებზე.

ტოკიო, 30 იანვარი. 28 იანვარს შანხაიში ჩამოვიდა იაპონიის საკონსულოს შემადგენლობა, რომელმაც დასტოვა ხანჯოუ.

29 იანვარს მოელიან იაპონიის საკონსულოს ჩამოსვლას ნანკინიდან (ადს).

იაპონელების დამარცხება ჩაპეის რაიონში

შანხაი, 30 იანვარი. ჩაპეის რაიონში ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა. იაპონელებს დიდი ზარალი მოსდით. ჩინეთის ჯარმა, რომელიც გაამხნევა გუშინდელმა წარმატებებმა, ენერგიულად და წარმატებით შეუტია იაპონელებს და დაახევია მათ უცხოეთის უბნის ტერიტორიისაკენ, რომელიც მდებარეობს ჩაპეის რაიონის საზღვართან.

ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ჩინელებმა გადალახეს უცხოეთის უბნის საზღვარი და განაგრძობენ სამხედრო ოპერაციებს იაპონელთა წინააღმდეგ. ჩინეთის ჯარი უცხოეთის უბნის საზღვრის გადალახვას ხსნის იმით, რომ რამდენადაც იაპონელებმა გამოიყენეს უცხოეთის უბანი თავდასხმისათვის, იმდენად ჩინელებს უფლება აქვთ გამოიყენონ უცხოეთის უბნის ტერიტორია თავდაცვისათვის (ადს).

იაპონიის მოსკოველი ელჩის ბ-ნ ხიროტას ინფორმაცია

ჩრდილოეთ მანჯურიის მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 30 იანვარი. 29 იანვარს იაპონიის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა კოკი ხიროტამ ინახულა საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილე ამხ. კარახანი და იაპონიის მთავრობის დავალებით, ჩრდილოეთ მანჯურიაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აცნობა შემდეგი:

„ჩინეთის ჯარის ამბოხებასთან დაკავშირებით ხარბინში, სადაც რამდენიმე ათეული ათასი იაპონელი მოქალაქე ცხოვრობს, იაპონიის მთავრობას მოუხდა ჯარის გაგზავნა თავისი ქვეშევრდომების დასაცავად. იაპონიის ჯარის გაგზავნი აიხსნება მხოლოდ იაპონიის მოქ. სიცოცხლისა და ქონების დაცვით ხარბინში. იაპონიის მთავრობას არა აქვს არავითარი განზრახვა დაარღვიოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ინტერესები, მაგრამ ჯარის გაგზავნის დროს საჭირო იქნება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამოყენება. იაპონიის ჯარის გადაყვანისათვის იაპონიის მთავრობა გადაიხდის ფულს, რამდენიც საჭიროა“.

საბჭოთა მთავრობის მხრით გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იაპონიის მთავრობამ დაავალა ელჩს განუმარტოს საბჭოთა მთავრობას იაპონიის ჯარის ხარბინში გაგზავნის ნამდვილი აზრი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა იაპონიის ელჩთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ იაპონიის ხელისუფლების მოქმედება ხარბინის რაიონში სწორედ იწვევს იმ გაუგებრობას, რომლის თავიდან აცილება სურს იაპონიის მთავრობას, როცა ზემოაღნიშნულ დავალებას აძლევს ელჩს. როგორც ახლა ირკვევა, იაპონიის სარდლობის წარმომადგენელმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს კუზნეცოვს თხოვნით მიმართა მაშინ, როცა 12 საათი გავიდა მას შემდეგ, რაც იაპონიის ჯარი კუანჩენძის სადგურზე თვითნებურად მოთავსდა მატარებელში და გაემართა ჩრდილოეთისაკენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზით. იაპონიის ხელისუფლების ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად.

რაც შეეხება იაპონიის ჯარის გადაყვანას ხარბინის რაიონში, ეს საქმე დამოკიდებულია არა მარტო საბჭოთა მხარეზე, არამედ უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის ხელისუფლებაზე, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველებზე საბჭ. კავშირის წარმომადგენლებთან ერთად. ამასთან არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა გაყვანილია ჩინეთის ტერიტორიაზე. ამიტომ გასაგებია, რომ თუ ჩინეთის ხელისუფლება შესაძლებლად სცნობს ჩინეთის ჯარის გადაყვანას ხარბინის რაიონში, საბჭოთა მხარეს ამ შემთხვევაში არა აქვს საფუძველი შექმნას დაბრკოლებები, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ინტერესები არ იქნება დარღვეული. ასეთი ხასიათის დირექტივა გაეგზავნა კუზნეცოვს ჯერ კიდევ 28 იანვარს.

იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ აცნობებს დეპეშით ტოკიოში კარახანის მიერ გამოთქმულ აზრს და ამასთან ხელ კიდევ აღნიშნა, რომ იაპონიის მთავრობის ერთად-ერთი მიზანს შეადგენს იაპონიის ქვეშევრდომების ინტერესების დაცვა და რომ იაპონიის მთავრობის სურვილია სწორად იქნას გაგებული მისი ნამდვილი ზრახვები (ადს).

საბჭოთა კავშირის ნებისყოფა ურყევია

ბერლინი, 30 იანვარი. ბურჟუაზიული პრესა იხილავს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მიერ მეორე ხუთწლედის შედგენისათვის მოცემულ დირექტივებს.

„ბერგვერს ცეიტუნგ“-ი (გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანო) სწერს:

„ბოლშევიზმი აპირებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავის ისტორიული ბრძოლის ახალ ეტაპში შესვლას. იგი მზად არის იაროს იმ გზით, რომელსაც დაადგა პირველი ხუთწლედის გამოცხადების დროს. საბჭოების ნებისყოფა მიაღწიოს დასახულ მიზანს — ურყევია“. (ადს).

ინჟ. კუპერი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. იოვას შტატში ინჟენერმა კუპერმა წარმოსთქვა რადიო - სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ საჭიროა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთ. შტატებს შორის. კუპერმა განაცხადა:

„საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შორის სერიოზული თანამშრომლობის გარეშე მსოფლიოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ვერავითარი პროგრამა ვერ მიაღწევს თავის მიზანს“.

კუპერი მოაგონებს, რომ საბჭოთა დაკვეთების მხრით არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ საბჭოთა კავშირს უარი ეთქვას ფულის ვადახდაზე. (ადს).

ამხ. პიატნიცკის 50 წლის თავი

ამხ. პიატნიცკი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საუცხოვო ხელმძღვანელია

მოსკოვი, 30 იანვარი. კომინტერნის აღმასკომის მუშაკთა ჯგუფმა, მათ შორის ამხ. პიკმა, მანუილსკიმ, ვან-მინმა, კუუსინენმა, ტორეზმა და ბელა კუნმა, მიმართა მისალმებით ამხ. პიატნიცკის მისი დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ ამხ. პიატნიცკის მთელი ცხოვრება—ეს არის პროლეტარული რევოლიუციონური მოქმედება, ბოლშევიკის მკაფიო ცხოვრება,

წარსული საუკუნის დამლევს ამხ. პიატნიცკი ხდება ლენინის „ისკრა“-ს გავრცელების საქმის ორგანიზატორად. სწავლების პირველ წლებს ის გადის ლენინის სკოლაში—„მოლოდოი რაბოჩი“ და ხდება პროფესიონალური რევოლიუციონერი. არ არის რევოლიუციონური მუშაობის არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი დავალება, რომ არ შეესრულებინოს ამხ. პიატნიცკის, რომელიც ყოველთვის ერთგულად იცავდა ლენინის მოძღვრებას. ამხ. პიატნიცკის კომინტერნში მუშაობის დახასიათება ადვილი არ არის. იმის მეასედიც კი, რაც გააკეთა და რასაც აკეთებს მსოფლიო კომუნიზმის პარტიაში ამხ. პიატნიცკი, გამოუქვეყნებელი რჩება. კომინტერნის საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფარგლებში ამხ. პიატნიცკი მუშაობს ბოლშევიკური მასიური მუშაობის ისტორიული გამოცდილების გადაცემისა და გამოყენებისათვის კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის ორგანიზაციის დარგში. რევოლიუციონური პროფკავშირული მუშაობის დარგი, როგორც კომპარტიის მასიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი, ამ უკანასკნელ წლებში შევიდა ამხ. პიატნიცკის მუდმივი უშუალო საქმიანობის სფეროში. ბოლშევიკურ რეალიზმს ბოლშევიკურ პრინციპიალურობასთან შეთავსებით ამხ. პიატნიცკი გამოხატავს სიძულვილს ფორმაში ყოველგვარი მემარჯვენე ოპორტუნისტული შეგუებისადმი, ყოველგვარი პასიურობისადმი, რაც გვევლინება ნიღაბაფარებული „მემარცხენე“ ფრაზეოლოგიის სახით.

ამხ. პიატნიცკი,—ნათქვამია მისალმებაში—არის ურყევი ბოლშევიკი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საუცხოვო ხელმძღვანელი (ადს).

გავშალოთ მუშაობა გამოსაღების შესაგროვებლად

კულტურულ, საბინაო და სამეურნეო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 30 იანვარი. საკავშირო ფინსახკომმა წინადადება მისცა ყველა ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს—დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილების შესასრულებლად ერთდროული გამოსაღების შესახებ კულტურული, საბინაო და სამეურნეო მშენებლობისათვის. საფინანსო ორგანოებმა ეხლავე უნდა დაიწყონ ადგილობრივ საბჭოთა საზოგადოებრიობაზე დამყარებით, გამოსაღების გამოანგარიშება და არა უგვიანეს 10 თებერვლისა ჩააბარონ ყველა მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, ინდივიდუალურ მეურნეებსა და მოსახლეობის დანარჩენ კატეგორიებს საგადასახადო უწყებები. ყველგან უნდა მოეწყოს შემამოწმებელი ბრიგადები, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ დარიცხვის სისწორით წარმოებას და იმას, რომ დროზე ხდებოდეს სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შეგროვილი სახსრების შეტანა სახელმწიფო ბანკის სალაროებში. უსწოროთ დარიცხვასა და შემოსული სახსრების სახელმწიფო ბანკში დროზე შეუტანლობაში შენიშნული პირნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული. კულაკურ მეურნეობებში უწყების ჩაბარებასთან ერთად გატარებულ უნდა იქნას მათი ქონების საგარანტიო აღწერა გამოსაღების თანხის რაოდენობით და იმ პირობით, რომ თუ დარიცხული თანხა 15 თებერვლამდე არ იქნება გადახდილი, მოხდეს ასეთი ქონების ჩამორთმევა და გაყიდვა.

ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნებმა

დაამთავრეს ხუთწლიანი გეგმის შესრულება

ბორჯომი, 30 იანვარი. 1 თებერვალს ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნები ამთავრებენ ხუთწლიან გეგმას 3 წელიწადსა და 1 თვეში.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ქარხნები გადაკეთებული და სავსებით მექანიზებულია. დადგმულია 3 ახალი მანქანა. შემოღებულია წარმოების განუწყვეტელი ნაკადი. მოხდა ტრანსმისიის ლიკვიდაცია და თითეულ დაზგას ჰყავს ინდივიდუალური მამოძრავებელი. გადაკეთებულია ელექტროქსელი და სხვ.

აღნიშნული ტეხნიკური გაუმჯობესება, რომლებსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი მუშებმა, წელიწადში მოგვცემს 150.000 მანეთის ეკონომიას და საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ პროდუქცია 1932 წელს 23 მილიონ ლიტრამდე. უნდა აღინიშნოს, რომ 1913 წელს, ესე იგი მაშინ, როცა მუშების რიცხვი სამჯერ მეტი იყო, ქარხნებმა მოგვცეს მხოლოდ 8.750.000 ლიტრა (ადს).

საკავშირო კონფერენცია

წყალთა მეურნეობის საკითხებზე

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ინიციატივით მოწვეული საკავშირო კონფერენცია წყალთა მეურნეობის საკითხებზე, მან წიადაგი უნდა მოუმზადოს მომავალ კონფერენციას საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა განაწილების შესახებ. წყალთა მეურნეობის საკითხებზე შემდგარი კონფერენცია ამოცანად ისახავს ფართოდ განიხილოს საბჭოთა კავშირის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პერსპექტივები მეორე ხუთწლედში, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ირიგაციის, ელექტროფიკაციის, ტრანსპორტის, დაცურების, მრეწველობისა, რკინის გზისა და კომუნალური მეურნეობისათვის წყლის მიწოდების, მეთევზეობის და სხ. საჭიროება. კონფერენცია აგრეთვე მიზნად ისახავს გამოარკვიოს ჩვენი კავშირის წყლის რესურსები და, ამ საფუძველზე,—წყლის ფაქტორის გავლენა სხვადასხვა წარმოების განაწილებაზე საბჭოთა კავშირში მე-2 ხუთწლედში.

ამ კონფერენციაზე დასმულ მოხსენებათაგან განსაკუთრებით საინტერესოა მოხსენებები: ამხ. კრჟიჟანოვსკის (ენერგო ცენტრი)—წყლის ენერგიის გამოყენების პერსპექტივები მეორე ხუთწლედში კავშირის ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის, პროფ. გლუშკოვის (სახ. ჰიდროტეხნიკური ინსტიტუტი)—წყლის ფაქტორის გავლენა ქვეყნის საწარმოო ძალთა განაწილებაზე, პროფ. ეგიაზაროვის (ჰიდროტ. ინსტ.)—ჰიდროტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები საბჭოთა კავშირში და უცხოეთში, ამხ. პარაზიანის (საბჭოთა კავშირის სახ. საგ. კომისია)—წყლის მეურნეობის სამმართველოს ორგანიზაცია, და ზოგიერთი სხვა მოხსენება.

კონფერენციის მუშაობა სწარმოებს ოთხ სექციაში, რომელთაგან სამი მოწყობილია მდინარეთა ცალკე ბასეინების გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით (ვოლგა-დონი-დნეპრი, ჩრდილოეთ-კავკასიის, ამიერ-კავკასიის და შუა აზიის მდინარენი; ურალი-ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის ოლქის მდინარეები), მეოთხე სექცია კი იხილავს სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის და კადრების საკითხებს. ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანასთან დაკავშირებით—„დავეწიოთ და გავუსწროთ“ კაპიტალისტურ ქვეყნებს—საჭიროა რაც შეიძლება მალე დავეუფლოთ ყველა სამეცნიერო მიღწევებს ტეხნიკის დარგში საერთოდ, წყლის მეურნეობის ტეხნიკის დარგში კერძოდ, აგრეთვე დაუყოვნებლივ შეუდგეთ კადრების მომზადებას ახალი ხუთწლედისათვის. ამიტომ ამ უკანასკნელი სექციის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ამ სექციამ უნდა გამონახოს წყალთა მეურნეობის დარგში მომუშავე ყველა სამეცნიერო ორგანიზაციების დასკვნების შეთანხმების მეთოდები და გააერთიანოს მათი საგეგმო ვარაუდები საერთო შედეგების მისაღწევად.

კონფერენციაზე მოწყობილია გამოფენა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მიღწევები გვაქვს პირველ ხუთწლედში წყლის ენერგიის რესურსების გამოყენების, წყლის და დასაცურებელი გზების რეკონსტრუქციის, შუა აზიის, ამიერ-კავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის ირიგაციის და ქალაქებისათვის წყლის მიწოდების დარგში.

ამიერ-კავკასიის დაწესებულებები და ორგანიზაციები კონფერენციაზე საკმაოდ ძლიერად არიან წარმოდგენილნი: 173 ადგილიდან 16 დათმობილი აქვს ამიერ-კავკასიის დელეგატებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმ დიდ გავლენაზე, რომელიც ამ პირველ კონფერენციას ექნება წყალთა მეურნეობის განვითარებისათვის მთელს კავშირში და, კერძოდ, ამიერ-კავკასიაში. აღნიშნულ კონფერენციაზე სწყდება ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ყველა ძირითადი საკითხები, აქედან მტკვრის და არაქსის (მინგეჩაურის პრობლემა), სევან-ზანგის სისტემის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების საჭირბოროტო საკითხი და სხ. კონფერენციაზე დაისახება გზები, თუ როგორ უნდა განაწილდეს უმტკივნეულოდ ამიერ-კავკასიის მდინარეების და ტბების წყლები ირიგაციის და ელექტროფიკაციის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. აქვე იხილავენ ჩვენი პროლეტარული ცენტრების (ბაქო) წყალმომარაგების და მთელ რიგ სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს.

კონფერენციის მუშაობის შედეგები საფუძვლად დაედება მეორე ხუთწლედში კავშირის წყლის რესურსების გამოყენების საპერსპექტივო გეგმის შედგენას. შეჯამებული სახით ეს შედეგები მოხსენდება პირველ საკავშირო კონფერენციას ჩვენი კავშირის საწარმოო ძალთა განაწილების შესახებ, სადაც პრაქტიკულად გადაიჭრება კავშირის ტერიტორიაზე სხვადასხვა წარმოების გეოგრაფიული განაწილების საკითხი.

დ. შერმანი.

აბრეშუმ-შალეულის და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა ყრილობა

30 იანვარს, თბილისში გაიხსნა საქართველოს აბრეშუმის, შალეულის და სატრიკოტაჟო საწარმოების მუშათა 1-ლი რესპუბლიკანური ყრილობა, რომელიც მოწვეულია სპეციალური საორგანიზაციო ბიუროს ინიციატივით.

ყრილობამ აირჩია საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმი. საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში ერთხმად იქნენ არჩეულნი—ამხ. სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ს. ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ლ. ბერია და სხვ.

საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში ამხ. სტალინის დასახელებას, ყრილობის წევრები ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს—ამხ. ტვირლოვმა (აბრეშუმ.-შალეულის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტი), და ამხ. გ. სტურუამ. ორატორებმა აღნიშნეს იმ საწარმოო ამოცანათა მნიშვნელობა, რომლებიც 5-წლედის მიმდინარე უკანასკნელი წლისათვის დაუსახა საქ. აბრეშუმის, შალეულის და სატრიკოტაჟო საწარმოების მუშებს პარტიამ და ხელისუფლებამ. მათ მოუწოდეს ჩამოთვლილ საწარმოების მუშებს, რომ მთელი ენერგიით შეუდგნენ პარტიის და ხელისუფლების დავალებათა შესასრულებლად საჭირო ბრძოლას და შრომის სოციალისტური მეთოდების ფართოდ გაშლის გზით. წარმატებით შეასრულონ მიღებული საწარმოო დავალებები.

შემდეგ, საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე—ამხ. თამარა ადამიძე, რომლის მოხსენების გარშემოც სწარმოებდა კამათი ყრილობის მეორე სხდომაზე.

ცეკავშირში

სასჯელი ურჩობისა და დისციპლინის დარღვევისათვის. ტრანსპორტის მუშათა დახურული კოოპერატივის გამგეობის ყოფ. თავმჯდომარე ამხ. კუჭავა სისტემატიურად ურჩობდა და არ ასრულებდა ცეკავშირის გამგეობის განკარგულებებს.

კუჭავას ერთხელ მისცეს განკარგულება, რომ შოფერები მიემაგრებინა დახურულ კოოპერატივზე, მაგრამ მან ამაზე გადაჭრილი უარი განაცხადა. მან მოითხოვა, რომ უწინ შოფერებისათვის გათვალისწინებული საქონლის ფონდები მიეცათ კოოპერატივისთვის და შემდეგ—„ვნახოთ როგორი იქნება საქმეო“, ამბობდა იგი. კუჭავას ურჩობა იქამდეც კი მივიდა, რომ მან მოითხოვა, ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანო ცეკავშირი—არ ჩარეულიყო მის საქმეებში

ურჩი და დისციპლინის დამრღვევი მუშ. დახ. კოოპ. გამგეობის თავმჯდომარე—კუჭავა მოხსნილია თანამდებობიდან და მიღებულია ზომები აღნიშნული კოოპერატივის გამგეობის გადასახალისებლად.

საბითუმო და საცალო გაერთიანებების შეერთება. ცეკავშირის გამგეობის დადგენილებით, შეერთებული არიან ერთ სადარგო გაერთიანებაში საცალო გალანტერეია და საცალო ფართალი. ახალ სადარგო გაერთიანებას ეწოდა—„საცალო კოოპფართალი.“

საქ. თევზხორცის და საქხილბოსტანის სავაჭრო წერტები. ცეკავშირის გამგეობამ წინადადება მისცა საქთევზხორცს და საქ. ხილბოსტანს, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მათი სავაჭრო წერტების რიცხვის შესამცირებლად.

დროებით დატოვებული სავაჭრო წერტები და იქ მომუშავეები სავსებით უნდა იყვნენ დატვირთული სავაჭრო საქონლის კონტინგენტებით. განთავისუფლებული დარაბები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქ. პურტრესტს, მუშათა დახურულ კოოპერატივებს და საქ. კულტსაქონელს.

კოოპერატიული ქსელის შესწავლა. სამომხმარებლო კოოპერაციის რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოში არ ჩატარებულა კოოპერატიული ქსელის შესასწავლი მუშაობა. ცეკავშირის გამგეობამ აუცილებელ საჭიროებათ აღიარა, რომ ქსელის დეტალური შესწავლა დაიწყოს უახლოეს დღეებში. შედგენილია შესწავლის ჩატარების კალენდარული გეგმა და სათანადო კითხვარები.

ქსელის შესასწავლად ცალკე რაიონებში იგზავნებიან ცეკავშირის გამგეობის წევრები.

ყვარელის რაიონის სკოლებში მეცადინეობა შეჩერებულია

მთავრობის განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ

ყვარელის კომკავშირი სტეხს განგაშს

ყვარელიდან „კომუნისტი“-ს რედაქციას დეპეშა

ყვარელის რაიონში, სკოლებში მეცადინეობა შეჩერებულია უშეშობისა და უნავთობის გამო. მასწავლებლებს არ მიუღიათ ნოემბრის თვის ხელფასიც კი. რაიონული აღმასკომი და საბჭო. არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ვსტეხთ განგაშს.

ყვარელის კომკავშირის რაიკომი ქურციკიძე.

განათლების კომისარიატში

განათლების კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი: იმის შესახებ, რომ ყვარელის რაიონში უშეშობისა და უნავთობის, ან სხვა რაიმე მიზეზების გამო სკოლებში მეცადინეობა შეჩერებულია, განათლების სახალხო კომისარიატს ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ მიუღია.

ადგილობრივ რაიაღმასკომებს არა ერთი მითითება აქვთ მიცემული იმის შესახებ, რომ მათ პირველ რიგში მოამარაგონ შეშითა და ნავთით სკოლები. ამ დავალებას ზოგიერთი რაიაღმასკომები პირნათლად არ ასრულებდნენ და სჩანს ასეთივე შეუფასებლობით ეკიდება სასწავლო წლის წარმატებით მსვლელობის საქმეს ყვარელის რაიაღმასკომიც.

რაც შეეხება მასწავლებელთათვის ხელფასის გაცემის დაგვიანებას, ამის შესახებ, განათლების კომისარიატში განაცხადეს, რომ ფინსახკომმა ახალი წლის დასაწყისისათვის ადგილებზე გაგზავნა თანხები მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების დასაფარავათ. კუთვნილი თანხა უნდა ყოფილიყო გადაგზავნილი ყვარელის რაიაღმასკომის მისამართზედაც და ეს თანხა, როგორც ამას ფინსახკომი იუწყება უკვე გადაგზავნილიც იყო თავის დროზედ.

სამწუხაროთ, ზოგიერთი რაიონული აღმასკომი ისევ განაგრძობს ძველ ჩვეულებას და მასწავლებელთა ხელფასისათვის გათვალისწინებულ თანხას იყენებს სხვა მიზნებისათვის. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების განკარგულებით ასეთი ნაბიჯების გადადგმა ეკრძალებათ რაიაღმასკომებს.

უახლოეს ხანში განათლების კომისარიატი გამოიკვლევს ამ საქმეს.

მოველით ახსნა-განმარტებას ყვარელის რაიაღმასკომისაგან.

რედ.

თბილისი ემზადება ა.-კ. ფედერაციის 10 წლის თავისათვის

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ათი წლის თავის აღსანიშნავად ბაქოს ლენინის რაიონის დაკვრითი სარეწაოების ნავთის მუშები ჩაებნენ ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის 10 წლის თავის სახელობის ერთიან დამკვრელ ბრიგადაში ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ბაქოს ნავთის მუშების ინიციატივის მიხედვით თბილისის ქალაქის საბჭო ჩაება ამ.-კავ. ფედერაციის 10 წლის თავის სახელობის დამკვრელ ბრიგადაში და სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს, ერევნის და ბათუმის ქალაქის საბჭოები. თბილისის ქალაქის საბჭომ სოცშეჯიბრების შესრულების არბიტრად წამოაყენა საბჭოთა კავშირის ცაკის და სრულიად რუსეთის ცაკის ორგანო „იზვესტია“.

თბილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილება „იზვესტია“-ს ამ.-კავკასიის წარმომადგენლობასთან ერთად ამთავრებს ამ.-კავ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ქალაქებთან დასადებ სოც. ხელშეკრულების დამუშავებას. სოცხელშეკრულების ძირითად ობიექტებს წარმოადგენს ქალაქის საბჭოების განყოფილებების და სექციების მუშაობის გაუმჯობესება, ქალაქის მეურნეობის, ქალაქის სანიტარული მდგომარეობის და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საწარმოებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება და სხვ.

თბილისის კომუნალური მეურნეობის ხაზით ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის სახელობის დაკვრითი მშენებლობად გამოცხადებულია მდინარე მტკვარზე იმ ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც სადგურის ქუჩას აერთებს საბურთალოსთან, ახალი ქუჩის გაყვანა ავლაბარში და კალიაევის აღმართის გაფართოება.

კომუნალურ მეურნეობამ იკისრა ვადაზე დაამთავროს ეს სამუშაოები და მთელი რიგი სხვა ობიექტები 1932 წლის დამლევისათვის. განზრახულია მთელი რიგი ღონისძიებები სატყეო-საკულტურო სექციის ხაზით. სოცხელშეკრულებაში დიდი ყურადღება ექცევა თბილისში მწვანე ნარგავების გაშენებას, ახალი ბაღების მშენებლობას და სხვ. განზრახულია მთელი რიგი ღონისძიებები სკოლების მუშაობის, ჯანმრთელობის და თბილისის კოოპერატიული ქსელის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებათა ჩატარება 12 მარტისათვის—ამ.-კავკ. ფედერაციის 10 წლის თავისათვის. თბილისის საბჭოს მიერ გამოყოფილი იქნება ჯილდო ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტ წლის გეგმების ვადაზე ადრე დაკვრითი წესით შესრულებისათვის და მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის.

კრონიკა

შემოქმედებითი დისკუსიები მწერალთა ფედერაციაში

საბჭოთა მწერლების ფედერაციაში იწყება შემოქმედებითი დისკუსიები; დღეს 1-ლ თებერვალს, პირველ მოხსენებას თემაზე: „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“ წაიკითხავს ამხ. შ. რადიანი.

„სალიტერატურო გაზეთი“-ს მორიგი ნომერი

„სალიტერატურო გაზეთი“-ს მორიგი ნომერი № 2 გამოვა ხვალ.

მუშა-მწერლების შეკრება

3 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ნინოშვილის სახელობის სასახლეში (მახაბლის ქ. № 13), შედგება მუშა-მწერლების შეკრება.

სხვადასხვა

— „პროლეტარული ხელოვნებისათვის“ № 1 (2) გამოვიდა და იყიდება საქ. განსახკომის ხელოვნების და ლიტერატურის სექტორის ყოველთვიური ჟურნალი „პროლეტარული ხელოვნებისათვის“ № 1 (2). ჟურნალი შეიცავს 24 გვერდს, მოთავსებულია 53 სურათი და ღირს 30 კაპ.

— **თბილისში მყოფ სოფელ ბახვის მცხოვრებთა კრება** შედგება 2 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქ. განათლების კომისარიატში—ამხ. შელიქაძის კაბინეტში.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი“-ს 1932 წლის იანვრის 30-ის ნომერში გამოქვეყნებული საქ. სახკომსაბჭოს და კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დაშვებულია შემდეგი შეცდომები:

დაბეჭდილია: მე-2 თავის მე-3 მუხლში: გაზაფხულის ნათესის ფართობი რესპუბლიკაში.

იგივე თავის მე-4 მუხლის ცხრილში: რამი 11.0—3.0—2.7—2.7

მე-5 თავის 1 მუხლში: გურჯაანის (წვრილი მშენებლობა)—13000 ჰექტარი.

მე-9 თავის 1 მუხლში: მინერალური სასუქის შეტანა 25.000 ჰექტარ ბამბის ფართობზე, 5.000 ჰექტ. თამბაქოს ფართობზე და 7.000 ჰექტ. ჩაის ფართობზე.

უნდა იყოს: გაზაფხულის ნათესის ფართობი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სექტორში.

რამი—11.0—3.0—2.7—

გურჯაანის (წვრილი მშენებლობა)—1.300 ჰექტარი.

მინერალური სასუქის შეტანა 25.000 ჰექტარზე, მათგან ბამბის ფართობზე — 7.000 ჰექტარი, თამბაქოს—5.000 ჰექტ. და ჩაის ფართობზე—7.000 ჰექტ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი იუწყება, რომ 3 თებერვალს, ერთიან პარტიულ დღეს ლენრაიონის პარტუჯრედების კრებებზე დამუშავდება „თბილისის მე-14 პარტკონფერენციის და საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის შედეგები“. აღნიშნულ დღეს მომხსენებლებად რაიკომი მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: შარია, მგელაძე, სალიევი, ბოიკოვი, სტაროშევი (რკ. გზ. პოლიტსამმართველო), გრიცენკო, ჯიბლაძე, ადამაშვილი, მექვაბიშვილი (ლენრაიკომი), ივ. რუხაძე (რაიონის გან. განყ.), ჭელიძე (რაიონის გან. განყ.), ივ. ძიძიგური (მე-29 სკოლა), როსტიაშვილი (კომკავშირის ლენრაიკომი), ბარიმაძე, დარსაძე, ვაჭარაძე, (შემკ. ქარხანა), ტატულოვი, ანდრიანოვი, ხორბალაძე, ლევჩენკო (დეპო), კეკელია (რკინისგზელთა რაიპროფკავშირი), ისკანდაროვი, შოგირაძე, სინევი, გროდისი, იოსებ რუხაძე, ლოლობერიძე (დირექცია), გელაშვილი (რაი-საკ. კომისია), კობიძე, კოპლაძე, ვარდიშვილი (სადგურის პარტკომი), მიჩენკო, კარაკაშევი, ბურიში, აივაზოვი, მეშველიანი (26 კომ. ქარხანა), ბალდასაროვი (აგურის ქარხანა), ჭოლოკავა, სულავა, ლაშქარაშვილი (ლენრაისაბჭო), ქავჟაია (ავჭალის მუშის ქარხანა), ევგენი ნუცუბიძე (საგზაო პროფგანათლება), მუქერია (რკინის გზის პროფკავშირი), ხუბოვი (საგზაო პროფგანათლება), კონსტ. ჩხენკელი (დპ—8), ვალერიან ფაჩაკიძე, ვასო ცინცაძე (სოც. უზრ. კომისარიატი), სერგო მეგრელიშვილი (საკ. კომისია), ნოე ლეჟავა (ამიერ-კავკ. საინჟ. ინსტიტუტი), ა. ფანცხავა (საალმშენებლო ინსტიტუტი), კოლიევი, შანცილო, ოდილავაძე, მშვენიერაძე (ამიერ-კავკ. საგზაო ინსტიტუტი), კოტე გორდელაძე (ცეკა), შახსუვაროვი (ა.-კ. შრომის სახკომი), ალ. მგელაძე (კომკავშირის თბ. კომიტეტი), როსლავეცი, ხერუმოვი, ჩალამიანი, ოსეპჩუკი, კოპლავაშვილი (თბ. ენერგ. ინსტ.), კოპლამაზაშვილი (რკ. გზ. სარაიონო პროფკავშირი), დეკაძე (დეპო), მაჭავარიანი (თბ. კომიტეტი), ისიდორე ჩხარტიშვილი (პედ. ინსტ.), ბახტაძე, სანაძე (ელიავას სახ. ტეხნიკუმი), უნაფქოშვილი, ჯანტლიაშვილი (შემკ. ქარხანა), გუკალოვი (ენერგ. ინსტ.), პეტროვი, პოვერინოვი, მელაძე (რკ. გზის პოლკი), დავითაშვილი ხუხუა, მაჩიტაძე, ბურჭულაძე, ლენტორ რუხაძე (რკ. გზ. მუშფაკი), თომასიანი, ამოსოვი, კნიაზიანი (ელიავას ტეხნიკუმი), შინდეტი (ე—2), ნესტორ რუხაძე (სასწორების სახელოსნო), ანდიანოვი, მჭედლიშვილი (რკ. გზ. სამომხ. კოოპერ.), მაზინი („სტროიმეხანიზაცია“), შველაძე (რკ. გზ. საავადმყოფო), შავერდოვი (რკინის გზის ჯანგანყოფილება), ვარლამ რუხაძე (დირექცია), გოგუა, გაბრიჩიძე (საალმშენებლო ინსტ.), კოზაევი (დამც. რაზმი), კოპლაშვილი (სახანძრო რაზმი), ხუბუნაია (მცვ. რაზმი), სამსონ ნუცუბიძე (ელიავას ტეხნიკუმი), ზეიცი (დირექცია), შარიქაძე (მეორე მშენკომი), კალანდია (დირექცია), ფანცხავა (გან. კომისარიატი). **ზემოდ აღნიშნულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ დღეს, პირველ თებერვალს საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ პლეხანოვის სახ. კლუბში საინსტრუქციო მოხსენებაზე.**

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. ლენრაიკომი იუწყება, რომ პარტსწავლების დღეს—8 თებერვალს პარტსწავლების მთელ ქსელში დამუშავებული უნდა იქნას „თბილისის მე-14 პარტკონფერენციის და საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის შედეგები“. ლენინის რაიონის ყველა პოლიტსკოლების და წრეების ხელმძღვანელებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ პლეხანოვის სახ. კლუბში (საბჭოს ქ. № 126), პირველ თებერვალს, საღამოს 6 საათზე საინსტრუქციო მოხსენებაზე.

—:—

2 თებერვალს, საღამოს 6 საათზე 26 კომუნართა სახ. რაიკომის შენობაში (კახეთის მოედანი № 1) **მოწვეულია იმ ამხანაგების საინსტრუქციო თათბირი, რომლებიც მობილიზაციის წესით არიან გაწვეულნი „თბილისის მე-14 პარტკონფერენციის და საქარ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის შედეგების შესახებ“ მოხსენების გასაკეთებლად.** ქვემოდ დასახელებულ 26-ის რაიონში მობილიზაციის წესით გაწვეულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ აუცილებლად გამოცხადდენ თათბირზე დაუგვიანებლად. ა. შახსუვაროვი (ა.-კ. მუშფლეხინი), ა. რატიანი (პოლიტსამმართველო), კალანდაძე (კომ. ბანკი), მინდაძე (ცეკა), კაზირია (სარეწაო კავშირი), ს. არუთინოვი (თბ. კომიტეტი), ბეჟანოვი (ჰიდროტეხნიკუმი), ისკანდაროვი (სოფლის მეურნ. სოც. რეკონსტრ. ინსტ.), მამულოვი (ტყავტრესტის საქ.-საფ. სკოლა), სტ. ბაბაიანი (თბ. კომიტეტი), გალუსტოვი (26 რაიკომი), ნამაგრაძე (მუშფაკი), ასთიანი (26-ის რაიკომი, კარპენკო (მუშფაკი), გოლუბიატნიკოვი (26 სახ. რაიკომი), იბრაგიმ ტაგიევი (კავშირგაბმულობა), სტეფანიშვილი (კომკავშირის 26-ის რაიკომი), ხორენ ულუხანოვი (სასაკლაო), გრიშჩენკო (ამიერ-კავკ. მუშფლეხინი), ალამაგდიანი (ამიერ-კავკ. საგზაო ინსტიტუტი), ომოსოვი (სარეწაო კავშირი), კატაიანი (მე-86 სკოლა), პანამარევი (საპროდუქტო ბაზა), სიამაშვილი (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი), ხაჩიკ ესაიანი (ტყავტრესტი), დავიდოვი (მაკარონის ფაბრიკა), ხ. გალოიანი (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი), თუზბაშევი („სოიუზკოჟი“), ვაგან გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა“), როსტიაშვილი (სამთო მეტ. მუშფაკი), ბაზმი ომაროვი (პროფსაბჭო), სკვორცოვი (სარეწაო კავშირი), მინასიანი (ქალაქის აბანო), ფანცხავა (თბ. ჯანმრთ. განყოფილება), ცეცხლაძე (მე14 შრომის სკოლა), კლევცოვი (მექანიკ. ქარხანა), მონტიანი (ბინათკავშირი), ბახმატიანი (კომკავშირის თბ. კომიტეტი), ჯიბლაძე (ინდუსტ. მუშფაკი), ს. შავერდოვა (მუშფლეხინი), სერგო სისიანი (ამიერ-კავკ. პროფსაბჭო), გომართელი (სარეწაო კავშირი), სტეპანოვი სივენკო (საპროდუქტო ბაზა).

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში 2 თებერვალს დილის 10 საათზე შედგება თათბირი ულმერთოთა კავშირის მუშაობის საკითხის განსახილველად. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ბოკერია (ცენტ. საბჭო), ვათანოვი (ცეკა), რაიკომების კულტპროპგანყოფილებების გამგეები, ულმერთოთა რაისაბჭოების თავმჯდომარეები და მდივნები, ჩხარტიშვილი—გარეუბნის რაიკომიდან, ბანეტაშვილი—თბ. საბჭოდან, წარმომადგენელი კომკავშირის თბ. კომიტეტიდან და გაზ. „ტიფლისკი რაბოჩი“-ს და „მუშა“-ს რედაქციების წარმომადგენლები.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. ლენრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, 2 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ დეპოს პარტკომის შენობაში პარტგანათლების შესახებ მოწვეულ თათბირზე: ალბაუმი, ბერუაშვილი, გრეველი, მოდებაძე, ქანთარია, ლომთაძე, ბეგიჯანოვი, კუპრაძე (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი), მგელაძე (ამიერ-კავკ. საგზაო ინსტიტუტი); გეტაშვილი, პაგარელოვი, დოლიძე, (დირექცია), კვანტალიანი (სარ. სალარო), ლევჩენკო (დეპო), თავართქილაძე (მატარ. ბრიგადა), ლაბაძე.

—:—

დღეს, 12 საათზე, ცეკას კულტპროპში ამხ. გორდელაძესთან შედგება თათბირი საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის საკითხზე. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კეირკველია, ჯინჭარაძე, სულუხია, შ. ძაძამიძე, გეგენავა, ბურდული, შარია (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი), ფანცხავა, ბარამიძე (მარქს.-ლენ. ინსტ.), დ. გვაზავა („კომუნისტი“), ცხაკაია („მუშა“), გალკინი („ტიფლისკი რაბოჩი“), ოფციაური, დემეტრაძე და შელია (ორჯონიკიძის რაიკომი).

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას აგიტმასგანყოფილებაში დღეს, 12 საათზე მოწვეულია თათბირი საქართველოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გამოკვლევის შედეგების საკითხის შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ლომიძე, ახალკაცი, მათიაშვილი (სატრაქტორო ცენტრი), მურუსიძე, კანდელაკი, ამაღლობელი, ჯაფარიძე, ოქროპირიძე, ხოხლოვი და კობრეიძე (სასოფლო-სამეურ. ინსტიტუტი). თათბირზე მოწვეულნი არიან აგრეთვე საქ. მიწსახკომის, „ნოვლუბტრესტის“, სამ.-სატრ. სადგურების და მოჯამაგირეთა პროფკავშირის, ცეკავშირის, კოლმეურნეობათა ცენტრის და ჩაის კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენლები.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. სტალინის რაიკომი იუწყება, რომ 1-ლი თებერვალს, საღამოს 6 საათზე სტალინის სახ. კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 123) მოწვეულია სტალინის რაიონის უჯრედების მდივნების და პროპაგანდისტების საერთო კრება. დღის წესრიგში: საინსტრუქციო მოხსენება საქართველოს კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი წინადადებას იძლევა ერთიან პარტიულ დღეს 3 თებერვალს დამუშავდეს თბილისის მე-14 პარტკონფერენციის და საქართველოს კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის შედეგები. მომხსენებლებად გამოყოფილი არიან შემდეგი ამხანაგები:

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა—მარიამ ორახელაშვილი (ვან. სახ. კომისარიატი), „ზარია ვოსტოკა“—ჩაგინი, ლიტოგრაფია—ავამალიანი (ამიერ-კავკ. სამხ. კომიტეტი), ავეჯეულობის ფაბრიკა—იოქომაშვილი (საქ. სახელმწ. საგეგმო კომისია), აგურის ქარხნები (ჯვუფური)—ოსიპოვი (თბილ. კომიტეტი), 1-ლი სტამბა—გვაზავა („კომუნისტი“-ს რედაქცია), მე-2 სტამბა—კიკნაძე („კომუნისტი“-ს რედაქცია), სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საალმშენებლო ბიურო—მდივანი ა. (თბ. კ.), „რკემაშტრესტ“-ის სახელოსნოები—მელაძე (ეკონ.-გამოკვლ. ინსტ.); კავშირგაბმულობის კოლექტივი [illegible]—ა. გორდელაძე (ცენტრ. კომიტ.), პოლიგრაფიული [illegible]—ნადირაძე („ზარია ვოსტოკა“), ფეხსაცმელების ფაბრიკა—პოსტალოვი („ზაკლეს ბუმ“), ხე-ტყის სახერხი ქარხანა—მირიტაძე (მე-2 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილება), საზიარო ტრესტი—ინაშვილი (მშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), მუსიკალური სახელოსნო—თარხანოვი (ა.-კ. ს. მ. უ. საბჭო), ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი—ყურულაშვილი (ცენტრ. კომიტ.), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი—მთიკაშვილი (საქ. მიწსახკომი), პედაგოგიური ინსტიტუტი—ორაგველიძე (ეკონ.-გამოკ. ინსტიტუტი), საბჭოთა სამართლის ინსტიტუტი—ერქომაიშვილი (საფინ. კოოპ. ინსტიტუტი), საფინანსო-ეკონომიური მუშფაკი—ცხაკაია (მუშა), საფინ.-ეკონ. ინსტიტუტი—დოლიძე საფინ.-კოოპ. ინსტ.); სამედიც. ინსტიტუტი—მუშანია (მედ. ინსტ.), სატყეო ინსტიტუტი—ბუდილოვი (ა.-კ. კომუნ. ინსტიტუტი); ახალი ლიდის კულტურების ინსტიტუტი—ლისოვსკი (ა.-კ. კომ. უნ.); სას.-სამეურ. მუშფაკი—თოხაძე (სასოფ.-სამეურნეო ინსტ.), ა.-კ. და საქ. სახელმწ. პოლიტსამმართველო—შარია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.), სუბტროპიკული მუშფაკი—ბრომიკერი (ცენტრ. კომიტეტი), ეკონომიური გამოკვლევათა ინსტიტუტი—გასანოვი (ეკ. გამოკ. ინსტ.), მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი—ხაჭაპურიძე, ა.-კ. საფინ. კურსები—ჩემახანოვი (ა.-კ. კომუნ. უნივერ.), მეხანძრეთა კოლექტივი—სვანიძე (ა.-კ. მომარაგების სახ. კომ.), ცეკავშირი—ამირაგოვი, სახელმწიფო ბანკი—ლაპტიონოვი თბილისის საბჭო—მაჩაიძე, თელასი—ტოროშელიძე (სახ. საგეგმო კომისია), საქართველოს პროფსაბჭო—სტურუა, ა.-კ. მარაგმშენი—ლოლუეგლიძე (ა.-კ. კომ. უნივ.), ზესტი ხელსაწყოების სახელოსნოები—სიხარულიძე (ცენტრ. კომ.), ა.-კ. სანტეხმშენი—ვოლსკი, მტვირთავები—გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა“), ლიმონათის ქარხანა—არეშიძე („ბოლშევიკი“), „ზაკვოიუზ“-ი—ბუკრეევი, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო—იაგნეტინსკი (ა.-კ. მუშფლეხინი), სახკომსაბჭოს ავტოგარაჟი—რუსაძე (საქ. კომკავშირის რაიკომი), სამასწავლებლო—მახათაძე (განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), გრიგოროევი (მშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), ა.-კ. ცაკი—გეორგაძე, ა.-კ. ს. მ. უ. საბჭო—მირზაბეკიანი (ა.-კ. მუშფლეხინი), სახლგამი—კუცია (ა.-კ. კომუნივ.), მილიცია—ჯინჭარაძე (საბჭ. სამ. ინსტიტუტი), წითელი საშხარდამო—გურჯიშვილი (ა.-კ. სამხ. კომ.), ა.-კ. კოლმეურნცენტრი—ანთიძე (საქ. პროფსაბჭო), განათლების სახალხო კომისარიატი—ფანცხავა.

ზემოდ-დასახელებული უჯრედების მდივნები უშუალოდ უნდა დაუკავშირდნენ მომხსენებლებს მოხსენების საათის გასაზღვრისათვის.

—:—

— **ს. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპსექტორი წინადადებას აძლევს სიაში დასახელებულ ამხანაგებს 1 თებ. გამოცხადდენ ცეკას კულტპროპში (ოთახი № 19) ამხ. ვ. ზოკუჩავასთან:**

თოფურია (სამთო მეტალ. ინსტ.), ძაძამიძე (საბჭოთა სამარ. ინსტ.); ციხისთავი (განსახკომი), ჩარუა (ქიმ. ინსტიტუტი), პარამია (პროფსაბჭო), ფრანგიშვილი (მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტ.); კომახიძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.), თევდორაძე (მეაბრეშუმ. ტეხნიკუმი), შიხალოვი (ეკონ. გამოკ. ინსტიტუტი), პაპავა აქსენტი (სას.-სამეურნეო ინსტ.) ხუცუნაშვილი (სას.-სამეურნეო ინსტ.), ბარამიძე (ფინ. ტეხნ.); ასკერ (პედტეხნიკუმი); კვიცარიძე (ფინ. კოოპ. ინსტ.); ამათუნი (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.); შველიძე (კოოპტეხნიკუმი); ნუცუბიძე დავით, გიორგაძე (განსახკომი), ფანცულაია (ა.-კ. რკინის გზის სამმართველო), სოლომონია (კოლმეურნეობათა ცენტრი) ზიფერტი (მიწსახკომი), აბულაძე სერგო (სახელგამი), თიკანაძე ლ. (ა.-კ. სმუს.); ზონენ, ადამიანი (ა.-კ. სახ. საგეგმო კომისია), სიკინჭელაშვილი (წითელი ჯვარი), დვალი (საქ. სახ. საგეგმო კომისია), მელქაძე (საქ. სმუს.); პაპავა ალვა (სას.-სამ. მუშფაკი), კერესელიძე, კვაშილავა (საქ. სახ. საგეგმო კომისია), შავგულიძე (ხელოვნ. მთავ. სამმართველო), გაჩეჩილაძე (მთავლიტი), შავგულიძე (კავშირგაბმულობის სოლქო სამმართველო), არლოვი (ა.-კ. სატყეო ტრესტი).

—:—

— **დღეს, 1-ლ თებერვალს, დილის სრულ 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტ. პროპაგანდ. განყოფილების პარტმუშაობის კაბინეტში (რუსთაველის, 21), ამხ. ენუქიძესთან უნდა გამოცხადდენ საქართველოს ისტორიკოს-მარქსისტთა საზ-ბის წევრები:** ჩაჩიბაია, ქადეიშვილი, გრიგოლია, მარქ.-ლენ. ინსტ.), იანკოტრეპლევა, გოგუა, გონტარენკო, ნიკიტენკო (ა.-კ. კომ. უნივერსიტეტი), ცაგარეიშვილი (საქ. კომ. უნივერსიტეტი), ღარიბაშვილი, რამიშვილი, ყალიჩავა (პედ. ინსტ.), ლენტ. რუხაძე (პედ. ინსტ.), ორაგველიძე დ. (სახელგამი), გაბისონია (ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), ტატიშვილი (კავების ტეხნიკუმი).

სახელმ. ოპერა

1 თებ. 11 აბ. 9 წ. — დაისი

2 თებ. 15 აბ. 9 წ. — კუზიანი კვიცი

3 თებ. აბონ. გარ. ს ი. მიგაის პირველი გამოსვლა — ევგენი ონეგინი

წარმოდგენა იწყება საღ. სრულ 8 საათზე. მე-3 ზარის შემდეგ საყურებელ დარბაზში შესვლა აკრძალულია. მორიგი მეშვიდე შესატანის მიღება სწარმოებს ყოველდღე სააბონ. სალაროში დღის 11 საათიდან 2 საათამდე და საღ. 6 საათიდან 8 საათამდე. ვისაც მეექვსე შესატანი არ აქვს გადახდილი, ჰკარგავს წარმოდგენის ნახვის უფლებას. 232

სახ. დრამა — სსრკ. სახ. არტ. ხელმძ. მარჯანიშვ.

2 თებ 8 აბ 6 წ. — ურიელ აკოსტა

3 თებ 6 აბ 6 წ — მოსუსი ენთუზიასტი

4 თებ 3 აბ 6 წ — ყვარყვარე თუთაბერი

უკანასკნელი ვადა მე-6 გადასახადისა არის 5 თებერ., რის შემდეგ გაუქმებული იქნება ყველა დაუფ. აბონემენტები. ნ. 237

სახ. ცირკი — დასაწყ. 8 15 წ

დღეს და ყოველდღე ახალი პროგ.

ცნობილი მწვრთნელის

ნ. პ. გლადილშჩიკოვის

მხეცების ჯგუფი

ლომები, დათვები, მგლები ერთად გალიაში

საუკეთესო ახალი ნომრები.

ნ. 231

ამოვანი კინო ოქტომბერი (ყ. აპოლო) სეან. 12,2,4,6-30,8-30,10-30.

დღის კინო სპარტაკი სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.

საღამოს კინო სპარტაკი სეან. დას. 6. 7-30. 9. 10-30.

კინ დამკვრელი (ყოფ. კალასი) სეან. დას. 6, 7-30. 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურგ სახ. (ყოფ. მიციონი) სეან. დას. 6-30. 8. 9-30, 11.

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30. 9. 10-30.

მე-3 თვეა მიდის სურათი ახალი ცხოვრებისაკენ

ახალი ამერიკული ფილმი ტემბი (აფრიკის ჯუნგლების ცხოვრება) პროგრამის გარეშე ხის ოქრო.

გაროლდ ლოიდი სურათში მორცხვი

ახალი იაპონური სურათი სუმიკო

მის მენდ მეორე სერია

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის

მე-8-ე ყრილობა

გაიხსნება დღეს, 1-ლ თებერვალს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3).

დღის წესრიგი 1) პოლიტიკური მოხსენება 2) განმუშაკთა კავშირის ც/კომიტეტის მოხსენება, 3) ც. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება 4) საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების განმუშაკთა მოხსენებები. 5) არჩევნები.

809 ც. კ. თავმჯდომარე: მახათაძე.

კბილის ექიმი

დ. ს. რიქანაშვილი

კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება: 10—3ს. და 5—7 ს. მისამარ.. გრიბოედოვის ქ. № 34. რუსთაველის გამზ. კუთხე

20—13 801

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

ამით აცხადებს

რომ თბილისის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ყოფ. წითელგვარდიელ-პარტიზანების გამორკვევა, დაამთავრა წითელ დამტკიცებულ ყოფ. წითელგვარდიელ-პარტიზანების ხელახალი შემოწმება, ამიტომ:

1. ყოფ. წითელგვარდიელ-პარტიზანებისათვის თბილისის საბჭოს მიერ ყველა წინად გაცემული მოწმობები (წიგნაკები) 1932 წ. 1-ლ თებერვლიდან ჩაითვალოს გაუქმებულად. ახალი წიგნაკები გაიცეს 1-ლიდან 15 თებერვლამდე.
2. თბილისის საბჭოს კომისიის აღრიცხვაზე მყოფი ჩამოსულ ყოფ. წითელგვარდიელ-პარტიზანების ყველა მოწმობები უნდა გადაიცვალოს 1932 წლის 1 ლ თებერვლიდან 25-მდე სათანადო კომისიების დოკუმენტალური ცნობების (პირადი საქმეების) საფუძველზე. ყოფ. წითელგვარდიელ-პარტიზანები, რომელთა შესახებ დოკუმენტები თბილისის კომისიაში არ შემოსულა, აღრიცხვიდან მოიხსნებიან.
3. ვთხოვ ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებ. წარუდგენენ 1932 წლის 1-ლ თებერვლამდე გაცემულ ყოფ. წითელგვარდიელ-პარტიზანების დოკუმენტებს. ასეთები დააკავონ და კომისიას გადაუგზავნონ.
4. ახალ განცხადებათა მიღებას ყოფ. წითელ პარტიზანებად ცნობის შესახებ თბილისის კომისია სწყვეტს მიმდ. წლის 10 თებერვლიდან.

თბილისის კომისია იმყოფება განოვის ქ., 6.

თბ. საბჭოს თავ-რე ბ. მაჩაიძე.
კომ. თავ-რის მოადგ. და
თბ. საბჭოს მდივანი ი. სირაძე.
2—1 ნ. 230

ქ. თბილისის გაერთიანებულ სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ალ. ნიკოლოზის-ძე ჩარკვიანი

ამით აცხადებს, რომ ის 1932 წ. 9 თებერვალს, დილის 1 საათზე ქ. თბილისში, აჯამეთის შესახვევი № 6

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის მოქ. მოქ. ნინო ბაკურაძის და ოლღა გოლოვაშკინის ორ სართულიან სახლს,

რომელიც შესდგება 20 ოთახისაგან და 4 სამზარეულოსაგან, 200 კვ. საჟ. ნაკვეთ მიწაზე. სახლი შეფასებულია 20.000 მანეთად და გაიყიდება საქ. სახელგამის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ქ. თბილისის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოს 29 სექტემბრის 31 წლის № 2/1107 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს ცნობები სამოქ. საპრ. კოდ. 359 მუხ. თანახმად. აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ხაწინდარი 10 პროც. სახლის შეფასების ჯამიდან. ნ. 236

უახლოესი მეგობრები: სერიოჟა იორაიშვილი, აკაკი ტრაპაიძე, ვალოდია ჩხიკვიშვილი, ლადო ჩხაიძე აუწყებენ საზოგადოებას ტიტე ორაგველიძის დის

თინა ორაგველიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 810

დამწუხრებულნი აგრაფენა და პლატონი ბურჯანაძეები, სონია და ნიკო გვარამაძეები იუწყებიან მათი ძვირფასი დის

მარო ნიკოლ. ას. ჩაკვეტაძის

დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი 2 თებერვალს 7 საათზე. გამოსვენება 3 თებერვალს 5 საათზე, ყაზბეგის ქ. 9, ვერის სასაფლაოზე. 814

საქვაჭრობა

ამით აუწყებს ორგანიზაციებს და მოქალაქეებს,

რომელთაც შეტანილი აქვთ ავანსები კოოპერატიულ მანუფაქტურაზე „ზაკპოტრებტექსტილში“

რომ მფლობელებმა ქვითრების №№ 201-დან 250-მდე უნდა წარადგინონ თავისი ქვითრები 1 და 2 თებერვალს და 251-დან 300-მდე 3 და 4 თებერვალს 10 საათიდან 3-ნახ. საათამდე საქვაჭრობის მაღაზია № 2, კომინტერნის ქ. № 5 (შესავალი ეზოდან), აღსარიცხავად და მანუფაქტურის მისაღებად სათანადო მაღაზიებში. მანუფაქტურის გაცემა შემდეგი ქვითრების ნომრებით იქნება გამოცხადებული დამატებით.

2—1 ნ. 235 დირექცია.

დაიკარგა

№ 169 ქვითარი 600 მ. „ზაკპოტრებტექსტილი“-დან“ მიღებული მანუფაქტურის გამოსატანად მამინაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულ.

ექიმი

პიროგოვი

ვლ. ვას.

ყურის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფეოდოსიევის ქ. № 22.

13—1

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

მეტრიკული მოწმ. თამარა დარჩიაშვილის, **კავშირის წიგნაკები:** მიტროფანე მესხის № 63821 დათიკო კიკვაძის, დ. დემეტრაძის № 33288, **პირადობის მოწმობები:** ალექსანდრე ცინცაძის, სიმონ გეგენავასი № 70, გაცემული სამედიცინო ინსტიტუტიდან, **მუშკოოპის წიგნაკები:** მიტროფანე მესხის № 172439, ელენე ლაზარიძის № 150689, გიორგი ლაზარიძის; **სამხედრო წიგნი** ვლადიმერ კიკვაძის, **სხვა და სხვა:** პირადობის მოწმობა გაცემული როსტოვის რ/კზის დირექციის სამოქალაქო კომბინატის მიერ ალექსანდრე [illegible], უფასო რკინის გზის ბილეთი—ალექსანდრე ცინცაძის. ოპერის მე-14-ტე აბონემენტი № 112. № 64

გულდათუთქული მეუღლე ნინა შვილით სოსლანით იუწყებიან, რომ 27 იანვ. ხეთაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ექ. სიმონ (სოსიკო) მაჭარაძე

დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება. 799

თამარა, ქეთო, ლიზიკო და კოკი ბახტაძეები გლოვობენ საყვარელი, დაუვიწყარი სიძის, ექიმის

სისიკო ერასტის-ძე მაჭარაძის

უდროოდ დაკარგვას. 794

ხონის ექიმები: ბახტაძე, სანაძე, ტოკონიძე, ლიურა საფაძე, ევდოკია ძოძუაშვილი, რატიანი, ძოძუაშვილი, ტაბიძე, ქუთათელაძე, ყურაშვილი გულითადი მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ამხანაგ ექიმ

სისიკო ერასტის-ძე მაჭარაძის

გარდაცვალებას. 820

დეიდა მაშო ქვაჩია, თამარა და ვალოდია თოფურიძეები იუწყებიან სიძის

ექ. სისიკო მაჭარაძის

უდროოდ დაკარგვას. 798

უახლოესი მეგობრები: ნინო ჯანელიძე, თათუშა ტოგონიძე, დავით პარკაძე, ბარნაბ საკაპურიძე თანაგრძნობას ვუცხადებთ ამხანაგ დოროთე ფირცხალავას მეგობარ-მეუღლის

მავრას

გარდაცვალების გამო. 795

ნინო და გიორგი ჯანელიძეები შვილებით ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ახლო მეგობარის

მავრა ფირცხალავას

გარდაცვალების გამო. 795

ელიკო დიდია, ნინა ფულარია და თამარა ქავთარაძე ვიზიარებთ ჩვენს ძვირფას მეგობრის ქეთოს განუსაზღვრელ მწუხარებას საყვარელ დედის

მავრა ფირცხალავას

გარდაცვალების გამო. 747

ნასაკირალის მუშკომის წევრები, კოოპერაციის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მეურნეობის აქტიურ უფროს მუშის

პარმენ გიორგის-ძე გოგელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ძიმითში. 818

ნასაკირალის მეურნეობის დირექცია, პარტბიურო კოლექტივი, კომკავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეურნეობის აქტიური თანამშრომელი, პარტიის დაუღალავი წევრი ამხანაგი

პარმენ გოგელია 818

დამწუხრებულნი შვილები: ელენა, იასე, სიკო, ილუშა, თადო გოგნიაშვილები, რძლები, სიძე ანდრო ნაცვლიშვილი იუწყებიან, რომ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ოლღა მიხეილის-ას. გოგნიაშვილის

2 თებერვალს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 813

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი ცოლი ალათი შვილი შალვა, რძალი თამარი, შვილის შვილი ნოდარი აუწყებენ საზოგადოებას

ნიკო კვანტალიანის

დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე. გამოსვენება 2 თებერვალს, ანჯეის 13, კუკიის სასაფლაოზე. 816

დამწუხრებული რძალი ცუცუ კვანტალიანი, ძმისშვილები: ედუსი ქმრით ისიდორეთი, შვილებით: ვერა, შოთა ჩიტაიშვილი, ეფროსინე ბართაია იუწყებიან

ნიკო კვანტალიანის

გარდაცვალებას. 808

ღრმათ დამწუხრებულნი შინაურულები: მეუღლე ბაბუცი, რძალი ოლია, შვილი ვინუშა, შვილის-შვილი თამაზი გეწაძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კოწია ივანეს-ძე გეწაძე

დაკრძალვა 2 თებერვალს ქ. ხესტაფონში. 796

ცხარე ცრემლით დავსტირით საყვარელ ბიძის

კოწია ივანეს-ძე გეწაძის

უდროოდ დაკარგვას ზუზუნა, მიტუშა, კიკო და დავით ტარიელის ძე გეწაძეები. 796

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: გრიგოლი და ანნა გეწაძეები შვილებით: თორნიკე, ლილიკო და ბიძინა იუწყებიან პირველის ძმის, მეორეს მაზლის, დანარჩენთათვის საყვარელ ბიძის

კოწია ივანეს-ძე გეწაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 796

ღრმად დამწუხრებული სალომე, შვილები: კოწია, ილარიონ, პაშა და თამარა, რძლები: ლელი და ოლია შვილებით იუწყებიან

პავლე ივანეს-ძე გოგიბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 30 იანვარს სოფ. ლანირში. 818

გულმოკლულნი: დედა ბარბალე, ცოლი ვარდიკო, შვილები: ხუსეინი, სულეიმანი, გივი, ძმები: ალექსანდრე, იუსტინე ჩიხლაძეები იუწყებიან დაუვიწყარ

ვლადიმერ კოწიას-ძე ჩიხლაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 თებერვალს გორდში. 818

დიმიტრი და ნიკოლოზ მაჭავარიანები, ვახტანგ ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფას ბიძაშვილის

გუგულიკა ყიფიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 თებერვალს, სოფ. ვახანში. 802

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ეკატერინე, შვილი კოლია აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობ-ნათესავებს მყ. გზის ოსტატის

ნესტორ გვაზავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში 2 თებერვალს. გამოსვენება 4 საათზე. 801

გულმოკლული დედა მარიამი, დები: აგრაფინა შვილებით. და ფაცია, ძმები: თეოფანე. მიხა, კირილე თავიანთი ცოლშვილით იუწყებიან. რომ 2 თებერვალს სოფ. ლანირში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

მარია სოლომ. ას. თხილავას

805

გულმოკლული დედა მარიამი, დები აგრაფინა და ნინა, ძმები: თეოფანე, მიხა და კირილე ცოლშვილით იუწყებიან, რომ საყვარელ

მარია (დარია) თხილავას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 2 თებერვალს ს. ლანირში. 806

გულმოკლულნი: ბებია ბარბალე, ბიცოლა ანა, ბიძა იროდი, ბიძაშვილები: ვერა ქმრით, ალექსანდრა, ონიფანტე, ევსტროფი და დათიკო ნიკოლაიშვილები გლოვენ ტექნიკუმის მოწაფეს

ვახტანგ ნიკოლაიშვილს

დაკრძალვა [illegible] 2 თებერვალს. 804

დამწუხრებულნი: დედა ეკა, ძმები: გერონტი, ბარნაბა, იპოლიტე, ილია ცოლშვილით იუწყებიან, რომ 2 თებერვალს 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

დიმიტრი ნიკოლ.-ძე ჭადაჭკორიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 800

დამწუხრებულნი: დედა პელაგია, მამა ივანე, დაი ლიუბა ელიავები, ქმარი ნიკოლოზ წულუკიძე შვილებით: ლუტუთი, ოთარით იუწყებიან. რომ 2 თებერვალს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ბაბი ელიავა-წულუკიძის

803

თავზარდაცემული დედმამა მელიტონი და ევა, ძმები: სევერიანი და სპირიდონი სვანიძეები იუწყებიან, რომ 24 იანვარს ბაქოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

დავით მელიტონის-ძე სვანიძე

დასაფლავება მოხდა ბაქოში. 802

რიონჰესში მომუშავე ინჟინრები: ალექსანდრე განდია, გიორგი ჩოლოვაძე, რაფიელ მიქელიძე და ბენიამინ ჯანელიძე აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის ალექსანდრე ქუშაშვილის მამის

ივანე ქუშაშვილის

გარდაცვალებას ქ. თბილისში. ნ. 233

გულმოკლული მშობლები: კონსტანტინე (კ. მარტველელი) და ეფროსინე, ძმები: შალვა და ნიკუშა ოდიშარიები და დედობილი აცხადებენ, რომ საქართველოს ინსტიტუტის აკადემიური კურსის სტუდენტის

მიხეილის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 7 თებერვალს [illegible] 807

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა
მთავლიტის რწმუნებული ა 970